ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ

11–12

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

750

თბილისი 1937 № 11 — 12

ს ა რ ჩ ე ვ ი

ბ.

ი. ბ. სტალინი — ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვა, წარმოთქმული ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს დიდ თეატრში 3

ლ. პ. ბერია—სიტყვა ქალაქ თბილისის საბჭოთა მშრომელი ინტელიგენციის საერთო-საქალაქო წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წელს 9

მოწინავე — ქართული კულტურის დიდი ზეიმი 17

მხატვრული ლიტერატურა

ელიზბარ უბილავა — კიროვის ძეგლი ვარდების ხეივანში 26

სევერიან ისიანი — რუსთველი კრემლში . . . 24

შალვა ამისულაშვილი — ომგადახდილი წიგნი . 26

გ. კალანდაძე — რუსთაველს 28

ვასილ ლომიძე — რუსთაველი 29

აპოლონ ქუთელია—რუსთაველს 31

კოტე ხიმშიაშვილი—ქაჯთა სასძლოს სახსოვარი 32

კ რ ი ტ ი კ ა

გერონტი ქიქოძე — შოთა რუსთაველი . . 46

კონსტანტინე ჭიჭინაძე — შოთა რუსთაველი და მისი პოემა 49

დ. ჯანელიძე — ბრძოლა „ვეფხის - ტყაოსნის“ გარშემო 61

აკ. გაწერელია — რუსთაველის პოეტიკის საკითხები 69

სიმონ ჩიქოვანი — სიყვარული, მეგობრობა და გმირობა „ვეფხის-ტყაოსანში“ . . . 78

ი. ვ. სტალინი

სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს დიდ თეატრში

თავმჯდომარე. სიტყვა ეძლევა ჩვენს კანდიდატს ამხანაგ სტალინს.

ამხანაგ სტალინის გამოჩენას ტრიბუნაზე ამომრჩევლები ხვდებიან მქუხარე ოვაციით, რომელიც რამდენიმე წუთის განმავლობაში გრძელდება. დიდი თეატრის მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი მიესალმება ამხანაგ სტალინს. დარბაზიდან განუწყვეტლივ გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს, ვაშა!" „მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული საბჭოთა კონსტიტუციის შემოქმედს ამხანაგს სტალინს, ვაშა!" „გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა ბელადს, ამხანაგ სტალინს, ვაშა!"

სტალინი. ამხანაგებო, უნდა გამოვტყდე, მე არ მქონდა განზრახვა გამოვსულიყავი. მაგრამ ჩვენმა პატივცემულმა ნიკიტა სერგეის-ძემ, შეიძლება ითქვას, ძალით მომიყვანა აქ, კრებაზე: გვითხარი კარგი სიტყვაო. რაზე ვთქვა, სახელდობრ რა სიტყვა? ყველაფერი, რისი თქმაც საჭირო იყო არჩევნების წინ, უკვე არის ნათქვამი და არაერთხელ ნათქვამი ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგების კალინინის, მოლოტოვის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, ეჟოვის და მრავალი სხვა პასუხისმგებელი ამხანაგის სიტყვებში. რა შეიძლება კიდევ დაემატოს ამ სიტყვებს?

ამბობენ, საჭიროა განმარტებანი საარჩევნო კამპანიის ზოგიერთ საკითხზეო. რა განმარტებანი, რა საკითხებზე? ყოველივე ის, რისი განმარტებაც საჭირო იყო, უკვე განმარტებული არის და არაერთხელ განმარტებული ბოლშევიკთა პარტიის, კომკავშირის, პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს, თავდაცვა-ავიაქიმის, ფიზკულტურის საქმეთა კომიტეტის ცნობილ მიმართვებში. რა შეიძლება კიდევ დაემატოს ამ განმარტებებს?

რასაკვირველია, შეიძლებოდა თქმულიყო ერთგვარი მსუბუქი სიტყვა ყველაფერზე და არაფერზე **(ნელი სიცილი)**. შესაძლოა, რომ ასეთი სიტყვა გაართობდა საზოგადოებას. ამბობენ, რომ ასეთი სიტყვების ოსტატები მოიპოვებიან არა მარტო იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ ჩვენშიაც, საბჭოთა ქვეყანაში **(სიცილი, ტაში)**. მაგრამ ჯერ ერთი, მე არა ვარ

ასეთი სიტყვების ოსტატი. მეორე, განა ლირს გასართობ საქმეებს მივყოთ ხელი ახლა, როდესაც ჩვენ ყველას, ბოლშევიკებს, როგორც იტყვიან, „მუშაობა თავზე საყრელი გვაქვს". მე ვფიქრობ, რომ არა ლირს.

ცხადია, რომ ასეთ პირობებში კარგ სიტყვას ვერ იტყვი.

და მაინც რაკი მე ტრიბუნაზე გამოვედი, რასაკვირველია, მიხდება ასე თუ ისე ვთქვა ცოტა რამ მაინც **(მქუხარე ტაში).**

უწინარეს ყოვლისა მე მინდოდა მადლობა გადამეხადა **(ტაში)** ამომრჩევლებისათვის იმ ნდობისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს **(ტაში).**

მე დამასახელეს დეპუტატობის კანდიდატად და საბჭოთა დედაქალაქის სტალინის ოლქის საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გამატარა, ეს, როგორც დეპუტატობის კანდიდატი, ეს, ამხანაგებო, დიდი ნდობაა. ნება მიბოძეთ დიდი ბოლშევიკური მადლობა გადაგიხადოთ იმ ნდობისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ბოლშევიკთა პარტიისადმი, რომლის წევრიც მე ვარ, და პირადად ჩემდამი, როგორც ამ პარტიის წარმომადგენლისადმი **(მქუხარე ტაში).**

მე ვიცი, რას ნიშნავს ნდობა. იგი, ცხადია, მაკისრებს ახალ, დამატებითს მოვალეობებს და, მაშასადამე, ახალ, დამატებითს პასუხისმგებლობას. რა გაეწყობა, ჩვენ, ბოლშევიკებს, არ გვჩვევია უარი ვთქვათ პასუხისმგებლობაზე. მე მას ხალისით ვკისრულობ **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

ჩემი მხრით მე მინდა დაგარწმუნოთ თქვენ, ამხანაგებო, რომ თამამად შეგიძლიათ ენდოთ ამხანაგ სტალინს **(მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. შეძახილები დარბაზიდან: „ჩვენ კი ყველანი ამხანაგ სტალინთან ვართ!").** შეგიძლიანთ იქონიოთ იმის იმედი, რომ ამხანაგი სტალინი შესძლებს შეასრულოს თავისი მოვალეობა ხალხის წინაშე **(ტაში),** მუშათა კლასის წინაშე **(ტაში),** გლეხობის წინაშე **(ტაში),** ინტელიგენციის წინაშე **(ტაში).**

შემდეგ, მე მინდა, ამხანაგებო, მოგილოცოთ მომავალი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე **(ძლიერი ტაში).** მომავალი არჩევნები — ეს უბრალო არჩევნები როდია, ამხანაგებო. ეს მართლაც ჩვენი მუშების, ჩვენი გლეხების, ჩვენი ინტელიგენციის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია **(მქუხარე ტაში).** ჯერ არასოდეს არ ყოფილა მსოფლიოში ასეთი ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები, არასოდეს! ისტორიამ არ იცის მეორე ასეთი მაგალითი **(ტაში).** ლაპარაკია არა იმაზე, რომ ჩვენ გვექნება საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი არჩევნები, თუმცა უკვე ამას თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს. ლაპარაკია იმაზე, რომ საყოველთაო არჩევნები ჩვენში ჩატარდება, როგორც ყველაზე უფრო თავისუფალი არჩევნები და ყველაზე უფრო დემოკრატიული მსოფლიოში, ყოველივე სხვა ქვეყნის არჩევნებთან შედარებით.

საყოველთაო არჩევნები ტარდება და მათ ადგილი აქვს ზოგიერთ კაპიტალისტურ, ეგრეთწოდებულ, დემოკრატიულ ქვეყნებშიც. მაგრამ რა ვითარებაში ტარდება იქ არჩევნები? კლასობრივ შეტაკებათა ვითარებაში, კლასობრივი შუღლის ვითარებაში, კაპიტალისტების, მემამულეების, ბანკირებისა და კაპიტალიზმის სხვა ონავრების მხრით ამომრჩევლე-

ბის მიმართ დაწოლის ვითარებაში. ასეთ არჩევნებს, ისინი რომ კიდეც საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი იყოს, არ შეიძლება ეწოდოს სავსებით თავისუფალი და სავსებით დემოკრატიული არჩევნები.

ჩვენთან, ჩვენს ქვეყანაში, პირიქით, არჩევნები ტარდება სულ სხვა ვითარებაში. ჩვენში არ არიან კაპიტალისტები, არ არიან მემამულეები, მაშასადამე, არც მქონებელი კლასების დაწოლა არის უქონლების მიმართ. ჩვენში არჩევნები ტარდება მუშების, გლეხების, ინტელიგენციის თანამშრომლობის ვითარებაში, მათი ურთიერთ ნდობის ვითარებაში, მე ვიტყოდი, ურთიერთმეგობრობის ვითარებაში, იმიტომ რომ ჩვენში არ არიან კაპიტალისტები, არ არიან მემამულეები, არ არის ექსპლოატაცია და კაცმა რომ სთქვას, არავინ არის, ვისაც შეეძლოს დაწოლის მოხდენა ხალხზე მისი ნებისყოფის დასამახინჯებლად.

აი რატომ არის ჩვენი არჩევნები ერთადერთი ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული მთელს მსოფლიოში **(ძლიერი ტაში)**.

ასეთი თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები შეიძლებოდა აღმოცენებულიყო მხოლოდ სოციალისტური წესწყობილების გამარჯვების ნიადაგზე, მხოლოდ იმის ბაზაზე, რომ ჩვენში სოციალიზმი არა მხოლოდ შენდება, არამედ უკვე დამკვიდრდა ყოფაცხოვრებაში, ხალხის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში. 10 წლის წინათ შეიძლებოდა დისკუსია იმაზე, შეიძლება თუ არა ჩვენში სოციალიზმის შენება. ახლა ეს აღარ არის სადისკუსიო საკითხი. ახლა ეს არის ფაქტების საკითხი, ცოცხალი ცხოვრების საკითხი. ყოფაცხოვრების საკითხი. რომლითაც გამსჭვალულია ხალხის მთელი ცხოვრება. ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობენ უკაპიტალისტებოდ. მუშაობას ხელმძღვანელობენ ხალხიდან გამოსული ადამიანები. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში ნამდვილ სოციალიზმს. ჩვენს მინდვრებში მიწის მუშაკები მუშაობენ უმემამულეებოდ, უკულაკებოდ. მუშაობას ხელმძღვანელობენ ხალხიდან გამოსული ადამიანები. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში სოციალიზმს ყოფაცხოვრებაში. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში თავისუფალ, სოციალისტურ ცხოვრებას.

აი ამ ბაზაზე აღმოცენდა სწორედ ჩვენში ახალი, ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები, არჩევნები, რომლის მაგალითი არ არის კაცობრიობის ისტორიაში.

როგორ არ უნდა მოგილოცოთ ამის შემდეგ 'საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე! **(მთელი დარბაზის მქუხარე ოვაცია)**.

შემდეგ, ამხანაგებო, მე მინდა მოგცეთ თქვენ რჩევა, დეპუტატობის კანდიდატის რჩევა თავისი ამომრჩევლებისადმი. თუ ავიღებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, იქ დეპუტატებსა და ამომრჩევლებს შორის არსებობს ერთგვარი თავისებური, მე ვიტყოდი, საკმაოდ უცნაური ურთიერთობა. სანამ არჩევნები მიმდინარეობს, დეპუტატები ელაციცებიან ამომრჩევლებს, ელაქუცებიან მათ, ეფიცებიან ერთგულებას, აძლევენ ათასგვარ დაპირებას. გამოდის, რომ დეპუტატები სავსებით დამოკიდებული არიან ამომრჩევლებზე. როგორც კი არჩევნები მოხდა და კანდიდატები დეპუტატებად

გადაიქცნენ,—ურთიერთობა ძირფესვიანად იცვლება. ამომრჩევლებზე დეპუტატების დამოკიდებულების ნაცვლად გამოდის მათი სრული დამოუკიდებლობა, 4 თუ 5 წლის მანძილზე, ე. ი. ახალ არჩევნებამდე, დეპუტატი ისე გრძნობს თავს, რომ იგი არის სრულიად თავისუფალი ხალხისაგან, თავისი ამომრჩევლებისაგან დამოუკიდებელი. მას შეუძლია გადავიდეს ერთი ბანაკიდან მეორეში, მას შეუძლია გადაუხვიოს სწორი გზიდან არასწორზე, მას შეუძლია გაებას ზოგიერთ არა მთლად საკადრისი ხასიათის მახინაციებშიც კი, მას შეუძლია ყირაზე გადავიდეს, როგორც მას ნებავს, — იგი დამოუკიდებელია.

შეიძლება თუ არა ნორმალურად ჩაითვალოს ასეთი ურთიერთობა? არავითარ შემთხვევაში, ამხანაგებო. ეს გარემოება გაითვალისწინა ჩვენმა კონსტიტუციამ და მან გაატარა კანონი, რომლის ძალით ამომრჩევლებს უფლება აქვთ ვადამდე გაიწვიონ უკან თავისი დეპუტატები, თუ ისინი იწყებენ მელაკუდაობას, თუ ისინი უხვევენ გზიდან, თუ მათ ავიწყდებათ, რომ დამოკიდებული არიან ხალხისაგან, ამომრჩევლებისაგან.

ეს შესანიშნავი კანონია, ამხანაგებო. დეპუტატმა უნდა იცოდეს, რომ იგი არის ხალხის მსახური, მის მიერ წარგზავნილი უმაღლეს საბჭოში და იგი უნდა გაჰყვეს იმ ხაზს, რომელზედაც მას მიცემული აქვს განაწესი ხალხის მიერ. თუ გზას გადაუხვია, ამომრჩევლებს უფლება აქვთ მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშვნა, და მათ უფლება აქვთ ის დეპუტატი, რომელმაც გზას გადაუხვია, ყორანივით გააშავონ **(სიცილი, ტაში)**. ეს შესანიშნავი კანონია. ჩემი რჩევა, დეპუტატობის კანდიდატის რჩევაა ჩემი ამომრჩევლებისადმი, ახსოვდეთ ამომრჩეველთა ეს უფლება, — დეპუტატთა ვადამდე უკან გაწვევის უფლება, თვალყური ადევნონ თავის დეპუტატებს, კონტროლი გაუწიონ მათ და, თუ ისინი განიზრახავენ სწორი გზიდან გადახვევას, თავიდან მოიშორონ ისინი, მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშვნა. მთავრობა ვალდებულია დანიშნოს ახალი არჩევნები. ჩემი რჩევაა — გახსოვდეთ ეს კანონი და გამოიყენოთ იგი საჭიროების შემთხვევაში.

დასასრულ, დეპუტატობის კანდიდატის კიდევ ერთი რჩევა თავის ამომრჩევლებისადმი. საერთოდ რა უნდა მოვთხოვოთ ჩვენს დეპუტატებს, თუ ყველა შესაძლო მოთხოვნიდან ავიღებთ ყველაზე ელემენტარულ მოთხოვნებს?

ამომრჩევლებმა, ხალხმა თავის დეპუტატებს უნდა მოსთხოვონ, რომ ისინი დარჩნენ თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე, რომ ისინი თავის მუშაობაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი დარჩნენ ლენინის ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეთა პოსტზე, რომ ისინი იყვნენ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწეები, როგორც ლენინი **(ტაში)**, რომ ისინი იყვნენ ისეთივე უშიშარნი ბრძოლაში და შეუბრალებელნი ხალხის მტრების მიმართ, როგორიც იყო ლენინი **(ტაში)**, რომ ისინი იყვნენ თავისუფალნი ყოველგვარი პანიკისაგან, პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როდესაც საქმე გართულებას იწყებს და ჰორიზონტზე ისახება რაიმე საფრთხე, რომ ისინი იყვნენ ისევე თავისუფალნი პანიკის ყო-

Ն. Ա. ՅՈՒՐՄՅՈ

ვეღგვარი ნასახისაგან, როგორც თავისუფალი იყო ლენინი **(ტაში)**, რომ ისინი იყვნენ ისევე ბრძენნი და აუჩქარებელნი რთული საკითხების გადაჭრის დროს, სადაც საჭიროა ყოველმხრივი ორიენტაცია და ყველა პლუსისა და მინუსის ყოველმხრივ გათვალისწინება, როგორიც იყო ლენინი **(ტაში)**, რომ ისინი იყვნენ ისევე მართალნი და პატიოსანნი, როგორიც იყო ლენინი **(ტაში)**, რომ მათ ისევე უყვარდეთ თავისი ხალხი, როგორც უყვარდა იგი ლენინს **(ტაში)**.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ ვთქვათ, რომ დეპუტატობის ყველა კანდიდატი სწორედ ამგვარი მოღვაწეა? მე ამას ვერ ვიტყოდი. ათასნაირი ადამიანია ამ ქვეყნად, ათასნაირი მოღვაწეა ამ ქვეყნად. არიან ადამიანები, რომლებზედაც ვერ იტყვი, ვინ არის იგი, კარგია თუ ცუდი, მამაცია თუ მხდალი, ბოლომდე ხალხის მხარეზეა თუ ხალხის მტრების მხარეზე. არიან ასეთი ადამიანები და არიან ასეთი მოღვაწეები. ისინი ჩვენშიაც არიან, ბოლშევიკებს შორის. თვითონ იცით, ამხანაგებო, რომ ყოველ ოჯახშია თითო მახინჯი **(სიცილი, ტაში)**. ასეთი გამოურკვეველი ტიპის ადამიანებზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც უფრო გვაგონებენ პოლიტიკურ ობივატელებს, ვიდრე პოლიტიკურ მოღვაწეებს, ასეთ გამოურკვეველი, ჩამუყალიბებელი ტიპის ადამიანებზე, საკმაოდ მოსწრებულად სთქვა დიდი რუსმა მწერალმა გოგოლმა: „გამოურკვეველი ადამიანებიაო, არც ესრიან არც ისო, ვერ გაიგებ რა ხალხია, არც ბოგდანია ქალაქში და არ სელიფანი სოფელშიო“ **(სიცილი, ტაში)**. ასეთ გამოურკვეველ ადამიანებზე და მოღვაწეებზე აგრეთვე საკმაოდ მოსწრებულად ამბობს ჩვენი ხალხი: „არის რაღა — არც წყალია და არც ღვინო“ **(საერთო სიცილი-ტაში)**, „არც ღვთისაა და არც ეშმაკისა“ **(საერთო სიცილი, ტაში)**.

ეარ შემიძლია სრული დარწმუნებით ვთქვა, რომ დეპუტატობის კანდიდატთა შორის (მე, რა თქმა უნდა, დიდ ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე) დაკენს მოღვაწეებს შორის არ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ყველაზე უფრო მოგვაგონებენ პოლიტიკურ ობივატელებს, რომლებიც თავისი ნასიათით, თავისი ფიზიონომიით მოგვაგონებენ ისეთი ტიპის ადამიანებს, რომლებზედაც ხალხი ამბობს: „არც ღვთისაა და არც ეშმისა“.

მინდა, ამხანაგებო, რომ თქვენ სისტემატურად აზდენდეთ გავლენას თქვენ დეპუტატებზე, რათა მათ ჩააგონებდეთ, რომ მუდამ თვალწინ ედგა დიდი ლენინის დიადი სახე და ყველაფერში ჰბაძავდნენ ლენინს **(ტ)**.

ამრჩეველთა ფუნქციები არჩევნებით არ თავდება, ეს ფუნქციები გრძელდება ამათუიმ მოწვევის უმაღლესი საბჭოს არსებობის მთელი პერიოდს მანძილზე. მე უკვე ვილაპარაკე იმ კანონზე, რომელიც უფლებას ანიჭებს ამომრჩევლებს ვადამდე გაიწვიონ უკან თავისი დეპუტატები, თუ ისინი ეუხვევენ სწორი გზიდან. მაშასადამე, ამომრჩეველთა მოვალეობა და უფლება მდგომარეობს იმაში, რომ მათ მუდამ კონტროლქვეშ იყოლიონ დეპუტატები და რომ ისინი ჩააგონებდნენ მათ — არავითარ შემთხვევაში არ შვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი — ამო-

მრჩევლები ჩააგონებდნენ თავის დეპუტატებს — იყვნენ ისეთნი, როგორიც იყო დიდი ლენინი (ტაში).

ასეთია, ამხანაგებო, ჩემი მეორე რჩევა თქვენდამი, დეპუტატობის კანდიდატის რჩევა თავის ამომრჩევლებისადმი. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან და თვალს აყურობენ მთავრობის ლოჟას, საიდანაც მიდის ამხანაგი სტალინი. გაისმის შეძახილები: „დიდ სტალინს ვაშა!" „ამხანაგ სტალინს, ვაშა!" „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს, ვაშა!" გაუმარჯოს პირველ ლენინელს—კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს — ამხანაგ სტალინს! ვაშა!").

ლ. ბ. ბერია

ლ. პ. ბერია

სიტყვა ქალაქ თბილისის საბჭოთა მშრომელი ინტელიგენციის საერთო-საქალაქო წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 9 დეკემბერს

(დარბაზი ამხანაგ ბერიას მჭუხარე ოვაციით ხვდება. ადგილებიდან გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“ „ვაშა დიდ სტალინს!“ „გაუმარჯოს ჩვენი კონსტიტუციის შემომქმედს ამხანაგ სტალინს!“).

ამხანაგებო!

ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიაში ინტელიგენცია დიდ როლს თამაშობდა.

არ ყოფილა არცერთი გაბატონებული კლასი, რომელსაც თავისი საკუთარი ინტელიგენცია არა ჰყოლოდეს.

მარქსიზმმა გამოამჟღავნა და გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბურჟუაზიული იდეოლოგების ცდა განეხილათ ინტელიგენცია, როგორც განსაკუთრებული ზეკლასობრივი კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც ვითომდაც მოწოდებული არიან ემსახურონ მთელი ხალხის ინტერესებს, კლასების განურჩევლად.

ჩვენში ძველი რევოლუციამდელი ინტელიგენციის ძირითადი მასა ემსახურებოდა მემამულეებსა და კაპიტალისტებს, ერთგულად იცავდა თავის მეპატრონეთა ინტერესებს. ძველი ინტელიგენციის კადრების დიდი უმრავლესობა გაბატონებული კლასებისა და წოდებების წარმომადგენელთაგან შესდგებოდა.

ასეა ახლაც კაპიტალისტურ ქვეყნებში. საერთო კრიზისისა და კაპიტალიზმის ლპობის პირობებში ფაშისტებს არ შეუძლიანთ შეურიგდნენ არა მარტო მარქსიზმს, არამედ ბურჟუაზიული მეცნიერების იმ წარმომადგენლებსაც, რომლებიც თუნდაც ოდნავ იჩენენ მიდრეკილებას დაიცვან ბურჟუაზიული დემოკრატიზმის ტრადიციები. მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლები, რომელთა შორისაც ბევრმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი, იძულებული გახდნენ ვაქ-

ცეულიყვნენ ფაშისტური გერმანიიდან. ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის უმუშევრობა ჩვეულებრივი მოვლენაა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

სულ სხვა მდგომარეობაა ჩვენში, საბჭოთა კავშირში.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ განვლილი 20 წლის მანძილზე, — ამ მეტად მოკლე ისტორიულ ვადაში, — ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა და კულტურა. ძირითადად უკვე აგებულია სოციალისტური საზოგადოება. იარაღებისა და საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება საბჭოთა საზოგადოების ურყევ და განუყოფელად გაბატონებულ საფუძველს წარმოადგენს.

ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარ რადიკალურ ცვლილებათა ბაზაზე ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურაც. ჩვენში გაჩნდა სრულიად ახალი, საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც ყველა თავისი ფესვებით მტკიცედ არის დაკავშირებული მუშათა კლასსა და გლეხობასთან.

ჩვენს ქვეყანაში ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის შედეგად, რამაც გააძლიერა ხალხის უფართოესი მასების აქტივობა და შემოქმედებითი ენტუზიაზმი, ძველი ინტელიგენციის დიდი უმრავლესობის მსოფლმხედველობაში გადამწყვეტი გარდატეხა მოხდა და იგი პატიოსნად დადგა სოციალიზმის მხარეზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ შეჰქმნა მძლავრი ქსელი დაწყებითი და საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისა, რომლებშიც, სახელმწიფო სტიპენდიების სისტემის პირობებში, უფასო განათლებას იღებს მშრომელთა შვილების უდიდესი რაოდენობა.

ამჟამად, როგორც რიცხობრივად, ისე ხარისხობრივად განუზომელად გაზრდილი საბჭოთა ინტელიგენციის 80 — 90 პროცენტს მუშათა კლასიდან, გლეხობიდან და მშრომელთა სხვა ფენებიდან გამოსულნი შეადგენენ.

შეიცვალა ინტელიგენციის საქმიანობის თვით ხასიათიც. „წინათ მას უნდა ემსახურნა მდიდარი კლასებისათვის, ვინაიდან მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ახლა იგი უნდა ემსახუროს ხალხს, ვინაიდან უკვე აღარ არიან ექსპლოატატორული კლასები. და სწორედ ამიტომ იგი ახლა წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრს, სადაც იგი მუშებთან და გლეხებთან ერთად, მათთან ხელიხელ ჩაკიდებული, ეწევა ახალი უკლასო სოციალისტური საზოგადოების შენებას.

როგორც ხედავთ, ეს სავსებით ახალი, მშრომელი ინტელიგენციაა, რომლის მსგავსს დედამიწის ვერცერთ ქვეყანაში ვერ იპოვით“. **(სტალინი).**

საბჭოთა ხელისუფლებამ შეჰქმნა ყველა პირობა ადამიანის პიროვნების თავისუფალი და ყოველმხრივი განვითარებისათვის. მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა წინაშე გადაშლილია შემოქმედებითი საქმიანობის უფართოესი ასპარეზი.

საბჭოთა ინტელიგენცია გარშემორტყმულია პარტიისა და მთავრობის ყურადღებითა და მზრუნველობით, მთელი ხალხის სიყვარულით.

ასეთია საქმის ვითარება ჩვენში.

როგორც ხედავთ, ჩვენი სამშობლოს ინტელიგენცია ხალხის, პარტიისა და მთავრობის მიერ აყვანილია ისეთ სიმაღლეზე, რომელზეც იგი წინათ, ბურჟუაზიული წყობილების დროს, არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

ძველ ქართველ ინტელიგენციას ახასიათებდა ყველა ის თვისება, რაც სჩვევია ბურჟუაზიულ-მემამულურ ინტელიგენციას და რაზედაც მე უკვე ვილაპარაკე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში ქართველი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი ძველ პოზიციებზე რჩებოდა. გულმოდგინედ ინარჩუნებდა რა ძველ მემამულურ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ტრადიციებს და იღებდა რა ორიენტაციას კაპიტალისტურ დასავლეთზე, იგი არა მარტო მიჰყვებოდა ანტისაბჭოთა პარტიებს — მენშევიკებს, ნაციონალ-დემოკრატებს, ფედერალისტებს და სხვებს, არამედ შეადგენდა ამ პარტიების ძირითად ხელმძღვანელ ბირთვს და აწარმოებდა აქტიურ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

ქართველი ხალხის საზიზღარი მოღალატეები: ნ. ჟორდანია, ი. წერეთელი, ე. გეგეჭკორი, მ. წერეთელი, ა. ჩხენკელი, გრ. რობაქიძე და სხვ. ერთ დროს თავის თავს სთვლიდნენ ქართველი ინტელიგენციის რჩეულ ნაწილად, ქართველი ხალხის წარმომადგენლებად.

საქართველოს მშრომელთა მიერ გაძევებულნი, ისინი გაიქცნენ თავიანთ საზღვარგარეთელ პატრონებთან, აშკარად და ცინიკურად გახდნენ ფაშისტურ დაზვერვათა აგენტები და ლაქიები.

მიჰყიდდნენ რა ხოლმე თავს განურჩევლად ყველას, ოღონდ კი ფული ეძლიათ, ერთსა და იმავე დროს მსახურობდნენ რა უცხოეთის რამდენსამე დაზვერვაში, ეს საზიზღარი გამცემლები ერთი წუთითაც არ სტოვებდნენ თავიანთ შავ ზრახვებს საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ, ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

1924 წელს მათ შესძლეს ქართველი ინტელიგენციის ერთგვარი ნაწილისათვის, განადგურებული თავადაზნაურობისა, კულაკობისა და ოფიცრობის ნარჩენებთან ერთად, მონაწილეობა მიეღებინებინათ სისხლიან ავანტიურაში, რომელიც, როგორც ცნობილია, მის დამწყებთა სრული განადგურებით დასრულდა.

ქართველმა ხალხმა შეაჩვენა ისინი, როგორც ყველაზე მოსისხლე მტრები. მაგრამ ხალხის საზიზღარმა მტრებმა არ შესწყვიტეს თავიანთი ძირგამომთხრელი მუშაობა, ცდილობენ რა თავისი აგენტების საშუალებით თავიანთ მოღალატურ ბადეში მოაქციონ ზოგიერთნი ქართველი ინტელიგენციიდან, რომლის ძირითადი მასაც უკვე დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე.

ფაშისტური ოხრანკების აგენტები, მოღალატეები და გამცემლები აღმოჩნდნენ პროფესორები: გ. ელიავა, ჯანდიერი, ცქიტიშვილი, ა. წერეთელი, ლეონიძე, ინჟინერი ჭიჭინაძე, რუსთაველის თეატრის ყოფილი დირექტორი ს. ახმეტელი, მწერლები: მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ლიტფონდის ყოფ. დირექტორი დავით წერეთელი, ცნობილი მენშევიკი გაიძვერები ნ. ქარცივაძე, სეით დევდარიანი, გ. მახარაძე და სხვ.

ისინი ეწეოდნენ ძირგამომთხრელ დივერსიულ-მავნებლურ მუშაობას საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობაში, ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

ისინი, უკლებლივ ყველანი, ეწეოდნენ ჯაშუშობას, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი უცხოეთის დაზვერვებთან, აგროვებდნენ და მათი საშუალებით საზღვარგარეთ ჰგზავნიდნენ ჯაშუშური ხასიათის ცნობებს.

თავიანთ შავბნელ ძირგამომთხრელ მუშაობაში ისინი არ თაკილობდნენ არავითარ საშუალებას, არაფრის წინაშე არ ჩერდებოდნენ. ისინი ამზადებდნენ წყლის მოწამლვას ნატახტარის წყალსადენში, ამზადებდნენ ბაქტერიოლოგიურ დივერსიას, რომელიც ნაწილობრივ განახორციელეს სიღნაღის რაიონში, სადაც ბაქტერიების გამოყენების გზით შარშან მათ მოახერხეს გამოწვევა მასობრივი დაავადებისა მუცლის ტიფით, რამაც 50 კაცზე მეტი იმსხვერპლა.

მერე რით დასრულდა მთელი ეს დანაშაულებრივი მუშაობა ხალხის მოსისხლე მტრებისა, რომლებიც ადამიანთა საზოგადოების ნაძირალთა ფსკერზე მოექცნენ?

საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა ყველა ისინი შეიპყრეს, გააწადგურეს და მოსპეს. (**ხანგრძლივი ტაში**) მთელი ქართველი ხალხი ზიზღითა და კრულვით იხსენიებს მათ.

ასეთივე ბედი მოელის ყველას, ვინც გაბედავს მძლავრი საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წასვლას (**ხანგრძლივი ტაში**).

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მტრები კიდევ დარჩნენ, რათა განაგრძონ ფარული ძირგამომთხრელი მუშაობა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს და არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ დიდი სტალინის ბრძნული მითითებები, რომ ვიდრე არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, ჩვენში გამოგზავნიან ჯაშუშებს, დივერსანტებს, მავნებლებს, ჩვენსკენ საზღვარგარეთიდან გამოაწვდიან ბინძურ, სისხლიან ხელებს. ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე. საბჭოთა ინტელიგენცია ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად უნდა იბრძოდეს პარტიისა და ხალხის ყველა მტრების წინააღმდეგ (**ტაში**).

ამხანაგებო! მე უკვე ვთქვი, რომ ხალხმა, პარტიამ და მთავრობამ საბჭოთა ინტელიგენცია არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს. ამის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ საბჭოთა საქართველოს ინტელიგენციის მაგალითის მიხედვით.

•ქვენ კარგად იცით, რომ რევოლუციამდე საქართველოში არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო დაწესებულება.

ქართველი მენშევიკების — ხალხის ინტერესების ამ საზიზღარი გამცემლების — ბატონობის პერიოდმა არა თუ არ შეუწყო ხელი საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას, არამედ საბოლოოდ გაანადგურა ის მცირე მემკვიდრეობაც, რომელიც მეფის თვითმპყრობელობისაგან იყო მიღებული.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან საქართველოში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფ განვითარებასთან ერთად, იწყება ნაციონალური კულტურის აყვავება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში ერთისამად გაიზარდა საშუალო და დაწყებითი სკოლების რაოდენობა, ხოლო მათში მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა ერთიოთხად. მენშევიკების დროს გაიხსნა და ძლივსძლივობით ბოგინობდა თბილისის უნივერსიტეტი — საქართველოში ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც უმთავრესად მოსწავლეთაგან შემოსული ფულით არსებობდა, რამაც განსაზღვრა სტუდენტთა თავადაზნაურულ - მემამულური, ბურჟუაზიული შემადგენლობა,

ამჟამად კი საქართველოში არის სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის 19 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობს 22 ათასზე მეტი სტუდენტი — მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის შვილები.

ფართოდ გაიშალა აგრეთვე სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელი, მეცნიერების განვითარებაზე ჩვენში ყოველწლიურად ათეულ მილიონ მანეთობით იხარჯება.

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა რამდენიმე ათეულს არ აღემატებოდა, ამჟამად საქართველოში გვყავს სამასზე მეტი პროფესორი, 700-მდე დოცენტი და ათასამდე სხვა მეცნიერი მუშაკი. **(ტაში).**

ფართოდ არის ცნობილი ჩვენი მეცნიერების პროფესორების **ივანე ჯავახიშვილის, ნიკოლოზ მუსხელიშვილის, ივანე ბერიტაშვილის, ალექსანდრე ჯანელიძის, ალექსანდრე თვალჭრელიძის, აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, სიმონ ჯანაშიას, არნოლდ ჩიქობავას, კონსტანტინე ერისთავის, ალექსანდრე მაჭავარიანის, გიორგი მუხაძის, ალადაშვილის** და სხვათა სახელები **(მქუხარე ტაში).**

აყვავდა ქართული საბჭოთა ლიტერატურა, გაიზარდნენ საბჭოთა მწერლებისა და პოეტების კადრები. საქართველოს მშრომელებისათვის კარგად ცნობილია **შ. დადიანის, ს. ჩიქოვანის, ა. მაშაშვილის, გ. ლეონიძის, ი. მოსაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, დ. შენგელაიას, კ. ლორთქიფანიძის, ა. აბაშელის** და სხვათა სახელები **(ტაში).**

ქართველ ხალხს შეუძლია იამაყოს თავისი თეატრებით და აქტიორ-რეჟისორთა კადრებით, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში

გაიზარდნენ. არტისტების, რეჟისორებისა და კომპოზიტორების: ა. ხორავას, ფ. ვასაძის, ლამბაშიძის, თ. ჭავჭავაძის, წუწუნავას, ამირანაშვილის, სოხაძის, გამრეკელის, ქუმსიაშვილის, ანდღულაძის, არაყიშვილის, ფოცხვერაშვილის, ტუსკიას, კილაძის და სხვ. სახელები დიდ პოპულარობით სარგებლობენ (ტაში).

გაიზარდნენ და ფართოდ ცნობილი გახდნენ ქართული კინემატოგრაფიის რეჟისორები და აქტიორები: მ. ჭიაურელი, ს. დოლიძე, ნ. შენგელაია, ნ. ვაჩნაძე, გელოვანი, ყორყოლიანი და სხვ. (ტაში).

გაიზარდნენ ქართველ მხატვართა და მოქანდაკეთა კადრები: ვეფხვაძე, უჩა ჯაფარიძე, მ. თოიძე, ელენე ახვლედიანი, თამარ აბაკელია, კროტკოვი, გამრეკელი, სიდამონ-ერისთავი, ი. ნიკოლაძე, თავაძე, კაკაბაძე, მერაბიშვილი და სხვ. მშრომელთათვის ცნობილი არიან თავიანთი მაღალხარისხოვანი მხატვრული ნაწარმოებებით (ტაში).

შეიძლებოდა კიდევ დაგვესახელებინა მრავალი ათეული და ასეული სხვა ახალგაზრდა მეცნიერები, ინჟინრები, გეოლოგები, ელექტრიკოსები, ჰიდროტექნიკოსები, არქიტექტორები, აგრონომები, ექიმები, მწერლები, არტისტები, მხატვრები, მოქანდაკეები, რომლებიც გაიზარდნენ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში და რომლებიც ეწევიან ხელმძღვანელ მუშაობას მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებში.

ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის პათოსი აღაფრთოვანებს ინტელიგენციის არა მარტო ახალგაზრდა კადრებს, არამედ მოხუცებსაც, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დროს გაახალგაზრდავდნენ და ახალი შემოქმედებითი ძალები მოიცეს. (ტაში).

ნაციონალური კულტურის ასეთი აყვავება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, მხოლოდ ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად განხორციელების საფუძველზე.

ქართული კულტურის აყვავება სსრ კავშირის ყველა ხალხთა ნაციონალური კულტურების აყვავების ერთერთ მკაფიო მაგალითს წარმოადგენს.

დიდი რუსი ხალხი სწავლობს და სიყვარულით უფრთხილდება წინათ ჩაგრულ ხალხთა კულტურულ სიმდიდრეებსა და მიღწევებს, ყოველმხრივ დახმარებას უწევს ამ ხალხებს მათი ნაციონალური კულტურის განვითარებაში. (ტაში).

ქართული ოპერები იდგმება მოსკოვის, ლენინგრადის და სხვა ქალაქების თეატრებში, ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს სწავლობენ წითელი დედაქალაქის მშრომელები. ტრეტიაკოვის გალერიაში მოწყობილია ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა. მოსკოვში, ლენინგრადში და რუსეთის სხვა ქალაქებში დიდი აღფრთოვანებით ემზადებიან უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის გენიალური პოემის დაწერიდან 750 წლისთავის აღსანიშნავად. (მქუხარე ტაში).

ჩვენც ჩვენი მხრივ უფრო ღრმად უნდა შევისწავლოთ უმდიდრესი რუსული კულტურა და რუსული ენა **(ტაში).** ეს კიდევ უფრო გააძდიდრებს ჩვენს ნაციონალურ კულტურას, გააფართოვებს მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა გონებრივ ჰორიზონტს.

ამხანაგებო! მხოლოდ სამი დღე გვაშორებს იმ ისტორიულ თარიღს, როდესაც საბჭოების ქვეყნის მრავალმილიონიანი ხალხი აირჩევს საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე **(ტაში).**

უდიდესი მიღწევებით, ურყევი შინაგანი მორალური და პოლიტიკური ერთიანობით ეგებება საბჭოთა ხალხი ამ ისტორიულ დღეს.

ჩვენს გამარჯვებებს უნდა ვუმადლოდეთ ბოლშევიკურ პარტიას, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** ბრძნულ ხელმძღვანელობას **(მჭუხარე ოვაცია. დარბაზი დიდხანს უკრავს ტაშს. გაისმის შეძახილები ქართულ, რუსულ, სომხურ ენებზე: „გაუმარჯოს დიდ სტალინს, „ურა", ვაშა—ამხანაგ სტალინს!" „მადლობა ამხანაგ სტალინს ბედნიერი სასიხარულო ცხოვრებისათვის!"**

ორკესტრი უკრავს „ინტერნაციონალს", ოვაცია ახლდება ახალი ძალით. ხელახლა გაისმის შეძახილები დიდი სტალინის პატივსაცემად).

პარტიისა და მთავრობის მიერ აღზრდილი, მთელი ხალხის სიყვარულითა და მზრუნველობით გარშემორტყმული საბჭოთა ინტელიგენცია სოციალისტური საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრია. **(ტაში).** საბჭოთა ინტელიგენციის ცოტა წარმომადგენლები რიდია წამოყენებული პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად.

საბჭოთა ინტელიგენცია ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელებთან ერთად უდიდესი სიხარულით შეხვდა სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ყველა ამომრჩეველისადმი — ისტორიულ დოკუმენტს, რომელშიც აღნიშნულია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი და ასახულია მთელი საბჭოთა ხალხის გრძნობები და განწყობილება.

ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თვითეულ მშრომელამდე დავიყვანოთ უდიდესი ისტორიული აზრი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიმართვისა ყველა ამომრჩეველებისადმი. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულებაში საბჭოთა ინტელიგენციას საპატიო როლი ეკუთვნის.

მთელი საბჭოთა ინტელიგენცია, როგორც ერთი კაცი, განუხრელად განახორციელებს სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სტალინური ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას და ერთსულოვნად მისცემს ხმას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს, რომლებიც წამოყენებული არიან პარტიის მიერ უპარტიოებთან ერთად. **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს! **(მჭუხარე ტაში. შეძახილები: „ვაშა", „ურა").**

გაუმარჯოს მძლავრ და უძლეველ საბჭოთა ხალხს! (მჭუხარე ტაში. შეძახილები: „ვაშა“, „გაუმარჯოს დიდ რუს ხალხს“).

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

(მჭუხარე ოვაცია, რომელიც დიდხანს არ ცხრება. მთელი დარბაზი აღტაცებით მიესალმება ხალხთა ბელადს დიდ სტალინს. გაისმის შეძახილები ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბეიჯანულ ენებზე: „გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრების შემოქმედს ამხანაგ სტალინს!“ „ვაშა გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის შემოქმედს!“ „გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!“ „გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას!“ „გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს ამხანაგ ბერიას!“).

ქართული კულტურის დიდი ზეიმი

1937 წელი ერთერთ უდიდეს თარიღად შედის საბჭოთა კულტურის მატიანეში. იგი დაიწყო რუსული ლიტერატურის სწორუპოვარი გენიოსის პუშკინის გარდაცვალებიდან 100 წლის თავის აღნიშვნით, ახალი რუსული პოეზიის და სალიტერატურო ენის ამ ფუძემდებლის უდიდესი ლიტერატურული მემკვიდრეობის საყოველთაო სახალხო დაფასებით და დამთავრდა ქართველი ხალხის უბადლო კულტურული ძეგლის „ვეფხის ტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავის აღსანიშნავად მოწყობილ ასევე საყოველთაო სახალხო ზეიმით.

ამ ორმა თარიღმა ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხი კიდევ უფრო დააახლოვა, დააკავშირა და დააძმობილა ერთი მეორეს.

— „მხოლოდ ურღვევი სტალინური მეგობრობის პირობებში, — სწერდა ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავზე ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი ხელმძღვანელი ამხანაგი ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ბ ე რ ი ა. — გახდა შესაძლებელი სსრ კავშირის ხალხთა ის მჭიდრო კულტურული ურთიერთობა, როდესაც ცალკეულ ხალხთა კულტურის უდიდესი ძეგლები მთელი საბჭოთა ხალხის კუთვნილებად ხდებიან, როდესაც უკვდავი რუსთაველის 750 წლისთავის აღსანიშნავად თანაბარი სიყვარულით ემზადებიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში“.

იუბილემ ცხადჰყო ამ აზრის ჭეშმარიტება.

მხოლოდ ბოლშევიკების ძლევამოსილ პარტიას, მის ბრძნულ ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, მის არაჩვეულებრივ ორგანიზატორულ უნარს შეეძლო, რომ რუსთაველის იუბილეს მისცემოდა ასეთი ღირსეული რეზონანსი, რომ მასში მონაწილეობა მიეღო ჩვენ თვალუწვდენელ სამშობლოს ყოველ კუთხეს, რომ მას გამოხმაურებოდა არა მარტო საბჭოთა კავშირის ინდუსტრიული ცენტრების, არამედ სასოფლო და საკოლმეურნეო რაიონების ყოველდღიური პრესა.

რუსთველის იუბილე გადაიქცა ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობის დემონსტრაციად, ცალკეულ ხალხთა კულტურის უდიდესი ძეგლების მთელი საბჭოთა ხალხის კუთვნილებად აღიარების დემონსტრაციად, უსაზღვრო ერთგულების დემონსტრაციად კომუნისტური პარტიის და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი**, რომლის ბრძნულმა

ხელმძღვანელობამ საბჭოთა ხალხები მიიყვანა სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე, არ ნახულ სამეურნეო და კულტურულ აყვავებამდე.

ქართველი მშრომელი ხალხისათვის დაუვიწყარი დარჩება რუსთაველის საიუბილეო დღეები, საყოველთაო სიხარულისა და ბედნიერების დღეები, როცა მის დედაქალაქში შეიკრიბნენ მთელი ჩვენი კავშირის მოძმე ხალხების მწერლობის და მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები, რომ მონაწილეობა მიეღოთ ქართველი ხალხის დიდს კულტურულს ზეიმში, მისი უდიდესი ლიტერატურული ძეგლის „ვეფხის-ტყაოსნის" ღირსეულ დაფასებაში.

სსრკ-ის საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმის პირველმა საზეიმო სხდომამ და შემდეგი დღეების საქმიანმა მუშაობამ განსაკუთრებული სიმძლავრით გამოხატა ის დიდი სიხარული, რომელმაც მოიცვა მთელი ჩვენი დიდი სამშობლო ქართული კულტურის დღესასწაულის გამო.

საბჭოთა ხალხების და მეცნიერების მოწინავე წარმომადგენლებმა რუსთაველის იუბილე შეაფასეს, როგორც ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების ბრწყინვალე შედეგი. ამასვე ხაზგასმით აღნიშნავდნენ რუსთაველის ზეიმზე სტუმრად ჩამოსულნი, კულტურის დაცვის ანტიფაშისტური კონგრესების მონაწილე ევროპიელი მწერლები. ირლანდიელმა მწერალმა სელდორ ლანქსნესმა პლენუმს ასეთი სიტყვებით მიმართა: ლენინ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებამ საშუალება მოგცათ თქვენ გაგეხადათ რუსთაველის პოემა არა მარტო ქართული კულტურის ცოცხალ ფაქტორად, არამედ რუსთაველის იუბილე აგრეთვე გადაიქცა მთელი კავშირის კულტურის დღესასწაულად, რაც „ვეფხის-ტყაოსანს" სსრ კავშირის ყველა ხალხის კუთვნილებად ხდის. ამავე გამარჯვებამ შესაძლებლობა მომცა მეც, შორეული ქვეყნის მწერალს, დავსწრებოდი თქვენს ზეიმს, რომელიც მსოფლიო კულტურის ნამდვილ ზეიმს წარმოადგენს. მე მწამს, რომ ლენინ-სტალინის იგივე ნაციონალური პოლიტიკა შესაძლებელს გახდის იმასაც, რომ ჩვენი ხალხის კულტურის დიდ თარიღებს ჩვენ საქართველოს ხალხთან, სსრ კავშირის ხალხთან ერთად ვიდღესასწაულებთო.

მხოლოდ ლენინ-სტალინის პარტიის უდიდესმა მზრუნველობამ ყველა ერის კულტურულ მემკვიდრეობისადმი უზრუნველყო ის სწორი და ღირსეული შეფასება „ვეფხის-ტყაოსნისა", რომელიც გამოთქმულია აკადემიკოს ი. მეშჩანოვის შემდეგ სიტყვებში: „ვეფხის-ტყაოსანი" გენიალურია არა მარტო თავისი ეპოქისათვის, არამედ იგი ეკუთვნის იმ ოითო-ოროლა მსოფლიო ნაწარმოებთა რიცხვს, რომელნიც თავის უდიდეს მნიშვნელობას ინარჩუნებენ ყველა ხანაში და ყველა ხალხისათვის".

რა აძლევს „ვეფხის-ტყაოსანს" ასეთ ძალას, რომ სოციალიზმის ეპოქას შეაქვს იგი თავისი კულტურის საგანძურში?

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების პლენუმის მთელი მუშაობა, საბჭოთა კავშირის ხალხთა ყველა ენაზე გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი წერილები და მოხსენებები იძლევიან ღრმად შინაარსიან პასუხს ამ კითხვაზე, პასუხს, რომელიც შეიძლება ერთი წინადადებით გამოითქვას:

რუსთაველმა თავის უკვდავ პოემაში უმღერა ადამიანის მაღალ ბუნებას, იმ მისწრაფებებსა და იდეალებს, რომლებმაც ნამდვილი ჰეშმარიტი გასსახიერება ჰპოვეს მხოლოდ სოციალიზმის ეპოქაში.

რუსთაველმა პირველად მთელი თავისი სიდიადით გამოხატა აღორძინების, რენესანსის ეპოქის იდეები, აზრის თავისუფლებისაკენ სწრაფვა და ჰუმანიზმი. რუსთაველმა ფეოდალიზმის წყვდიადით მოცულ საუკუნეებში პირველმა თავი დააღწია ნაციონალურ შეზღუდულობას და ამაღლდა ინტერნაციონალობის შეგნებამდე. დაამსხვრია რა რელიგიურ-ქრისტიანული მსოფლმხედველობის და ტრადიციული საშუალო საუკუნეებრივი აზროვნების მუხრუჭები. რუსთაველი არის პირველი პოეტი—რომელიც თავის პოემაში მოიცავს მთელს იმდროინდელ მსოფლიოს ჩინეთ-ინდოეთიდან ატლანტიკამდე, აფრიკიდან საშუალო საუკუნეების თურანამდე. რუსთაველისთვის უცხოა ქრისტიანული ან მუსულმანური რელიგიური დოგმატიზმი. მთელს პოემაში არსად არ ვხვდებით „ქრისტეს“ ხსენებას, ან რომელიმე რელიგიის ცერემონიას. რუსთაველს არ სწამს არც ქრისტიანული, არც მუსულმანური ღმერთი. რუსთაველს სწამს მხოლოდ ის, რაც იძლევა სინათლეს, ამ ქვეყნიურ სიხარულს. მას გაღმერთებული ყავს ბუნება, მისი ცხოველმყოფელი ძალა, როგორც სიცოცხლისა და მოძძრაობის წყარო. მისი მსოფლშეგრძნობა პანტეისტურია და ენათესავება აღორძინების ეპოქის დიდ მოღვაწეთა მსოფლშეგრძნობას. რუსთაველისთვის სამყარო შეუწყვეტელი მოძრაობაა, დაუცხრომელი ბრძოლაა სიბნელესა და ბოროტებასთან, ბრძოლა, რომელსაც თან სდევს რწმენა სიკეთის გამარჯვებაში, რწმენა, გმირული საქმეების შთამგონებელი.

პოლიტიკური შეხედულებებითაც, რომლებსაც რუსთაველი პოემაში გამოხატავს და გამოსთქვამს, იგი თავისი ეპოქის მოწინავე შვილია.

მაგრამ ეს არ არის მაინც რუსთაველის პოემის ძირითადი თემა. მთავარი „ვეფხის-ტყაოსანში“ მეგობრობის, ინტერნაციონალური ძმობის, სიყვარულის, პატრიოტიზმის, ქალის ინტელექტუალური-მორალური თანასწორობის იდეის მხატვრული განსახიერებაა. მთელი პოემა არის ადამიანის ახალი იდეალებისათვის ბრძოლის სიმღერა, იგი საშუალო საუკუნეთა პირველი რეალისტური ნაწარმოებია.

როგორც ერთ-ერთი მომხსენებელი ამხანაგი პ. პავლენკო ამბობს, რუსთაველს რაინდული ჰეროიკა ზღაპრული სიმბოლიზმის სფეროდან რეალურ საყოფაცხოვრებო გარემოში გადააქვს. იგი გვიხატავს ადამიანთა ცოცხალ ხასიათებს; ამიტომ წარმოადგენს საშუალო საუკუნეთა პირველ ფსიქოლოგიურ წიგნს.

მეგობრობა, გმირობა და თავდადება პოემაში დასახულია, როგორც ადამიანის მოქმედების უმაღლესი ნორმა. რუსთაველის კონცეპციით მეგობრობა არის საძირკველი, რომელზედაც შენდება საზოგადოება საერთო იდეების, საერთო მისწრაფებების საფუძველზე წარმოშობილი მეგობრობა, — ეს არის ძირითადი მოტივი მთელი პოემისა. ეს გრძნობა იმარჯვებს პოემაში ადამიანის ყველა ვნებაზე, თვით ისეთ უძლეველ ვნებაზე, როგორიც არის სიყვარული, რომელსაც რუსთაველი წარმოგვიდგენს

ზნეობრივი ამაღლების წყაროდ, საგმირო საქმეების შთამგონებელ ძალად.

რუსთაველი ჰქადაგებს ძმობასა და მეგობრობას არა მარტო ცალკე ადამიანთა შორის, არამედ ხალხთა შორისაც. რუსთაველმა, კაცობრიობის ამ ერთერთმა უდიდესმა ჰუმანისტმა, პირველმა დააყენა მთელი სიგრძე-სიგანით ხალხთა ძმობის საკითხი. მის პოემაში ვხედავთ ინდოტარიელსაც, არაბ ავთანდილსაც, თურქებსაც, ირანელებსაც, ხატაელებსაც, ხვარაზმელებსაც. მათ შორის არამც თუ არ არის ნაციონალური შუღლი, არამედ ისინი ძმებივით ერთად იბრძვიან და მოღვაწეობენ. არაბი ავთანდილი სტოვებს თავის საქმეებს, თავის სატრფოს, საფრთხეში აგდებს თავის სიცოცხლეს, რათა დახმარება გაუწიოს გაჭირვებაში ჩავარდნილ ინდო ტარიელს. ასევე, ფრიდონი ივიწყებს თავის პირად ცხოვრებას ტარიელისათვის. ხალხთა ძმობის ეს იდეები განსაკუთრებით ძვირფასი და მახლობელია ჩვენთვის, მრავალ ეროვანი საბჭოთა ხალხებისათვის, რომელთაც მხურვალე ძმური სიყვარულით უყვართ კაცობრიობის ყველა დაჩაგრული ერები.

„ვეფხის-ტყაოსნის“ მთელი ეპოპეა, პირველი სტროფიდან უკანასკნელამდე წარმოადგენს ბრძოლისა და გმირობის აპოლოგიას. ბრძოლისა და გმირობის იდეები მასში მოცემული არიან არა განყენებულად, არა მარტო სენტენციებში, არამედ განსახიერებული არიან პერსონაჟებში, მათ მოქმედებაში. ბრძოლისა და გმირობის ამსახველი სენტენციები და ადამიანები ყველაზე მეტად ესიტყვებიან ჩვენი გრანდიოზული ბრძოლის ეპოქას, რომელიც მებრძოლ კლასში ანვითარებს იმ თვისებებს, რითაც მკითხველებს ხიბლავენ „ვეფხის-ტყაოსნის“ პერსონაჟები. უკვდავი აფორიზმი „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“ დღესაც გაისმის გულის-სიღრმემდე ჩამწვდენ მოწოდებად, მასების დამრაზმველ ლოზუნგად, რომელიც ეხმაურება ესპანელი ხალხის გმირი წინამძღოლი ქალის დოლორეს იბარურის სიტყვებს: „უმჯობესია ფეხზე მდგომი მოვკვდე, ვიდრე დაჩოქილი ვცოცხლობდე“. ეს სიტყვები არასოდეს არ მოკვდებიან ისე, როგორც არ მომკვდარან რუსთაველის გმირები. სწორად სთქვა რუსმა პოეტმა ალტაუზენმა პლენუმზე, რომ ავთანდილის და ტარიელის საუცხოო თვისებანი შეისისხლხორცა არა მარტო ქართველმა ხალხმა, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა ხალხებმაო.

ასევე, ქალთა ინტელექტუალური და მორალური სრულყოფილების იდეა რუსთაველს გამოთქმული აქვს არა მარტო ცნობილ აფორიზმში „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“, არამედ ყველა თავისი გმირი-ქალის მოქმედებით, ცხოვრებით, მთელი მათი თავგადასავალით. მთელს პოემაში ვერსად ვერ შეხვდებით სტრიქონს, სადაც ქალი მამაკაცზე დაბლა იყოს დაყენებული, მაღალი გონება, ჭკუა, გამჭრიახობა, სიმტკიცე ახასიათებს როგორც თინათინს, ისე ნესტანს, როგორც ასმათს ისე ფატმანს. ქალი პოემაში არის არა მარტო სატრფო, არამედ მრჩეველი და თავდადებული მეგობარი, ამიტომ მკითხველს სავსებით ბუნებრივად მიაჩნია, როცა რუსთაველს ამ დიდი ინტელექტუალური და

მორალური თვისებებით დაჯილდოვებული ქალები აჰყავს სამეფო ტახტზე და აკისრებს მათ სახელმწიფო მართველობის რთულსა და მძიმე საქმეს... ვის შეუძლია ჩვენი ეპოქის ადამიანებზე მეტად დააფასოს რუსთაველის ეს დიდი იდეა, რომელმაც სრული განხორციელება ჰპოვა საბჭოთა სინამდვილეში და სტალინურ კონსტიტუციაში.

მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად მოიძებნება ძეგლი, სადაც მწერლის იდეა პოულობდეს ისეთს შესატყვის სახეს, როგორც რუსთაველის პოემაში. სახისა და იდეის ეს შეხვედრა არის რუსთაველის პოეტური სრულყოფის საიდუმლოება. რუსთაველის იდეები ამავე დროს მისი იდეალებიცაა. იგი არა მარტო ქადაგებს, არამედ იბრძვის ამ იდეალებისათვის, მაგრამ საუკუნეების მანძილზე ისინი განუხორციელებელი დარჩნენ, რადგან ფეოდალური და კაპიტალისტური წყობილების პირობები ძირშივე ახშობდნენ მათ. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დაიმსხვრენ ზღუდეები, რომლებიც წინ ეღობებოდნენ გენიალური მხატვრისა და მოაზროვნის, დიდი ჰუმანისტის იდეალების განხორციელებას. საბჭოთა ჰუმანიზმში, საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალურ ძმობაში, სტალინურ კონსტიტუციაში სრულ გამარჯვებას ზეიმობს რუსთაველის იდეები — სიყვარულის, მეგობრობის, ერთგულობის, გმირობის, ქალთა თანასწორობის იდეები, ამიტომ მიიღო და დააფასა ჩვენმა ეპოქამ დიდი რუსთაველი.

მაგრამ რუსთაველი ძვირფასია ჩვენთვის არა მარტო როგორც დიდი ჰუმანისტი და დიდი მხატვარი, არამედ როგორც ქართული ლიტერატურული ენის უბადლო შემოქმედი. ხალხური ენის მთელი საიდუმლოების ღრმა ცოდნის საფუძველზე მან შექმნა და უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა ქართული ლიტერატურული ენა. თავის პოემაში მან გამოამჟღავნა ქართული ენის მთელი სილამაზე, მთელი მისი სიმდიდრე, მოქნილობა და დახვეწილობა, რუსთაველმა გვიჩვენა, რომ ქართულ ენაზე შეიძლება გამოითქვას ულრმესი აზრის, გრძნობის და განწყობილების უფაქიზესი ნიუანსები. სწორედ ამით აიხსნება, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ უდიდეს გავლენას ახდენდა მთელი ქართული მწერლობის განვითარებაზე არა მარტო თავისი იდეებით და მხატვრულობით, არამედ ენის დაუშრეტელი სიმდიდრით. რუსთაველის ენის ეს სიმდიდრე და ხალხურობა რჩება ჩვენი საბჭოთა მწერლობის იდეალად ისე, როგორც მისი შემოქმედების ძირითადი იდეები სცოცხლობენ და სახიერდებიან დიადი საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და ცხოვრების პრაქტიკაში.

რუსთაველის მიმართ ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ ის სიტყვები, რომელიც რუსეთის დიდმა მოაზროვნემ ბ. ბელინსკიმ სთქვა უკვდავ პუშკინზე. რუსეთის გენიოსი პოეტივით რუსთაველი ეკუთვნის „იმ მარად ცოცხალ და მოძრავ მოვლენებს, რომლებიც არ იყინებიან იმ წერტილზე, სიკვდილმა რომ მოუსწრო მათ, არამედ განაგრძობენ განვითარებას საზოგადოების შემეცნებაში. ყოველი ეპოქა ამბობს თავის აზრს მათ შესახებ და რა სწორადაც არ უნდა გაიგოს ამა თუ იმ ეპოქამ ეს მოვლენები, იგი მაინც დაუტოვებს შემდგომ ეპოქას სათქმელად რაღაც

ახალს უფრო სწორსა და ჭეშმარიტს, მაგრამ ვერასოდეს ვერც ერთი ეპოქა ვერ ამოწურავს მათ".

ყოველი საუკუნე, ყოველი დრო აფასებდა რუსთაველს. თვით შავბნელი საუკუნეების დრომ, რელიგიური ფანატიზმის დრომ ვერ შესძლო „ვეფხის-ტყაოსნის" მოსპობა, მისი მოწყვეტა ხალხის გულიდან, რომელმაც იგი მიიღო თავის საუნჯედ, გმირობისა და სულიერი სიმტკიცის შთამგონებელ ძალად. ხალხის მტრებს ეშინოდათ რა რუსთაველის იდეების ძლიერებისა, ცდა არ დაუკლიათ მის გასანადგურებლად. მას სწვავდნენ კოცონზე, ჰყრიდენ წყალში, მაგრამ პოეტ აკადემიკოს პავლო ტიჩინას თქმისა არ იყოს, „ვეფხის-ტყაოსანი" არც ცეცხლში იწოდა და არც წყალში იძირებოდა.

და დღეს, რუსთაველი მთელი თავისი ძლიერებით მოვიდა ჩვენს დიად ეპოქაში, დღეს იგი ფეხზე წამოდგა, დღეს იგი ჩვენს შორისაა და მისი სიტყვები ხვდება დიადი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების და ოლქების სხვადასხვა ტომის შვილთა გულს.

რუსთველის დიდი იდეალები განახორციელა ჩვენმა ეპოქამ. რუსთაველის გმირების მაღალი ინტელექტუალური, მორალური თვისებანი სრულყოფილი არიან ლენინ-სტალინის ეპოქის მოწინავე ადამიანებში. ეს თვისებები—სიმამაცე, გმირობა, ვაჟკაცობა, ულმობელობა მტრებთან ბრძოლაში, დაუღალავი მისწრაფება გადააქციოს ადამიანის ცხოვრება მთლიან ბედნიერებად შესისხლხორცებული აქვთ პირველ ყოვლისა სოციალიზმის მშენებელი ეპოქის მოწინავე შვილებს, რომლებიც შეუდრეკლად წინ მიისწრაფიან გამარჯვებიდან გამარჯვებამდე და გვაძლევენ უბადლო ნიმუშს, თუ როგორი უნდა იყოს მშრომელი კაცობრიობისათვის მებრძოლი ადამიანი, ადამიანი, რომელსაც ასეთი მომხიბლველი, წარმტაცი ხმით უმღერა „ვეფხის-ტყაოსნის" შემქმნელმა დიდმა რუსთაველმა.

ელიზბარ უგილავა

კიროვის ძეგლი უკვალოების ხეივანში

მის სიტყვის ლახვარს მტერბი იცნობდნენ,
რომ არ ჩვეოდა მიზნის აცდენა;
მოგვიკლეს, მაგრამ არის სიცოცხლე
სახელოვანი გმირის დაცემაც.

ბაღში აღმართეს მებაღეებმა
ისევ კიროვი მარად მგზნებარი,
კიროვს შეჰხარის მწვანე ხეებად
ბალი კიროვის ნაოცნებარი.

ის მარმარილო თითქოს გვიამბობს,
ბაღში მზემ შუქი როგორ ჩათოვა;
მან სიცოცხლეში ვარდები დარგო,
ვარდმაც სიკვდილში არ მიატოვა.

დგას ვაჟკაცურად, გასცქერის ვარდებს,
ქვეყნის გულისთქმა თვალწინ გაშლია.
ისევ ფოლადის სიმტკიცე ადევს,
ისევ მეტყველებს, ისევ ხალხშია.

მებაღე ისევ კიროვს შეჰხარის,
რომ დასტრიალებს თავზე მზის ალი.
ბაღში დგას, როგორც რკინის კლდეკარი,
ჩვენს მიწის მკერდზე დანაფიცარი.

ხემერიან ისიანი

რუსთველი კრემლში

დამქონდა ნატვრა გულმოუთქმელი,
გულში სათუთად ღამის მთეველი:
თვალით მენახა შოთა რუსთველი,
დრო-ჟამისაგან დაუძლეველი.
მენახა იგი, მგზავრი გვიანი,
ვინც ადიადა სიტყვა მგოსნური, —
მენახა შოთა ფრთისკალმიანი,
კვლავ სიმღერებით ჩვენთან მოსული...
თითქოს ვიხილე შავი მერანით,
მზის ჩანგიანი მკლავლონიერი...
შორით ისმოდა ლექსთა ბგერანი
და ელვარებდა მგოსნის იერი.
სწრაფად მოშვილდა მერანი მკაცრი,
შემოსცინოდა მხედარს მთა-ბარი,
კრემლს მოაშურა, სადაც ლომკაცი
ეგულებოდა მზის თანაბარი.
ალარ ცურავდა კრემლების ტბაში,
ალარც წარსულის აჩნდა ზიანი,
შემოჰყვა ტაში,
დაუხვდა ტაში,
დაუხვდა ხალხი ნათელმზიანი...
და თქვა მგოსანმა: მტრისა განათელი,
ვინც ამარიდა ბნელი საფლავი,
ვინც გადამფინა ქვეყნად ნათელი
და არ დამტოვა დაუდაფნავი,
ვინც ხალხის ნამდვილ მხსნელად შობილა,
ვისზეც მღერიან მთიდან ბარამდი,
ვინაც ერები დააძმობილა

და სიხარული მოგვცა მარადი, —
მას ჩემი ოდა, ჩემი დიდება,
წიგნიც — დრო-ჟამის ნაჯირითევი...
კრემლში მღეროდა ხალხთა დინება
და შრიალებდნენ შოთას რითმები..
ბრწყინავდა ზეცის დასალიერი,
ბრწყინავდა შოთა ჰანგთა მფლობელი
და კვლავ ელეროდა ჩანგი ძლიერი,
ყინულის მთათა გამალხვობელი:
ბნელში ვუმღერდი გმირებს ერთგულად,
მათი დიდების გამომსახველი,
ახლა რომ ხალხში გადანერგულა, —
იფერფლებოდა ჩემი სახელი...
დღეს კი მეღირსა... გავჭერ წყვდიადი,
მწარე წარსულის კარი დავხურე,
ვნახე ქვეყანა უხვი, დიადი,
ჩემი ნამდვილი მოჭირნახულე...

შალვა ამისულაშვილი

ომგადახდილი წიგნი

გადუქროლია მრავალ წელიწადს,
არ გაგცვეთია სიტყვის ბექთარი;
დაჰკრა საათმა, — და მეც მეღირსა:
მენახე წიგნი დაუტერფავი.
მოგენდე ბავშვი,
ოცნებით სავსე,
ბწკარების წყებამ სიბრძნე მაწოვა, —
და ამიყოლია ცხოვრების გზაზე
აყვავებული ყმაწვილკაცობა...
ომგადახდილი,
ნაგრიგალები,
ჩემს მაგიდაზე სუნთქავ სიამით;
მოვალ, დავჯდები... და ლიმნარევი
გულს გადამიშლი ნელი შრიალით.
გულს გადამიშლი, —
და მე მგონია:
უღრუბლო ზღვაზე სივრცეს გავცქერ;
ცეკვენ ტალღები, ზღვის ჰარმონია
ძარღვებში მივლის, როგორც ჩანჩქერი...
რამდენი წიგნი
წაიღო ბნელმა
უქარტეხილოდ, ბრძოლის გარეშე, —
შენ კი — ასწლოვან ხანძრების ელვა
საკუთარ მკერდით მოითარეშე...

გამოიდარა,
მოხვედი ჩვენთან,
შუბლი გაშალე, შუქს იტყორცნები—
და გიმღერიან მასებთან ერთად
ხმალშეუვალი ქვეყნის მგოსნები:
— დღეს შენი ხსოვნა
როგორ დაშრება...
ზარივით გრგვინავს ბგერა ქართული.
შენ ხარ გრძნობების მოერთბაშება
მზიან აზრებში გადახლართული..

———

ბ. კალანდაძე

ოთა ოჭიაველი

ჩვენს ქვეყანაში რვაასი წლის წინ
ის ავრცელებდა მზიურ სინათლეს,
ხალხს დაუტოვა ნუგეშად წინსვლის
ლექსად ნათქვამი სიბრძნე-სიმართლე.

მას, როგორც ბნელში სინათლის
მახვილს,
ეტანებოდნენ გზადაგზა ხარბად.
რვა საუკუნე მღეროდა ხალხი
სიყვარულის და გმირობის ამბავს.

თვითონ ის, თურმე ის ჩირაღდანი,
მგოსნის ოცნებად რომ დასახულა,
იყო ბრძენი და სიტყვის სარდალი,
მეფის კარზედაც იყო მსახურად.
ნახა ბეთლემი, ნახა ბაღდადი,
ერუსალიმიც მოინახულა,
გამოიარა დიდი ზამთარი
და საბჭოეთში გაიზაფხულა.

ᲕᲐᲮᲘᲚ ᲚᲝᲛᲘᲫᲔ

რუსთველი

როგორ შეგხარის ქვეყანა!
რა ხარ? რომელი მნათობი? —
მაგ შუბლზე მადლი ეყარა
ცხრა მზისგან გადმონათოვი!..
ცა შენი ეშხის ფერია,
მიწა შენ აზრთა მსახველი;
ხალხს დროშად გარდაჰფენია
ნაზარნიშები სახელი!..
როცა სამშობლო სტიროდა,
გვყავდი იმედის მეტყველი, —
ხარ სიყვარული, გმირობა
და სიბრძნე დაუშრეტელი.
საუკუნენი გადიან,
კვლავ ცოცხლობ ლექსის ძალითა,
ტარიელიც თავს გადგია
ვეფხის ტყავ-მოსასხამითა.
მოხვალ შორიდან, გვიცინი,
დაგვცქერი მაღალ გორიდან,
გადმონაკვეთი მზის სხივი
შენი სტრიქონი მგონია.
შობილხარ საგანთიადოდ,
ცის მღიმარება გფარავდა, —
შენმა სიმღერამ, დიადო,
მსოფლიო მოინავარდა!....
გმირი არ დაგვიგვიანე,
ახალი ბედის მჭედელი;
დავლეწეთ, დავანიავეთ
ქაჯეთის ცეხის კედელი.

ხმალი კვლავ ელავს გამჭრელი,
თუ შეძახება გაისმა,
ვავიწევთ რკინის მარჯვენით,
ვართ ჯუღაშვილის გვარისა!!..
ვართ ჯუღაშვილის გვარისა
და შენი ჩამომავალნი;
ზვირთნი ვართ ნიაღვარისა,
დაუღეველი, მრავალი.
გულმა ლაჟვარდი მოისხა,
ლაჟვარდი ჯერ არ ნახული,
დროშა ძმობის და ტროფობისა
შენშია გამოსახული.
ნანატრ მიზნებთან მივედით,
ვართ ჯაფაგადატანილი;
საკაცობრიო იმედი, —
ცამდე ამაღლდა სტალინი.

აპოლონ ჟუთელია

რუსთაველს

შენი სიბრძნე ხალხში გახდა
უკვდავების წყაროს წვეთი,
შენ სიცოცხლე ისევ გახლავს,
როგორც ზეცას — ფერი მტრედის.

შენი თვალი ისევ ბრწყინავს,
სტრიქონს სხივად მოხვედრილი,
მიწის ყდაში ალარ გძინავს —
ხარ მზის მოსვლა ყოველ დილით.

შენი ფიქრი — ზღვის რწევაა —
შუქი ზვირთებს ჩახვეული,
თვალი — ხმლების მოქნევაა —
ვით ვარსკვლავი დარხეული.

მნათობივით მოხველ ხალხში —
მწველი გრძნობა დაგერწია,
რომ სინათლე ცეცხლის ხმაში
მზის ფარამდე აგეწია.

კოტე ბიმშიაშვილი

ქალთა სასძლოს სახსოვარი

1.

იამანიძის გორაზე ზარი დარეკეს. ეს ზარი უწინ ეკლესიისა გახლდათ; სამრეკლოდან ჩამოღებისას ზარი საფლავის ქვას დაეცა და გაიბზარა. ხოფლის მჭედელმა უმკურნალა, მაგრამ სკოლაში ჩამოკიდებული ეკლესიის ზარის ხმა ისევე გამოიცვალა, როგორც თხუთმეტი წლის წინ საკუთარი ხელით გაკრეჭილი მამა ივანე, რომელმაც დალაქობას მიჰყო ხელი, ჯერ დიაკვანი და მნათე გაპარსა, შემდეგ სხვებიც მიაყოლა, და ამჟამად საკოლმეურნეო სადალაქოს გამგე და ერთადერთი თანამშრომელი ივანო დალაქი გახლდათ. მოკლედ, ზარმა დაიჟღარუნა და ამცნო კოლმეურნეებს სკოლის ეზოში მოგროვილიყვნენ.

გლახუკამ სახარაზო იარაღი ყუთში ჩააწყო, შეიტანა ცარიელ სასიმინდეში, სადაც იგი დროებით იყო დაბინავებული, კუფხეში მიკეცილ ლოგინიდან ოთხი მეშის ნაჭერში გახვეული რაღაც მძიმე ნივთი გამოიღო, უბეში ჩაიდო, სასიმიდნეს კარები ბოქლომით გადაკეტა და იამანიძის გორისკენ გასწია.

იამანიძის გორაზე ორსართულიანი, ყავრით გადახურული ქვითკირის შენობა იდგა. გლახუკამ თავის ბავშვობა და ადრე სიჭაბუკე იმ სახლში გაატარა, და ეხლა, ორღობეებში აუჩქარებლად მიმავალ მოხუცს უნებურად აგონდებოდა წარსული.

უწინ ის სახლი შეძლებული აზნაურის — ბარდღა იამანიძისა იყო. გლახუკას ბარდღა ფხიზელი არ ახსოვდა; დილით ნაღვინევი ადგებოდა ხოლმე აზნაური, პილპილიან ტყემალში მჭადის ყუას ჩაუწებდა, უგემურად გადაყლაპავდა, ცეროდენა ყანწით ჭაჭის არაყს დააყოლებდა, ლურჯას შეაკაზმინებდა და დაბარებულივით გასწევდა მახლობელ რკინისგზის სადგურისაკენ. იქ, სადგურთან მიდგმულ დუქნებში, თავს იყრიდა მთელი იმ კუთხის აზნაურობა. ნარდს თამაშობდნენ, ლაზღანდაროობდნენ და სვამდნენ. საღამოხანს არეული ნაბიჯით გამოვიდოდა ბაქანზე ბარდღა და მეისრეს მიმართავდა:

— ბიჭო, წავიდა მატარებელი?..

— წავიდა, ბატონო...

— კი მარა, ზარი რომ არ ყოფილა!..

— იყო, ბატონო...

— იყოვო! აბა მე ყრუ ვყოფილვარ, შე მამაძაღლის შვილო!...

და ისეთ ალიყურს აჭმევდა, რომ მეისრე, თავის ფერადი სანათურებითა და დროშებით, შემაღლებულ ბაქანიდან მაზუთიან ლიანდაგებზე გაიშლებოდა: სადგურის უფროსი და ამფსონები დააწყნარებდნენ ბარღლას, ნახევრად ამოღებულ ხანჯალს ჩააგებინებდნენ, ლურჯაზე შესვამდნენ და სახლისაკენ გამოისტუმრებდნენ. ლურჯა, რაკი სადგურს ზურგს შეაქცევდა, მხედრის ქანჯალს ყურს აღარ უგდებდა და ჩალის მოლოდინში უზადო თოხარიკით გამოსწევდა იამანიძის გორისკენ. შუაღამისას ბოგირთან ორჯერ გავარდებოდა „სმიტვისსონი“ და იამანიძის სახლში ჭრაქებს აუწევდნენ და მთვლემარე გოგო-ბიჭებს მუჯლუგუნით გამოაფხიზლებდნენ — ბატონი მოდისო!

გლახუკა წინ მიეგებებოდა, ჭიშკარს გაუღებდა, უზანგს დაუჭერდა, სადავეს ჩამოართმევდა, თუ ბატონი კარგ გუნებაზე იყო — მხარში შეუდგებოდა და აივანზე აიყვანდა, თუ არა და... დალახვროს ეშმაკმა ხარის ძარღვისგან დაწნული მათრახის მომგონი. გლახუკა იამანიძეებისას იყო გაზრდილი, რომელიღაც იამანიძეს უცუღლუტია მოსამსახურე გოგოსთან, გოგო მშობიარობას გადაჰყოლია და პატარა გლახუკა სამზარეულოში, თხის რძით გაუზრდიათ. სწორედ ამ დროს ბარდღას მეუღლეს ქალი შესძენია; ქალს ნესტანს ეძახდნენ; მაიკო ქალბატონმა პატარა გლახუკას და ნესტანს ერთად ასწავლა ანბანი, „მამაოჩვენო“ და ბოლოს — „ვეფხის-ტყაოსანი“.

აი, გლახუკა სამზარეულოსთან თონისთვის ფიჩხსა სჭრის.

— ბიჭო, გლახუკა!... — იძახის აივნიდან ნაცნობი ხმა. ბიჭს წალდი ჰაერში უჩერდება, ჯერ დააყურებს—ხომ არ შემომესმაო, შემდეგ წალდს გვერდზე გადაისვრის, ბატონის გამონაცვალ, კოჭებამდე ჩაფორიალებულ ახალუხის ღილებს აჩქარებით იბნევს და გამოეხმაურება:

— რა გნებავს, ქალბატონო...

— მოდი აქ ერთწამას, მომწყინდა...

— ამ წუთში გიახლები...

გლახუკა ახალუხის კალთებს აიკეცავს, სირბილით მიიჭრება აივანთან და სასოებით შესცქერის როგორ ჩამოდის თხუთმეტი წლის ნესტანი კიბეზე. ქალი ცალი ხელით თეთრი დარაიის გრძელი კაბის კალთას იწევს, ოქრომკერდით მოქარგული შავი ხავერდის ქოშები მოუჩანს მხოლოდ; მეორე ხელით იღლიაში უჭირავს ალისფერ ატლასის ყდაში ჩასმული სქელი „ვეფხის-ტყაოსანი“. აუჩქარებლად ადგამს პატარა ქოშებს კიბის საფეხურებზე აზნაურის ასული. კაბა ისალტება მაღალ, ნატიფ თეძოებზე და გლახუკა ამჩნევს როგორ ირხევა მარმაშა დარაიის ქვეშ ოდნავ აბორცვილი მკერდი. ტანთან შედარებით პატარა თავი აქვს ნესტანს, მაგრამ ლამაზი; ღაწვები მწიფე ატმის კანს მიუგავს და პატარა ტუჩები — ორ ფურცელს ატმის ყვავილისას; — შავი ნაწნავების ჩარჩოში ჩასმულ სახეს შავი, გაღვივებული თვალები ძაფის მორგვთან მოთამაშე კა-

ტის იერს აძლევს. კიბის ბოლო საფეხური მაღალია და გლახუკა ნესტანს ხელს შეაშველებს, ქალი წამით დაეყრდნობა ბიჭის მკლავს და მიწაზე გადმოხტება; ბიჭი კიდევ დიდხანს გრძნობს მკლავზე ნესტანის თითების შეხებას. გლახუკა მძიმე წიგნს გამოართმევს და ქალვაჟი მხარდამხარ გაემართებიან კაკლის ხისკენ.

კაკლის ძირში გრძელი, ხავსმოკიდებული ლოდი აგდია.

— უი, ფარდაგი დაგვავიწყდა...იტყვის ნესტანი.

— ფარდაგი რად გვინდა, აგერ დაბრძანდი...

გლახუკა ლოდზე ჩამოჯდება, ახალუხის კალთას ქამრიდან ამოიძრობს და ნესტანს გაუფენს. ქალი მუხლებზე გადაფურცლავს ძველებურ, ხელნაწერ „ვეფხის-ტყაოსანს“ და გლახუკას გადასცემს:

— დაიწყე.

წერა-კითხვა ერთად ისწავლეს, მაგრამ ნესტანს კითხვის დროს ენა ებმის, ბორძიკობს, გლახუკას მოსმენით კი თვით მაიკო ქალბატონიც სტკბება ხოლმე. გლახუკა ღრმად ჩაისუნთქავს და იწყებს:

„შენ, საყვარელო, ნუ სჭმუნავ ჭმუნვითა ამისთანითა:
ჩემი სთქვა: „სხვათა მიხვდების, იგი ალვისა ტანითა“;
არამ სიცოცხლე უშენოდ, ვარ აქამდისცა ნანითა,
ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა.“

ნესტანი მკლავით და ნიკაპით ეყრდნობა ბიჭის მხარს და ისე იცქირება წიგნში; ბიჭი კისერზე გრძნობს ქალის სუნთქვას, სახეზე ალმური ეკიდება და დაძაბული განაგრძნობს:

„შენმან მზემან, უშენოსა არვის მიხვდეს მთვარე შენი,
შენმან მზემან, ვერვის მიხვდეს, მოცავიდნენ სამნი მზენი,
აქა თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლავნ დიდნი კლდენი;
სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხვდენ ნუთუ ფრთენი!“

მგონი უკვე მეასეჯერ სხედან ისინი ამ კაკლის ძირში და ნესტანის სიახლოვისაგან თუ შოთას გრძნეული სიტყვებისგან საბრალო გლახუკას:

გული მიდამო უარდა, ჰკრთებოდა და ელალვოდა.

გატაცებით კითხულობდა ბიჭი; უნებურად ნესტანის ხელს მონახავდა და სათუთად მოუჭერდა მის თლილ თითებს თავის ხელს, თან მხარზე გრძნობდა ქალის მკვრივი მკერდის შეხებას. ვერაფერმა დაავიწყა გლახუკას ის დღეები. თუნდაც ეხლა, თვალს დახუჭავს და ისევ გრძნობს ნიგვზის ფოთლების სუნს; ნესტანის სუნთქვას კისერზე და ლოყაზე, მწყურვილივით განაბულ მის თბილ ხელს თავის ხელში; ეხლაც ყურში ჩაესმის:

„ზამთარი ვარდსა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცვივიან,
ზაფხულის მზისა სიახლე, დასწვავს, გვალვასა ჩივიან...
სიცხე სწვავს, ყინვა დააზრობს, წყლულნი ორჯერვე სტკივიან.“

ზოგჯერ ბიჭი კითხვას შეწყვეტდა, ნესტანს მიუბრუნდებოდა, ჩააშტერდებოდა გაღვივებულ თვალებში და ახლო, სულ ახლო მიიტანდა თავის სახეს ქალის სახესთან. ქალი წამით გაყუჩდებოდა, შემდეგ ბუსუსებით დაფარული პატარა ტუჩი აუთრთოლდებოდა, ხელს წაართმევდა ბიჭს და ფეხზე წამოიჭრებოდა.

— წაიკითხე, თორემ, წავალ...

იგი ეხლა ისევ აზნაურის ქალი იყო, წარბს ამაყად ასწევდა და ნესტოები ჯიუტად დაენაკვთებოდა.

— კი ბატონო...

უპასუხებდა ცივწყალ გადასხმული შმაგი-მიჯნური და განაგრძობდა:

„შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,
გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად...“

მხოლოდ კითხვის დროს ავიწყდებოდათ მათ, რომ ერთი ბატონის ქალი იყო და მეორე — ხელზე მოსამსახურე ნაბიჭვარი. როგორც კი შეწყდებოდა შოთას გრძნეულ სიტყვათა დინება — ნესტანი თითქო გამოფხიზლდებოდა და ისევ „ლაღი, უკადრი“ პატარა ქალბატონი იდგა გლახუკას წინ. ნესტანიც რომ ერქვა იმ ცოდვით სავსეს! ერთხელ გლახუკა შეევედრა — ტარიელი დამიძახეო. გლახუკა აბა რა მიჯნურის შესაფერი სახელიაო, ფიქრობდა ბიჭი. ნესტანმა ამ თხოვნაზე ისე ხმამაღლა გადიკისკისა, რომ ეზოს ბოლოდან დედა ბატი ყივილით გამოეხმაურა. გლახუკა დაჰპირდა — მგალობელ შაშვს მოგიყვანო, ცოცხალ ბაჭიასაო, ციცრის კვერცხს მოგიტანო; ნესტანი დათანხმდა ქრთამზე, მაგრამ გულმავიწყობდა და ისევ გლახუკას ეძახდა თავის მიჯნურს. კითხვაში გართულ ბიჭს სამზარეულოდან ხშირად დაუძახებდნენ ხოლმე დასასაქმებლად მაგრამ ნესტანი წარბს შეიკრავდა და გასძახებდა:

— გვაცალეთ ერთწამას!..

ბიჭი მადლიერის თვალით გადახედავდა „გულის ქალბატონს“ და ისევ დაუბრუნდებოდა გაყვითლებულ ტყავის ფურცელზე ხატაველთა ლაშქარივით წამოშლილ, შავი მელნით გამოყვანილ ასოებს, რომელთაც წინ სისხლით ჯუბაშეღებილ ტარიელივით ედგათ წითელი მელნით ჩახატული ასომთავრული.

შემოდგომის ერთ მზიან დღეს, როცა კაკლის ფოთლები ქარვის ფურცლებად ეფინა მიწაზე, ქალვაჟმა, უთუოდ მეასეჯერ, ჩაიკითხეს „წიგნი ნესტან-დარეჯნისა საყვარლისა წინაშე მინაწერი:

„რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვიდისა!“ დააბოლავა გლახუკამ, ნესტანს მიუბრუნდა, თვალებში ჩააცქერდა და ფრთხილად, ფრთხილად მოუჭირა ხელი მის სათუთ პატარა ხელს. მაგრამ ქალი არ გაჯავრდა, არც ხელი წაართვა ბიჭს, მხოლოდ სახე აარიდა, მისთვის უჩვეულო სევდიანი თვალებით მიაშტერდა მიწაზე დაცვენილ, გაყვითლებულ ფოთლებს და ჩუმი ხმით სთქვა:

— იცი, გლახუკა, მე მალე გამათხოვებენ...

გლახუკა ჯერ კარგად ვერ მიხვდა რას ნიშნავდა ნესტანის ნათქვამი, წანაკითხით გაბრუებულ თავში წამსვე გაუელვა:

„რა მოვიდეს, სიძე მოჰკალ მათთა სპათა აუწყვეტლად...“

მაგრამ შემდეგ დაფიქრდა.

— მართლა გათხოვებენ?!

— მართლა. საქმროსგან უკვე ნიშანიც მომივიდა...

ბიჭმა იგრძნო, როგორ გადავიდა სიცივე ხავსიან ლოდიდან მის ტანში და კუნთები შეუბოჭა. ნესტანს წაიყვანენ, აღარ დაჯდება ხოლმე მისი ახალუხის კალთაზე პატარა ქალბატონი, ვეღარ შეხედავს გლახუკა გაღვივებულ შავ თვალებში; „გათავდება ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“. ბიჭის გული დაცარიელდება, გაშავდება და დაჭკნება, როგორც შემოდგომის ნიგვზის წენგო, კაკლის ძირში რომ ეყარა გამხმარ ფოთლებთან.

ნესტანი წყნარად წამოდგა, გლახუკას მუხლებიდან ალისფერი ატლასის ყდიანი მძიმე წიგნი აიღო და ხელში შეატრიალა.

— ეს „ვეფხის-ტყაოსანი“ ჩემი სამზითვოა, — სთქვა ქალმა, — როცა წამიყვანენ — მე შენ ამ წიგნს სახსოვრად დაგიტოვებ.

შემდეგ მიბრუნდა, თავდახრილი აუჩქარებლად წავიდა სახლისკენ, წავიდა და გლახუკა სამუდამოდ მარტო დასტოვა.

მას შემდეგ ისინი ერთად აღარ ყოფილან. მალე იამანიძის ოჯახში საქორწინო ფუსფუსი შეიქნა. გლახუკა რეტდასხმულივით დაბორიალობდა, მარანში გაგზავნეს ღვინის ამოსაღებად და ორშიმო ჭურში ჩააგდო, გოჭი მისცეს გასაპუტად და ხელები მდუღარეში დაიფუფქა, შეშის დასაჩეხად გააგდეს და ნაჯახი ფეხზე დაიკრა. „ნეტა რა გუნებაზეა ახლა ჩემი ნესტანი?“... ფიქრობდა გატანჯული ბიჭი, „ვებრალები? ვუყვარვარ?“... თუ არ ვუყვარდი — რატომ მექცეოდა ასე?.. ბიჭი ამოიოხრებდა და მოიგონებდა გაზეპირებულს:

„მიკვირს, კაცი რად იფერებს საყვარლისა სიყვარულსა?
ვინცა უყვარს, რად აყივნებს, მისთვის მკვდარსა, მისთვის წყლულსა?
თუ არ უყვარს, რად არა სძულს, რად აყივნებს, რაცა სძულსა?!..“

იქნებ უყვარს მაგრამ რა!... ვინ მისცემს ნაბიჭვარს, სხვის კარზე გაზრდილ ოხერს შეძლებულ აზნაურის ქალს. ზოგჯერ სისხლი აუვარდებოდა თავში და აბუტბუტდებოდა:

„კარვის კალთა ჩახლართული, ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე,
ყრმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე...“

ჰო და ამ დროს იყო ნაჯახი ფეხზე რომ დაიკრა! ბოლოს, როცა საქორწილოს მოსვლის დღემ მოაღწია, გლახუკამ ვეღარ გაძლო, თვითონვე შეეშინდა თავისთავის, იამანიძის სახლიდან გაიქცა და ორი დღე მშიერი დაეხეტებოდა მახლობელ რკინისგზის სადგურზე.

გიორგობის თვის დამდეგი იყო და პირველი თოვლიც მოვიდა.

„ახალმან ფიფქმა დათოვლა, ვარდი დართვილა, დანასა,
მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიმართის დანასა...“

სიცივისაგან აბუზული გლახუკა მიყრდნობოდა სადგურის ბოძს და, მწარედ ჩაფიქრებული, გასცქეროდა ოთვლცვენას. ეფინებოდნენ პატარა, თეთრი ფიფქები ჭუჭყიან ბაქანსა და რკინის ლიანდაგებს, ეფინებოდნენ და მაზუთის ლაქებზე ფერს იცვლიდნენ; ასევე უცვალა ფერი მის პირველ სპეტაკ გრძნობას ცხოვრებამ. მართლაც და რა მისი შესაფერი იყო აზნაურის ქალი, მას ვილაც შეძლებულ კაცზე, კარგ გვარისშვილზე გაათხოვებდნენ და ბედნიერიც იქნებოდა. ეჰ, ქაჯეთს ნებით გათხოვილო ნესტან!... ყველა ღარიბისთვის მდიდრის ქალი ქაჯთა სასძლოა.

როცა „ველად გაჭრილი მიჯნური“, დამშეული და გათოშილი დაბრუნდა იამანიძისას, ნესტანი უკვე იქ აღარ დაუხვდა. წასვლისას ქალს მოსამსახურე გოგო-ბიჭები დაესაჩუქრებია და მოხუცი ძიძისთვის დაუბარებია — ჩემი „ვეფხის-ტყაოსანი“ გლახუკას მიეცით.

საწყალ ბიჭს კიდევ უფრო აემღვრა გული. ჩუმად დაჰკოცნა ძვირფასი წიგნის ფურცლები, რომელთაც ოდესღაც ნესტანის თითები შეხებია, ქორწილის მონარჩენ ხაჭაპურის ნატეხთან ერთად ახალუხის უბეში ჩაიდო, არვის გამომშვიდობებია, ისე გამოიპარა და იმავ საღამოს მატარებლით გასწია ჭიათურისაკენ, მაღაროში სამუშაოდ.

მას შემდეგ ბევრჯერ მოვიდა პირველი თოვლი. გლახუკამ ბევრი იხეტიალა, თითქმის მთელი რუსეთი მოიარა, მაგრამ ვერ იშნა, ვერსად მოიკიდა ფეხი.

ხშირად უფიქრია დაბრუნებულიყო თავის სოფელში, მაგრამ ისევ მოჯამაგირედ დადგომას გული არ აძლევდა, საკუთარ მეურნეობას კი ღატაკი და მარტოხელი როგორ შექმნიდა. მხოლოდ რევოლუციის შემდეგ, როცა კოლექტივიზაცია დაიწყო, გლახუკამ გადასწყვიტა ჩასულიყო სოფელში და ახლადდაარსებულ კოლმეურნეობას მიკედლებოდა. იამანიძის სახლში სკოლა გაეხსნათ. ბარდღას და მის მეუღლეს, რასაკვირველია, დიდი ხანია თქვენი ჭირი წაეღოთ, ნესტანი კი არც ახსოვდა ვისმეს. კაკლის ხე, რომელიც სამუდამოდ ჩარჩა ხსოვნაში გლახუკას, მასავით მოხუცებულიყო, ტანი დასქელებოდა — სამი ვაჟკაცი მკლავს ვერ შემოაწვდენდა. ნახევრამდე მიწაში ჩაფლული გრძელი ლოდი ფართო ფოთლებიან სუროს დაეფარა.

2.

— ეხლა ამხანაგებო, გადავიდეთ მიმდინარე საკითხებზე. — გამოაცხადა თავმჯდომარემ. გლახუკას გული აუჩქარდა და კაკლის ძირში, სკოლიდან გამოტანილ სკამებზე ჩამომსხდარ კოლმეურნეებს გადახედა.

— განცხადება გვაქვს განსახილველი, მდივანო გააცანი კრებას...

ჭილოფის ქუდიანი თავმჯდომარე დაჯდა და ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი წამოდგა. ქალმა შუბლზე ჩამოცვენილი, შეკრეჭილი თმები უკან გადივარცხნა, პატარა მაგიდიდან ქაღალდის ფურცელი აიღო და ხმამაღლა წაიკითხა:

განცხადება

ამაგე სოფ. მცხოვრებ გლახუკა
მწყერაშვილისაგან.

—

მე საწუთრომ დამაშორა ჩემს სოფელს და ჩემთა სწორთა. ყოვლი პირი ქვეყანისა მოვვლე, სრულად მოვიარე, ასრე რომე ცისა ქვეშე არ დამირჩა არ ვიარე. ახლა დავუბრუნდი ჩემს სოფელს, ვარ ხელობითა ხარაზი. ღარიბი, ყოვლად უსახსრო, ცარიელ სასიმინდეში ვბინადრობ. აწ გე.... გე..."

ქალმა წაიბორძიკა და თავმჯდომარეს გადახედა.

„აწ გეაჯებით მიმიღოთ თქვენს კოლმეურნეობაში,"

— იმე!... — წამოიძახა ვილაცამ.

„ძმა ძმისთვის შავი დღისთვისო — ნათქვამია," განაგრძობდა კითხვას მდივანი, „დამეხმარეთ და მეც შეგეწევით ჩემის მცირედის სამსახურით. გამცხადებელი გლახუკა მწყერაშვილი."

— რას იტყვით ამხანაგებო, — მიმართა კრებას ჭილოფის ქუდიანმა თავმჯდომარემ, გაჭგეობის აზრით ამხანაგი გლახუკა უნდა მივიღოთ. მაგრამ საჭიროა საერთო კრებამ დაადასტუროს...

— რა უნდა ვთქვათ, ძამია... ბერიკაცია და როგორც შუშახელი მაინცდამაინც...

გლახუკამ სკამზე წამოიწია და შეხედა მოლაპარაკეს. ეს ვანო დალაქი გახლდათ.

„ჰმ... უყურე ამ გაკრეჭილ მოძღვარს!"... გაიფიქრა გლახუკამ, უნდოდა მკვახედ ეპასუხნა რამე ნამღვდლარიხათვის, მაგრამ თავი შეიკავა — „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო".

— ქონება თუ აქვს, ქონება... — დაიძახა ვილაცამ უკანა რიგიდან.

— განცხადებაში არაფერია ნათქვამი და... თავმჯდომარემ გლახუკასკენ მოიხედა, — თითონ თუ გვეტყვის რამეს..

მოხუცი ფეხზე წამოდგა. ღელავდა. მაგრამ ცდილობდა თავი დაეჭ�ia.

— მე რა ქონება გამაჩნია — აღელვებული ხმით სთქვა მოხუცმა, — ჩემი დამტვრეული კალაპოტი, სადგისი და ჩაქუჩი ვის რად უნდა. ერთადერთი ძვირფასი ნივთი ესა მაქვს, — მოხუცმა იღლიისკენ წაიღო ხელი, — თუ გამოგადგებათ — შემოვიტან კოლექტივში. შოთას უთქვამს — „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულიაო..."

მოხუცმა თეთრი მეშის ნაჭერში გახვეული რაღაც ნივთი ამოიღო და თავმჯდომარეს გადასცა. მთელი კრება წამოიშალა და ყველა გაფაციცებით შეჰყურებდა რა აღმოჩნდებოდა მეშის ნაჭერში.

თავმჯდომარემ ფრთხილად გაშალა შეხვეული და გაოცებულმა გახუნებულ ალისფერ ატლასის ყდაში ჩასმული სქელი წიგნი გადაფურცლა.

— „ვეფხის-ტყაოსანი“...—წამოიძახა მასწავლებელმა ქალმა და სახე გაუბრწყინდა, — ძველებური „ვეფხის-ტყაოსანი“... ხალხი აჟრიამულდა.

ოქმში ასე ჩასწერეს: „მიღებულ იქნას კოლმეურნეობის წევრად ამხ. გლახუკა მწყერაშვილი. მის მიერ კოლექტივის კულტფონდში შემოტანილი ხელნაწერი ძველებური „ვეფხის-ტყაოსანი“ გადაეცეს სამკითხველოს.

და ქაჯთა სასძლოს სახსოვარი მინის კარებიან კარადაში ცალკე თაროზე მოათავსეს.

კრიტიკა

ბერონტი ქიქოძე

შოთა რუსთაველი

რუსთაველის შემოქმედება ამთავრებს გრძელ პერიოდს ქართული ლიტერატურის განვითარებაში, ეს პერიოდი რამდენიმე საუკუნე გაგრძელდა და ის მეტად მდიდარია მნიშვნელოვანი და ორიგინალური ნაწარმოებებით. მაგრამ უშუალოდ რუსთაველის შემდეგ იწყება ერთი ყველაზე უბნელესი ეპოქა საქართველოს ისტორიაში: მონღოლების, ხვარაზმელების, თემურლენგის ზედიზედ შემოსევა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ძალების განიავებას იწვევს; საქართველო პოლიტიკურად ნაწილდება; ხალხის შეგნებაში დიდი ხნით იჩრდილება სახელმწიფოებრივი მთლიანობის იდეა.

ქართული ფეოდალური ლიტერატურა თავის აყვავების ხანაში, სახელდობრ XI — XII საუკუნეებში, ხშირად დეტალებშიც გასაოცრად წაგავს თავის თანამედროვე ევროპულ ლიტერატურას, მაგრამ ის გამოჰხატავს უფრო პროგრესიული, უფრო თავისუფლად მოაზროვნე, კლასიკური საბერძნეთის და რომის მსოფლიოსთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებული საზოგადოების იდეოლოგიას. დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და ლაშა გიორგის ქრონიკები, შავთელის ოდები, ჩახრუხაძის ელეგია, რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანი“, შემდეგ ახტალის, ბეთანიის, ყინწვისის, უბისის საფრესკო მხატვრობა რენესანსის სულითაა გამსჭვალული: XI — XII საუკუნეების მოწინავე ქართველი საზოგადოება, შეიძლება, უფრო ახლო იდგეს კოზიმო მედიჩის და ლორენცო ბრწყინვალის დროის განათლებულ ფლორენციელებთან, ვიდრე თავის თანამედროვეებთან, ტლანქ დასავლეთ ევროპელ ჯვაროსნებთან.

დახეთ როგორ უკან გადასროლილი და ჩამორჩენილი სჩანს იგივე ქართველი საზოგადოება XVII საუკუნის დასაწყისში, როცა საშინელი ეროვნული კატასტროფის შემდეგ, რომელიც ლამობდა საბოლოოდ წაელეკა ყველა კულტურული ღირებულებანი, ხალხი თითქო ხელახლა იღვიძებს და ინტუიციით ახალ გზებს ეძებს აღორძინებისათვის. მაგრამ რადგან ქალაქები დანგრეულია, მსოფლიო სავაჭრო გზები გადაჭრილია,

და საქართველო წინააზიის მოწინავე სახელმწიფოდან, რომელიც გავლენას ახდენდა საერთაშორისო პოლიტიკაზე, გადაქცეულია ვიწროდ შემოზღუდულ პროვინციად, ამიტომ მისი ლიტერატურა და მხატვრული კულტურაც უკვე მოკლებულია ადრინდელ ბრწყინვალებასა და გაქანებას. „მეცნიერებათა და ხელოვნებათა“ თავისებური აღორძინების მატარებლად საქართველოში XVII — XVIII საუკუნეში გამოდის არა ჰუმანისტურად განათლებული ბურჟუაზიული ინტელიგენცია, როგორც, მაგალითად, ორი საუკუნის წინად იტალიასა, გერმანიასა და საფრანგეთში, არამედ ფეოდალური წოდების მოწინავე რაზმი, რომელიც თანდათანობით იცვლის კულტურულს ორიენტაციას და ირანიდან პირს იბრუნებს რუსეთსა და დასავლეთ ევროპისაკენ.

უძველესი ლიტერატურული ძეგლები, რომელთაც დამოუკიდებელი მხატვრული მნიშვნელობა აქვთ, დაკავშირებული არიან ქრისტიანობის შემოსვლასა და პროპაგანდასთან საქართველოში: ესაა ე. წ. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, რომლის ყველაზე არქაული ნიმუშები მეხუთე-მეექვსე საუკუნეებით თარიღდება. ამ ლიტერატურის ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლში, რომელიც აკადემიკოსმა ნიკო მარმა აღმოაჩინა და გამოსცა, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, ცალკე ნოველების სახით ჩართულია საუცხოო რომანტიული ეპიზოდები, რომლებიც მაღალი ფეოდალური საზოგადოების თავისუფალ სიყვარულს ხატავენ; თვით ნაწარმოების ავტორი კლერიკალურ-ასკეტური მორალის თვალსაზრისით მკაცრად ჰგმობს ან „სულის გამხრწნელ“ გულისთქმის დამონებას. ხელმწიფეებს „სიძვის დედაკაცები“ მოჰყავთ სასახლეებში და ციხეებში, „ეშმაკის მანქანებით“, „ტრფიალების ეშმაკის“ ჩაგონებით ისინი ეყრებიან კანონიერ მეუღლეებს, ისინი მრუშობენ სეფექალებთან ან მხევლებთან და სხ.

ამ ლიტერატურას ხშირად ახასიათებს გამძაფრებული ეროვნული შეგნება, რომელიც ხანდახან თითქმის მესიანიზმში გადადის: ჭაბუკ მოღვაწეს, რომელიც შემდეგ სახელოვანი მთარგმნელი გახდა, ღვთისმშობელი გამოცხადების დროს ქართულად ესაუბრება, ქართული ენა ცხადდება არჩეულ ენად, რომელზედაც ღმერთი მთელ კაცობრიობას გაასამართლებს მეორედ მოსვლის დროს და სხ.

ეს ჰაგიოგრაფები შოთა რუსთაველის წინამორბედები არიან, არა იდეოლოგიით და მორალური შეხედულებებით, რასაკვირველია, არამედ იმ ინტერესით, რომელსაც ისინი სინამდვილისადმი იჩენენ, ადამიანის სულის ცოდნით, ადამიანური გულისთქმათა რეალისტური ასახვით. საშუალო საუკუნეების ქართველ რელიგიურ მოღვაწეთა მსგავსად რუსთაველის მთავარი გმირიც უდაბნოში გარბის, მაგრამ მას სწვავს არა სარწმუნოების, არამედ სიყვარულის ცეცხლი. მის შეგნებაში ღვთისმშობლის კულტის ადგილი უკვე საყვარელი ქალის კულტს აქვს დაჭერილი.

მაგრამ თუ რუსთაველი ძველი ქართული ლიტერატურის ზოგიერთი ჯანსაღი ტრადიციის დამცველი და გამაგრძელებელია, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მან ამ ლიტერატურის სრული რეფორმა მოახდინა.

„ვეფხის ტყაოსანთან“ შედარებით ძველი ქართული ლიტერატურის საუკეთესო ძეგლები დღეს მაინც არქაულად და ცალმხრივად გვეჩვენება. რუსთველმა, უწინარეს ყოვლისა, სალიტერატურო ენა განაახლა, ამით თავის პოემას გასაოცარი გამძლეობა მიანიჭა საუკუნეთა მანძილზე. თუ ეს ასე არ ყოფილიყო, „ვეფხის-ტყაოსანი“ ვერ გადაიქცეოდა ერთერთ უდიდეს საორგანიზაციო სულიერ ფაქტორად, რომელმაც ხელი შეუწყო ენის დაცვას უმძიმესი გაჭირვების დღეებში. მან გამოიყენა ხალხური ლექსის ზომა, ე. წ. თექვსმეტ მარცლოვანი შაირი, რომელიც თითქმის სრულიად უცნობი იყო ძველი მეხოტბეებისა და ჰიმნოგრაფებისათვის. ბოლოს, მან წარმტაცი სიუჟეტი მოგვცა ახალი ფილოსოფიური და ეთიკური სოფლმხედველობის საფუძველზე.

გადმოცემა ამბობს, განათლება მან ბიზანტიაში მიიღოვო. ეს ადგილი შესაძლებელია. ის ამჟღავნებს ძველი ბერძენი ფილოსოფოსების ცოდნას, თუმცა მხოლოდ პლატონს ასახელებს; უცილობლად კარგაც იცნობს ნეოპლატონიკოსებსაც. საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ მეფეები XII საუკუნეში ნიჭიერ ახალგაზრდებს კონსტანტინეპოლში გზავნიდნენ სასწავლად. იმ უმაღლესი სასწავლებლის მსგავსად, რომელიც ბიზანტიაში კონსტანტინე მონომაქმა დააარსა, ანუ უკეთ ვსთქვათ განაახლა, საქართველოშიც, გელათსა, იყალთოში დაარსებულ იქნა აკადემიები, სადაც საღვთისმეტყველო საგნებს გარდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათაც სწავლობდნენ. თუ შოთას არ შეეძლო ბიზანტიელი ნეოპლატონიკოსების ლექციები მოესმინა, ყოველ შემთხვევაში, ის ალბათ, იცნობდა მანგანის აკადემიის ქართველი მოწაფეების, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწონელის და სხვ. შრომებს.

რუსთაველის გმირებიდან ნეოპლატონიკურ ფილოსოფიურ სპეკულაციას ყველაზე უკეთ თითქო ნესტან-დარეჯანი უნდა იცნობდეს. როგორც ეტყობა, მის აღმზრდელს, ქაჯეთში დაქვრივებულ დავარს მისთვის ელინური წარმართული სიბრძნის ყველა საიდუმლოება გაუცნია. ქაჯეთის ციხიდან თავის რაინდს ის სწერს წერილს, ქალურად მგრძნობიარეს და სტოიკურს ერთსა და იმავე დროს; საერთოდ ავთანდილის ცნობილ ანდერძთან ერთად ესაა ნამდვილი ფილოსოფიური ეპისტოლე. მიწიერი და ზეციერი სიყვარულის ტემაზე, რომლის ავტორობა სათაკილო არ იქნებოდა არც ერთი იტალიელი ჰუმანისტისთვის რენესანსის ეპოქიდან. ნეოპლატონიკოსების თანახმად ნესტან დარეჯანი ადამიანის სულს მზის ნაწილად სთვლის, ხოლო ადამიანის გარდაცვალებას იმ ოთხი ელემენტისაგან განთავისუფლებად, რომელთაც ბერძნული ნატურფილოსოფია იცნობდა: ესენია მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი. მზეზე ეუფლებიან საბოლოოდ ერთმანეთს შეყვარებული არსებანი, რომელნიც გახთავისუფლდნენ ამქვეყნიური ცხოვრების ტვირთისა და ტანჯვისაგან; ისინი იქ დღისით და ღამით სხივოსანი დისკოს ელვათა კრთომას უცქერიან ბევრად ნაკლებ ფილოსოფიურ ინტერესს იჩენს თვით ვეფხის ტყაოსანი რაინდი, მაგრამ ეტყობა მისთვისაც უცნობი არაა პლატონის და პროკლე დიადოხის იდეები. დამშლიან ჩემი ელემენტები („კავშირნი“), შეჰ-

რთვიან სულთა კატეგორიას („სირასა"), ეუბნება ის ავთანდილს, როცა ეს უკანასკნელი მას უდაბნოში იპოვის დახოცილ ლომსა და ვეფხს შორის: — სიკვდილის მოახლოვება ლხენის მოახლოვებაა, აქ გაყრილი მიჯნურნი იქ გავიხარებთ ერთმანეთის ნახვით.

მაგრამ დიდი უკულმართობა იქნებოდა რუსთაველი მწიგნობარ ნეოპლატონიკოსად მიგვეჩნია, მხოლოდ იმიტომ რომ მისი გმირები ნეოპლატონიკურ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას ხმარობენ. უკულმართობა იქნებოდა აგრეთვე რუსთაველის პოემაში დაგვენახა მხოლოდ მხატვრული გაფორმება სამშობლოს სინამდვილის ფაქტებისა და საბერძნეთ-რომის მსოფლიოდან მომავალი იდეებისა. „ვეფხის-ტყაოსანი" სინტეზს წარმოადგენს, კლასიკური კულტურის, საშუალო საუკუნეების ქრისტიანული დასავლეთის და მუსლიმანური აღმოსავლეთის ელემენტების სინტეზს, რომელსაც პარალელი არ აქვს საერთაშორისო ლიტერატურაში. ეს მეტად ორიგინალური მხატვრული სინტეზი შესაძლებელი იყო მხოლოდ საქართველოში, ორი კულტურული მსოფლიოს მიჯნაზე; ის შესაძლებელი იყო მხოლოდ XII საუკუნეში, საქართველოს ისტორიის ე. წ. „ოქროს საუკუნეში", როცა ბაგრატიონების ფეოდალურმა მონარქიამ უმაღლეს ძლიერებასა და ბრწყინვალებას მიაღწია, როცა ის მრავალერიანი სახელმწიფო გახდა, როცა მან თითქმის მთელი ტერიტორია დაიჭირა კავკასიონის ქედსა და არზრუმს შორის; იმ დროს ტრაპიზონის იმპერია, სომხეთი და შირვანი მათთან შეგობრული ან ვასალურ ურთიერთობაში აღმოჩნდნენ. ვიწრო ნაციონალური და რელიგიური ზღუდეები გადალახულია, უმაღლეს არისტოკრატიაში ქართველების გვერდით სომეხ გრიგორიანები და მუსლიმანები იწყებენ აქტიურ როლის შესრულებას; ხშირი ხდება ქორწინება ქრისტიან პრინცესებსა და მაჰმადიან მფლობელებს შორის და პირუკუღმა. არაბების საბოლოო დამარცხებისა და თბილისის საამიროს მოსპობის შემდეგ დავით აღმაშენებელს სრულიადაც არ გამოუჩენია სარწმუნოებრივი შეუწყნარებლობა. პირიქით, როგორც ქართველი და არაბი ისტორიკოსები ამტკიცებენ, მან საგანგებო შენობა ააგო მაჰმადიანი სუფიებისა და პოეტებისათვის, მათთვის სუფსიდიების გაცემა დაიწყო სახელმწიფოს ხაზინიდან და არ ითაკილა პირადად დასწრებოდა მათს დღესასწაულობრივ სხდომებს, შესულიყო მათ მეჩითში. თუ ქართველი ახალგაზრდობა თეოლოგიასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათ ბერძნების სკოლებში სწავლობდა, მედიცინის და ასტრონომიის გაცნობა მეტის წარმატებით არაბების დახმარებით შეძლო; ეს ნათლად სჩანს რუსთაველის პოემიდანაც, სადაც თითქმის ყველა მედიკური და ასტრონომიული ტერმინი არაბული წარმოშობისაა.

მაგრამ ქართველი ერის განთავისუფლებას რელიგიური და ნაციონალური კარჩაკეტილობისაგან და საერო პოეზიის აყვავებას განსაკუთრებულად ხელი შეუწყო ირანული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების გაცნობამ გადმოთარგმნისა და გადმოკეთების შემწეობით; თვით ირანული ლიტერატურა სწორედ ამ ეპოქაში აღწევს თავის განვითარების

უმაღლეს წერტილს. „ტრისტანისა და იზოლდის“ აღმოსავლეთური ვარიანტის—„ვისრამიანის“ ქართული პროზაიკული თარგმანი ალბათ „ვეფხის ტყაოსანის“ დაწერამდე შესრულდა. მაგრამ, როგორც „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტის ანალიზიდან სჩანს, რუსთველს სცოდნია გურგანელი პოეტის რომანის ორიგინალი. ის ასახელებს „ვისრამიანის“ მთავარ გმირებს, ის იქიდან თვით მხატვრულ სახეებსაც სესხულობს: ვისის (აგრეთვე იზოლდის) მსგავსად თინათინსაც საყვარელ რაინდთან შეხვედრის დროს ტიტველ ტანზე ყარყუმის წამოსასხამი ასხია, რამინის მსგავსად ავთანდილი თავის სიმღერით ქვებზეც კი ახდენს გავლენას. მაგრამ ფახრედინ გურგანელისათვის, რასაკვირველია, სრულიად უცხოა შოთა რუსთაველის ზნეობრივი იდეალიზმი; კერძოდ მისი მძაფრი სენსუალიზმი დაშორებულია ქალ-ვაჟის სიყვარულის ამაღლებულ გაგებას, რომელსაც რუსთაველი იძლევა თავის პოემაში. მეორე მხრივ „ვეფხის ტყაოსანის“ გმირების სიყვარული არ არის წმინდა ინტელექტუალური სიყვარული, „სიყვარული შორეული პრინცესისადმი“, რომელსაც ხშირად უგალობდნენ მისი თანამედროვეები, პროვანსალელი ტრუბადურები: ბოლოს და ბოლოს, მრავალ დაბრკოლებათა დაძლევის შემდეგ, რუსთველის ქალ-ვაჟნი მაინც ამ ქვეყანაში ერთდებიან. და ეს მომენტი ქართველ პოეტს ანსხვავებს მეორე ირანელი პოეტისა, მისი სახელგანთქმული თანამედროვისა, ნიზამი განჯელისაგან.

თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ნიზამიმ საქართველოს მეზობელ მუსლიმანურ სამეფოებში გაატარა, ის ხან შირვანში ცხოვრობდა, ხან ადარბადაგანში. ადვილი შესაძლებელია, რომ შოთა რუსთაველი პირადად იცნობდა მას: ის შეიძლებოდა მას შეხვედროდა პოეტურ ტურნირში, რომელიც უცხოელ სტუმართა მონაწილეობით თამარ მეფის კარზე გაიმართა შამქორის ომის წინ. ყოველ შემთხვევაში, უცილობელია, რომ რუსთაველი კარგად იცნობს ნიზამის ერთერთ მთავარ ნაწარმოებს, მის რომანტიულ პოემას „ლეილ-მეჯნუნიანს“: ცნობილ რომანტიულ გმირებს შორის, რომელთა ტანჯვა ვერ შეედრება ტარიელის ტანჯვას, რუსთაველი ახსენებს კაინს, ის იგივე ყაისი ანუ მეჯნუნია. ქართველ და ირანელ პოეტს ზოგიერთი მეორეხარისხოვანი მომენტი საერთო აქვთ: „ვეფხის-ტყაოსანშიც“ და „ლეილ-მეჯნუნიანშიც“ შეყვარებულ ქალვაჟს დაბრკოლება ხვდება. დედმამის მხრივ, აქაც და იქაც შეყვარებული ჭაბუკი უდაბნოში გარბის, მხეცებს შორის ცხოვრობს და სხ. მაგრამ ნიზამის გმირები სრულიად მოკლებულნი არიან იმ ძლიერს ზნეობრივს სტოიციზმს, რომლითაც რუსთაველმა აღჭურვა თავისი ვაჟები და თავისი ქალები, ეს უკანასკნელი კიდევ უფრო მეტად, ვიდრე პირველნი. თინათინის, დარეჯანის და ასმათის პარალელების აღმოჩენა ძნელია თვით იმდროინდელ ევროპულ ლიტერატურაში: ისინი არაჩვეულებრივი აქტივობისა და თაოსნობის სულს ამჟღავნებენ; ცხოვრების სახიფათო წუთებში ისინი იჩენენ ხასიათის ძალასა და სიდიადეს, ნებისყოფის გამძლეობას და ჭკუის სიფხიზლეს და ხშირად სწორ გზას უჩვენებენ გულისთქმით გონებადაბნეულ რაინდს. არც „შაჰნამეში“, არც ნიზამის რომანებში, არც მით უმეტეს, შემდეგი

დროის ირანულ ლიტერატურაში არ მოიპოვება ასეთი დიდბუნებოვანი ქალის ტიპები; ეს ადვილი გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ ისლამის გავრცელებისა და საჰარამხანო რეჟიმის შემოღების გამო ქალმა ირან-არაბეთის მსოფლიოში თანდათან დაჰკარგა ის დამოუკიდებელი მდგომარეობა, რომელიც მას ეჭირა წარმართობის დროს.

ერთი დამახასიათებელი ეპიზოდი „ლეილ-მეჯნუნიანიდან“ მკვეთრად ანათებს იმ უფსკრულს, რომელიც ნიზამის და რუსთაველის მორალურ იდეებს ჰყოფს ერთმანეთისაგან. ტარიელის მსგავსად მეჯნუნმაც შეიძინა მეგობარი, ნოფალი, რომელიც მზადაა თავის ძმადნაფიცის უფლებანი დაიცვას და მარტოდმარტო შეებრძოლება მის მტრებს. ამ უთანასწორო ბრძოლას მეჯნუნი ნეტარი შეუშფოთველობით უცქერის გორაკიდან: „ნოფალი მოწინააღმდეგეთ ჭრილობებს აჭდობდა და მუსრავდა, მეჯნუნი კი ლოცულობდა, ოხრავდა და იტანჯებოდა; ნოფალი ლეილას გულისათვის მახვილს ანავარდებდა, მეჯნუნი კი სულით და გულით მისი მტრების მხარეზე იყო“. ეს თავისებური სუფისტური პასივობა სრულიად უცხოა რუსთაველის გმირებისათვის, როგორც მათთვის უცხოა ბედნიერების შეზღუდვა სულთა შეერთებით საიქიოში, რომლის მისტიკური ხილვით თავდება ნიზამის პოემა; შეიძლება ითქვას, რომ ამ ორი დიდი თანამედროვე პოეტის შემოქმედებაში ორი სრულიად განსხვავებული სამყარო უპირდაპირდება ერთმანეთს: აქ რეალიზმი, იქ მისტიციზმი, აქ აქტივიზმი და ოპტიმიზმი, იქ პასივიზმი და ბოროტების მიღება როგორც გარდაუვალი აუცილებლობისა.

*

* *

როცა იმ ლიტერატურულ გავლენების შესახებ ვლაპარაკობთ, რომელიც შეიძლებოდა შოთა რუსთაველს განეცადა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ერთი საყურადღებო გარემოება: მართალია, პოეტის ბიოგრაფია არ შენახულა, მაგრამ თუ მისი პოემის მიხედვით განვსჯით, ის არ უნდა ყოფილიყო არც წმინდა მწიგნობრული შთაგონებით დაჯილდოებული და ვიწრო სენაკში მომწყვდეული სქოლასტი, არც უსახლკარო მენესტრელი, რომელიც ერთი მფარველის კარიდან მეორე მფარველის კარზე გადადის. უფრო საფიქრებელია, რომ ის იყო განათლებული დარდიმანდი, დარბაისელი კარისკაცი და მამაცი მხედარი ერთსა და იმავე დროს, კარგად გამობრძმედილი სასახლის პოლიტიკასა და ხმელეთის და ზღვის ომში. ის კარგად იცნობს სამეფო დარბაზის ეთიკეტს. თავის პოემაში ის ხშირად სიყვარულით უბრუნდება ბრძოლის აღწერას. ამ შემთხვევაში მისი სტილი განსაკუთრებით ფერადოვანი და დინამიკური ხდება: მკითხველს თითქო ესმის საჭურვლის ჩხარუნი და ცხენების ფრქვარათქური. მაგრამ ის კარგად იცნობს ფეოდალურ საზოგადოების ყველა პრივილეგიურ წრის ცხოვრებასაც. მართალია, ის ათვალისწუნებით ეჭცევა ვაჭრებს, როგორც ჯაბანთ და ომისათვის გამოუსადეგთ; მაგრამ შეუძლებელია მას ბურჟუაზიის ცოდნა წავართვათ: ზღვის სამეფო-

ვულანშარო საკმაოდ რეალისტური ფერადებითაა დახატული; მკითხველი ოცნებით ადვილად შეიძლება რომელიმე იმდროინდელ ზღვის სანაპირო რესპუბლიკაში, მაგალითად, ვენეციასა ან გენუაში გადავიდეს; ამ უკანასკნელმა სწორედ რუსთაველის ეპოქაში სავაჭრო ფაქტორები დააარსა და გაცხოველებული აღებმიცემობა გააჩაღა შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებში, კერძოდ საქართველოში. ვაჭართა უხუცესის ცოლის ფატმანის სახე ერთერთი უმართლესი და უმეტყველესია პოემაში; ის რეალისტი მხატვრის მახვილი თვალითაა დანახული. ადამიანის სულის ცოდნაზე, მრავალფერად პეიზაჟზე, რომელიც ხან ერთფეროვან უდაბნოებს მოგვაგონებს, ხან ჩრდილოეთან ოაზისებს, ხან ალპიური ყვავილებით აჭრელებულ ზეგნებს, ხან მზეზე მომღიმარ სამხრეთის ზღვებს, მას ეტყობა, რომ ბევრი უმოგზაურია. როგორც მისი უფროსი თანამედროვის ჩახრუხაძის ელეგიიდან და „ქართლის ცხოვრებიდან" სჩანს, მოგზაურობა ერთი უძლიერესი გატაცება ყოფილა რუსთაველის დროს.

როგორც ბევრის მნახველ და ბევრის განაცად ბრძენს შეეფერება, ის სრულიადაც თავისი მთავარი გმირების იდეალიზაციას არ ახდენს. ადამიანის სული წარმოადგენს არა უფერულ სქემას, არამედ რთულ და მოულოდნელ წინააღმდეგობათა ნატიფ ქსოვილს. ვულგარული და ავხორციანი ფატმანის გულში ადგილი რჩება უანგარობისა და თავგანწირულებისათვის, კეთილშობილი და განათლებული ნესტანი კი, ვითომდა პატრიოტული მოტივების კარნახით, სრულიად გაუმართლებელ სიმკაცრეს იჩენს უდანაშაულო ხვარაზმელი უფლისწულის მიმართ. ტარიელი ხან თითქო ბედის წინაშე ქედმოხრილი და პასიურია, ხან ფიცხელი, გრძნობამორეული და ვნებით ანთებული. არ შეიძლება ითქვას, რომ მეტოქის მოკვლა, რომელსაც მშვიდობიანად ეძინა თავის კარავში, სასიქადულო იყოს მისი ადამიანური ღირსებისათვის. ყოველ შემთხვევაში, ეს საქციელი სრულიად ეწინააღმდეგება რაინდულ მორალს, რომელიც მოსწრებულად გამოსთქვა საშუალო საუკუნეების არაბმა პოეტმა: „ჩემი ტაიჩის ყიხვინი შორს გაისმის უდაბნოში, მე შეჩვეული არა ვარ მტერთან ფარულად მიპარვას". რაინდული კოდექსის თვალსაზრისით ყოველთვის უძრახველი არ არის არც წინდახედული ავთანდილის ყოფაქცევა: ისიც ფატმანის ჩაგონებით ფარულად ჰკლავს მის ყოფილ საყვარელს და სჭრის ძვირფასი ბეჭდით შემკულ თითს. საერთოდ, ეს ადამიანები, პოეტის მიერ ასე სწორად და მიუდგომლად დახატულნი, თითქო უფრო ანდრონიკე კომნენის დროის ბიზანტიელებს ჰგვანან, ვიდრე ფრანკ რაინდებს ან სალადინის თანამებრძოლებს; ეს მტკიცე ნებისყოფის ქალვაჟნი არავითარი დაბრკოლების წინაშე არ იხევენ და არავითარ საშუალებას არ ზოგავენ, რათა თავიანთ მიზნებს მიაღწიონ.

მაგრამ მეორეს მხრით იგივე ადამიანები არა თუ უდიდეს თავგანწირულებას იჩენენ მეგობრობაში, არამედ მტერბსაც კი გასაოცარი ჰუმანიურობით ეპყრობიან. გაიხსენეთ ტარიელის მოპყრობა მუხანათ ხატაელებისადმი, გაიხსენეთ ფარსადან მეფის მოპყრობა დაჭრილ და დატყვევებულ რამაზისადმი; ბოლოს, გაიხსენეთ ავთანდილის ანდერძი, ერთერ-

-თი საუკეთესო ადგილი პოემაში, სადაც მგოსანი უმაღლეს პათეტიკას აღწევს.

ამ გარეგნული წინააღმდეგობის გასაგებად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ რუსთაველის გმირები ორი მსოფლიოს მიჯნაზე მდგომარე საზოგადოების წარმომადგენლები არიან: ისინი ერთი მხრით მიმავალ საშუალო საუკუნეებს ეკუთვნიან, ხოლო მეორეს მხრით აღმოცენების პროცესში მყოფ ახალ საზოგადოებას ჰუმანიზმის და მსოფლიო მოქალაქეობის იდეებით. თამარ მეფის და ლაშა გიორგის დროს მოწინავე ფეოდალური რაინდული საზოგადოება ჩვენ გვეხატება როგორც გაფაქიზებული და ტლანქი ერთსა და იმავე დროს, თავისუფალი ყოველი რელიგიური ფანატიზმისაგან, მაგრამ მრავალი ცრურწმენით გამსჭვალული. ნაწილობრივ სკეპტიკად განწყობილი, ხოლო ნაწილობრივ, შეიძლება, დეისტურად ან პანთეისტურადაც. ამ საზოგადოების მორალი ირყევა სტოიციზმსა და ჰედონიზმს შორის, მისი ინტერესი მიმართულია არა მარტო უმაღლესი ინტელექტუალური სიამოვნებისადმი, პოეზიისა, მხატვრობისა, რელიგიური და ფილოსოფიური პაექრობისადმი, არამედ აგრეთვე სამხედრო ავანტურებისა, ნადირობისა, ასპარეზობისა, ქეიფისა, შორეული და სახიფათო მოგზაურობისადმი. ადამიანმა გარეგნული დარდიმანდობა შეიძინა, მაგრამ ჯერ კიდევ აულაგმავი, პირველყოფილი ინსტინქტების გავლენის ქვეშ იმყოფება. ნადიმის დროს, გაშლილ სუფრაზე მან შეიძლება თავი გამოიჩინოს გონებამახვილი ეპიგრამით, ციტატები მოიტანოს მოცაქულებიდან ან პლატონიდან, მაგრამ ღამის წყვდიადში ადვილად აამოქმედებს მახვილს, რის მსხვერპლიც თვით ლაშა გიორგი გახდა: როგორც ცნობილია, მას თვალი დაუზიანეს რაინდებთან ქეიფის დროს.

რელიგიით შეუბოჭველი აზროვნების მხრით ამ საზოგადოებამ ბევრად წინ გაუსწრო მის თანამედროვე დასავლეთ ევროპულ და ბიზანტიურ საზოგადოებას და, შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველი ყველაზე თავისუფლად მოაზროვნე პოეტია საშუალო საუკუნეებში. თუმცა ტარიელი და ავთანდილი გარეგნულად თითქო მუსლიმანები არიან, მაგრამ ისინი ისევე დაშორებული არიან ყოველგვარ ვიწრო და გონებაშეზღუდულ ორტოდოქსიას, როგორც მათი მოწინავე და განათლებული თანამედროვეები, მაგ. ბიზანტიელი და ქართველი ნეოპლატონიკოსები ან კიდევ ირანელი სუფისტები და პანთეისტები. ტარიელი დიდი ათვალისწუნებით ლაპარაკობს ყურანსა და მის კომენტატორებზე; ტარიელთან გაპარვის წინ ავთანდილი მიზგითში ლოცულობს; მაგრამ ის მიმართავს არა ალლაჰს, არამედ კოსმიურ ძალას, რომელმაც მიჯნურობა წარმოშვა და მის კანონებს აწესრიგებს. გზაში ის ჰიმნს მიუძღვნის მზეს, „ვის ხატად ღვთისად გიტყვიან ფილასოფოსნი წინანი"; მას შეიძლება, მარის თქმისა არ იყოს. მხედველობაში ჰქონდეს უძველესი კულტურიდან მომავალი სოლარული მონოთეიზმი, გაღრმავებული ნეოპლატონიკოსების მიერ, რომელთაც ხილული მზე არამატერიალური, გონებრივი მზის სიმბოლოდ გამოაცხადეს. ამავე ჰიმნში მთვარე მიჯნურობის სენის მომცე-

მად არის გამოცხადებული. მეორე ასტრალურ ჰიმნში, რომელსაც იგივე ავთანდილი ხუთ პლანეტს უგალობს მულლაზანზარის გზაზე, თავისებურადაა შეერთებული უძველესი ქალდეური წარმოდგენანი, პტოლომეოსის და ნეოპლატონიკოსების იდეები და ქართული ეროვნული წარმართობის მოგონებანი.

რაც შეეხება მთავარ ზნეობრივ ძალას, რომელიც „ვეფხის ტყაოსანის" მიერ ასახულ საზოგადოებას აკავშირებს, მას, როგორც ცნობილია, მეგობრობა წარმოადგენს; ეს მეგობრობა გაგებულია სტოიკური ფილოსოფიის მიხედვით, ე. ი. როგორც სულიერი ნათესაობა, დამოუკიდებელი ნაციონალური და რელიგიური ზღუდეებისაგან. თვით ავთანდილი, როგორც ეს ნ. მარმა აღნიშნა, თავის მეგობრულ გრძნობას ტარიელისადმი უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე თავის სიყვარულს თინათინისადმი; ივი პირველს იაგუნდს ადარებს, ხოლო მეორეს მინანქარს. მაგრამ უანგარო მეგობრობის იდეა თავის უმაღლეს გამოხატულებას შეიძლება ასმათში პოულობდეს, რომელმაც ტარიელის გულისათვის დიდი ხნით დასტოვა ადამიანთა საზოგადოება და უდაბნოში გადაიხვეწა.

შოთა რუსთაველის პოლიტიკური იდეებიც, მისი რელიგიური, ფილოსოფიური და მორალური იდეების გვერდით, მოწინავედ გვევლინება მისი დროისათვის, როცა ცენტრალურ ხელისუფლებას ბრძოლის წარმოება უხდებოდა ერის გასაერთიანებლად ფეოდალური თვითნებობისა და ანარქიის წინააღმდეგ.

კონსტანტინე ჯიჯინაძე

შოთა რუსთაველი და მისი პოემა

არც ისტორიულ ქრონიკებში, არც მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში, რომლებიც მე-16 საუკუნის წინა ეპოქას ეკუთვნიან, არავითარი ცნობა არ შენახულა რუსთაველის პიროვნების შესახებ.

ერთადერთი უცილობელი წყარო იმისა, რაც ჩვენ მის შესახებ ვიცით, არის თვით პოემა „ვეფხის-ტყაოსანი".

პოემის შესავალის და ეპილოგის რამდენიმე სტროფში ნათქვამია, რომ ამ ლექსს სწერს იგი, რუსთაველი, შემდეგ ეპილოგის პირველი სტროფი სიტყვებით—„ვსწერ ვინმე მესხი"—გვაცნობს, რომ პოემის ავტორი ჩამომავლობით არის მესხი, ძველი საქართველოს ერთერთი უაღრესად კულტურული პროვინციის მკვიდრი. ამავე ცნობას ადასტურებს კიდევ ერთი ლექსი პოემისა, სადაც ავთანდილი და ფრიდონი, რომელნიც ტარიელსა და მის სატრფოს ანუგეშებენ, შედარებული არიან კათალიკოსთან და მაწყვერელთან, „მაწყვერელად" კი იწოდება უმაღლესი სასულიერო პირი მესხეთში. ხალხური გადმოცემითაც, რუსთველი დაბადებულია მესხეთში, სოფელ რუსთავში, რომელმაც ჩვენამდე მხოლოდ მცირე ციხის ნანგრევთა სახით მოაღწია. არა ერთგზის ცდას იმის შესახებ, რომ რუსთაველის დაბადების ადგილად მიჩნეული ყოფილიყო საქართველოს სხვა პროვინცია, უმთავრესად თბილისიდან აღმოსავლეთით მდებარე ერეთის რუსთავი, არავითარი რეალური საფუძველი არ მოეპოვება.

მესამე და უკანასკნელი ფაქტი, რასაც პოემა გვაცნობს მისი ავტორის შესახებ, არის პოეტის მოღვაწეობის ხანა, მე-12 საუკუნის დასასრული და მე-13 საუკუნის დასაწყისი. ამას მოწმობენ მთელი რიგი სტროფები პოემის შესავლისა და ბოლოსიტყვაობისა, სადაც პოეტი ქებას ასხამს თამარ-მეფესა და მის მეუღლე დავითს, როგორც თავის თანამედროვეთ.

ეს ხანა საქართველოს ისტორიაში წარმოადგენს მისი კულტურული ცხოვრების უაღრეს ძლიერებისა და აყვავების ხანას. ქვეყნის საზღვრების განმტკიცება და გაფართოება, სამეურნეო და კულტურული წინსვლა, რაც ჯერ ჯიდევ დავით აღმაშენებლის დროს დაიწყო, შეუჩერებლად ძლიერდება მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში და თამარ-მეფის

ხელმწიფობის დროს განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. საქართველო უკვე აღარ წარმოადგენდა მუსლიმანური სამყაროს მთავარი ძალების შემოსევის ობიექტს; ეს ძალები ჯვაროსნული ლაშქრობის გამო მიმართული იყვნენ ხმელთაშუა ზღვის ნაპირებისაკენ, მე-12 საუკუნის საქართველო თვით გადადიოდა შეტევებზე და თავდასხმებზე და ფართოდ შლიდა თავის საზღვრებს აღმოსავლეთისა და სამხრეთისაკენ, იმორჩილებდა მეზობელ ქვეყნებს.

თამარ-მეფე ყველა იმ ღირსებით იყო დაჯილდოვებული, რომელიც ხიბლავს ადამიანებს; ძალაუფლება, სილამაზე, მაღალი გონება და ზნეობა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეფის ასულის ტახტზე ასვლის დროს წამოიჭრა მისი დაქორწილების საკითხი, როგორც დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის მოვლენა. ქართველი დიდებულნი ხარბი თვალებით შესცქეროდნენ თამარ-მეფეს და სამეფო ტახტს, ქვეყანას ეს სიკეთეს არ უქადდა და თავიდან რომ აეცდინათ შინაური განხეთქილება და შფოთი, თამარისათვის მეუღლის ძებნა საქართველოს გარეშე იწყეს. არჩევანი ხვდა სუზდალის ბატონიშვილს, დიდი მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟს, იურის, რომელსაც საქართველოში გიორგი უწოდეს. მაგრამ ჯერ კიდევ არა სავსებით გამორკვეულ მიზეზების გამო მალე გიორგი შერისხულ იქნა თამარ-მეფისა და სასახლის მიერ, რამაც განსაზღვრა გაძევებული გიორგის შემდგომი ბედუკუღმართი ცხოვრება.

თამარ-მეფის მეუღლე გახდა მისი დედით ნათესავი ოსთა ბატონი დავით სოსლანი, რომელიც რუსთაველის პოემის ბოლოსიტყვაობის სტროფშია მოხსენებული; ივი დიდი ინიციატივის მქონე და თავისი გვირგვინოსანი მეუღლის შესანიშნავი თანაშემწე აღმოჩნდა ყველა სახელმწიფოებრივ საქმეში. ქვეყანამ უმაღლეს კეთილდღეობას მიაღწია. აყვავდა სოფლის მეურნეობა, გაკეთდა გზები, ხიდები, აგებულ იქნა ტაძრები, სასახლეები, სიმაგრეები, დიდი ყურადღება ექცეოდა ხელოვნების განვითარებას. სიმდიდრე გაბატონებულ კლასში კეთილშობილ ცხოვრებისა და ფუფუნების გადიდებულ მოთხოვნილებას იწვევდა. რუსთაველის პოემა მთლიანად იმ დროის სულისკვეთებით არის გამსჭვალული, ამ ეპოქის ოქროთი ბრწყინავს, მისი ძვირფასი თვლებით არის მოოჭვილი. პოემა იდეურად შორს სცილდება მის წარმომშობ საზოგადოებას, ივი თავისი ფესვებით ღრმად იჭრება საერთო საკაცობრიო აზრთა და გრძნობათა სფეროში, მაგრამ ამავე დროს ივი ზედმიწევნით ასახავს თავის ეპოქის მაღალ სტილს, განუმეორებელს საქართველოს სამეფოს შემდგომ ისტორიაში. ამიტომ ყოველგვარი ცდა, რომ რუსთაველი და მისი პოემა მიეკუთვნებიათ უფრო გვიანი ეპოქებისათვის, წარმოადგენს ისეთ გაუგებრობას, რომელიც ასე ხშირია საგამოკვლევო მუშაობაში ხელოვნების უდიდეს ნიმუშთა გარშემო.

ერთი ხალხური გადმოცემით რუსთაველი ეკუთვნის თამარ-მეფის იმ თანამედროვეთა რიცხვს, რომლებიც აშკარად ამჟღავნებდნენ თავის უიმედო სიყვარულს გვირგვინოსანი ქალისადმი. მაგრამ უფრო სარწმუ-

ნო ლეგენდები გადმოგვცემენ რუსთაველის სხვა სასიყვარულო თავგადასავალს. რომ სიყვარულს უდიდესი ადგილი სჭერია რუსთაველის ცხოვრებაში, ამას არა მარტო პოემის საერთო ხასიათი ადასტურებს, არამედ პოემის შესავალის ერთერთი სტროფი, სადაც პოეტი მწარედ ამბობს: „შეიზომნეს ჭირნი მათნი ჭირთა ჩემთა მეათედმან“.

ხალხური გადმოცემანი მოგვითხრობენ, რომ რუსთაველს პირველად განათლება იყალთოს აკადემიაში მიუღია, შემდეგ კი სხვა ჭაბუკებთან ერთად განათლების დასამთავრებლად საბერძნეთს ყოფილა გაგზავნილი. ხანში რომ შესულა იგი, ვითომც იერუსალიმს გამგზავრებულა და იქ ერთერთ ქართულ მონასტერში — ღრმად მოხუცებული გარდაცვლილა.

აი, ყოველივე ის, რისი თქმაც შესაძლებელია რუსთაველის ცხოვრებისა და ვინაობის შესახებ თვით ავტორის მიერ პოემაში ნათქვამისა და ხალხში დარჩენილი ლეგენდების საფუძველზე. ამ საკითხის გარშემო მეტი რამის თქმა, — ფანტაზიის სფეროში შეჭრას მოასწავებს. ამგვარად, შესაძლოა დავასკვნათ, რომ რუსთაველის ბიოგრაფია არ მოგვეპოვება. მისი ბიოგრაფია — მისივე პოემაა.

ერთის თქმა კი თითქმის უცილობლად შეიძლება: რუსთაველი მისი თანამედროვე საზოგადოების თვალში არ იყო სახელმორჭმული, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უეჭველად მოხვდებოდა იმდროინდელ ისტორიულ ქრონიკებში. გენიალური პოეტი დიდებით უთუოდ უფრო გვიან, მისი გარდაცვალების შემდეგ შეიმოსა, და ეს განსაკუთრებული დიდება და სახელი მან სამუდამოდ დაიმკვიდრა თავის სამშობლოში.

სამი საუკუნის განმავლობაში (მე-13 — 15 საუკ.) საქართველო გამანადგურებელ შემოსევას, მუსვრასა და რბევას განიცდიდა; ამის შემდეგ მისი კულტურული ცხოვრება სავსებით ჩაკვდა. ამ საუკუნეებმა არ დაგვიტოვეს მხატვრული ლიტერატურის არცერთი ძეგლი. მაგრამ მე-16 საუკუნიდან ქვეყანა კვლავ ფეხზე სდგება, იწყება სულიერი კულტურის აღორძინების ხანა; ამ ხანამ წარმოშვა მთელი რიგი პოემები, რომელთა ნაწარმოებნი გვიჩვენებენ, თუ რა კოლოსალური პოპულარობით სარგებლობდა რუსთაველი მათ დროს.

ამ ეპოქის თითქმის ყველა პოეტი მოწიწებით მოიხსენიებს რუსთაველის სახელს, მიმართავს მას, როგორც შთამგონებელს, მუზას, სთხოვს ნებარფვას ლექსის თქმისათვის. რუსთაველს თითქოს დესპოტური ძალით შეეპყრო მათი შემოქმედება, რუსთაველის გავლენა მათზე ღრმა და გარდუვალია. მხოლოდ მე-18 საუკუნის დამლევს რუსთაველის პოემა, როგორც შემოქმედების დაუძლეველი ნიმუში, აღარ წარმოადგენს უშუალო მიბაძვის საგანს, ათავისუფლებს ქართულ ლიტერატურას თავის ტყვეობიდან და ამ დროიდან მხოლოდ მისი განვითარების საერთო გზებს ანათებს.

მე-17 საუკუნის პოეტი, მეფე თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასებაში შემდეგ მედიდურ სიტყვებს ათქმევინებს უკანასკნელს:

„მე ვარ ძირი ლექსთა თქმისა, მელექსენი ჩემზედ შენობს,
საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაქუხს,
ვის ლხინი აქვს მას უბნობენ, ანუ გული ვისაც უწუხს“.

ამ პოეტური დისკუსიის დასასრულს არჩილი შენიშნავს:

„თუმც უხვია თეიმურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს,
ერკინება რუსთველს მედგრად, შეიტყევით თუ ვინ დასცემს“.

ამის „შეტყობა“ იოლი საქმეა და არჩილმა თვით ეს მშვენივრად იცის. მან მეტად მოხდენილად დასვა საკითხი „სიბრძნეთა გაცემის“ შესახებ. მართლაც, იმავე არჩილის დამოწმებით რუსთაველის სახელის გარშემო ატეხილ დავის გამო მამა-შვილს შეეძლო ერთიმეორე გაეწირათ და სახლიდან გამოეგდოთ; რუსთაველის ეს განსაკუთრებული პოპულარობა ხალხის უფართოეს მასებში აიხსნება სწორედ იმ სიუხვით, რომლითაც იგი „გასცემდა სიბრძნეს“ თავისი პოემის წყალობით.

ჩვენ არ გვეგულება სხვა პოეტი, რომელსაც ისე მკაფიოდ და ძლაფრად გამოეხატოს თავის შემოქმედებაში ერთსა და იმავე დროს აზრი და გრძნობა, როგორც რუსთაველს. რუსთაველი მსჯელობს ადამიანის ცხოვრებისა და არსებობის სხვადასხვა მოვლენებზე, აზოგადებს თავის აზრებს, გამოჰყავს დასკვნები. ამავე დროს პოემა გაჟღენთილია მძაფრი ლირიზმით და მაღალი პათოსით, რაც ხშირად ნამდვილ ექსტაზში გადადის. ერთის მხრივ, იგი უქადაგებს თავის გმირებსა და მკითხველებს კეთილგონიერებას, მეორე მხრით კი გამოდის ყოვლის შემძლე სიყვარულის აპოლოგეტად, სიყვარულის, რომელიც ამსხვრევს კეთილგონიერების ყველა ზღუდეს. რუსთაველი სრულიადაც არ გვევლინება — როგორც მარტივი ხასიათის დიდაქტიკოსი და ზნეობის მოძღვრების თანმიმდევრობითი გამტარებელი, მსგავსად, მაგალითად, გურამიშვილისა. სილამაზე რუსთაველისათვის სიხარულის წყაროსა და ცხოვრების მთავარ აზრს წარმოადგენს. მისი გაგებით სიყვარულისათვის ისევე აუცილებელია სილამაზე, როგორც ჰაერი ამ გრძნობებით შეპყრობილ ადამიანისათვის. მომხიბლავი სილამაზით არიან დაჯილდოვებულნი პოემის არა მარტო გმირი-ქალები, არამედ კიდევ უფრო ვაჟებიც. არც ერთ პოეტს არც რუსთაველამდე და არც მის შემდეგ არ შეუსხამს ქება მამაკაცის სილამაზისათვის იმ სიძლიერით, როგორც რუსთაველს. ასეთი გატაცება სილამაზით უკვე წარმოადგენს საშიშროებას სულიერი წონასწორობისათვის, და თუ კეთილგონიერებას შეუძლია მის გვერდით იარსებოს, ცხადია ეს გრძნობები მუდმივ ანტაგონიზმში უნდა იყვნენ ერთმანეთთან.

ავტორის იდეების გამომხატველი პოემაში, როდესაც უშუალოდ მან თვითონ არ გამოსთქვამს, უმთავრესად ავთანდილია, რომელიც ოდნავ უთმობს ტარიელს პირველი გმირის ადგილს პოემაში; ავთანდილი, ახალგაზრდა სპასპეტი, მშვენიერია, როგორც მერკური, იგი უდიდესი მეგობრობის. ღრმა და თავგანწირული სიყვარულის ენტუზიასტია. ჯერ კიდევ ჭაბუკი, იგი გასაოცარ სიბრძნეს ამჟღავნებს. მისი შესანიშნავი ანდერძი, რომელიც მეფე როსტევანს დაუტოვა, სავსეა მაღალი. ბრწყინვალედ გამოთქმული ბრძნული აზრებით. ავთანდილს სწამს, რომ ადამიანის ყველა საქმეს განგება მართავს; იგი ასწავლის ღრმად მოხუცებულ მეფეს „მოჭირვებას და ჭირთა თმენას“ და განუმარტავს ცრემლთა დენის უსარ-

ებლობას. ყოველ არსებას გარდუვალად მოელის სიკვდილი, ამიტომ შიში არ უნდა გვქონდეს:

„რა უარეა მამაცსა, — ომშიგან პირის მლმეჭელსა,
შემკრთალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მცხოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

იგივე ავთანდილი საღი აზროვნების გაკვეთილებს აძლევს გახელებულ ტარიელს. მაგრამ საკმაოა ავთანდილი მარტო დარჩეს, რომ თინათინის სიყვარულით ცეცხლმოდებულმა მსწრაფლ დაჰკარგოს პრაქტიკული სიბრძნე; მას ეუფლება საოცარი სევდა, იგიც ცხარე ცრემლებს ღვრის.

მაგრამ ზოგჯერ ავთანდილის ცრემლი საერთო საკაცობრიო სევდად იქცევა. აი, მიაქროლებს მას მერანი მულლაზანარის უდაბურ ველებზე. ვარსკვლავიან ღამეში მისი მთელი არსება, გონება შეგყრობილია თინათინისადმი უსაზღვრო სიყვარულით, თინათინის დაშორებით გახელებული. სიყვარულით დამწვარი შეჰყურებს ცის მნათობთ, ადამიანის ბედის გამგებელთ; იგი ცრემლს აფრქვევს და მომხიბლავ სიმღერასაც ამბობს, თავის უსაზღვრო სევდას ვარსკვლავებს ამცნობს, გაუზიარებს. ეს სიმღერა და კვნესა „მისწვდების ცათამდის“, მთელ სამყაროს ედება, ადამიანური სევდითა და სიხარულით ნაშობი ერთ წარმტაც სიმფონიად იქცევა.

რუსთაველი ხშირად ავთანდილის პირით სოფელს „საწუთროს“ უწოდებს, პოეტს იპყრობენ ფიქრები წუთისოფლის გაუტანლობის და ადამიანთა ლტოლვის ამაოების შესახებ:

„ვა, სოფელო რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა.
ყოვლიმც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა,
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა!“

პოეტი ჰგმობს საწუთროს, რადგან იგი მზაკვრულად ექცევა ადამიანს, აყენებს ტანჯვას და მწუხარებას. მაგრამ პოეტს სწამს, რომ სიკეთე მაინც დაამარცხებს ბოროტებას.

პოემის მთავარი გმირი არის ტარიელი, ახალგაზრდა მხედარმთავარი — ინდოეთის ამირბარი. იგი არის ვაჟი ინდოეთის ერთერთ მეფეთაგანისა, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი თავის ტახტზე ქვეყნის უზენაესი მბრძანებლის ფარსადანის სასარგებლოდ; ფარსადანი მამაა პოემის გმირი ქალის ნესტან-დარეჯანისა. ტარიელი აღზარდა ფარსადანმა. ტარიელის არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალა და შეუდარებელი სილამაზე

იწვევდნენ ხალხის განცვიფრებას და უსაზღვრო აღტაცებას. ტარიელი თვით მოუთხრობს ავთანდილს:

„რა მინდორს შევჯდი, ზარითა ხმა იყვის ბუკთა ცემისა;
თანა მყვის სპისა სიმრავლე, მსგავსი ფუტკრისა რემისა;
ჭვრეტად ქალ-ყმანი დაჭრილნი დგის თემისა და თემისა;
ვინც მნახის, ეყვის ერთ წლამდის კვეხა ნახვისა ჩემისა“.

ტარიელი შიშის ზარსა სცემდა ინდოეთის მტრებს. ბრძოლაში იყო ულმობელი და მძვინვარე იყო, მაგრამ დამარცხებულთ წყალობდა, ათავისუფლებდა. მისი ძალა ხიბლავდა, იმონებდა ადამიანებს. უსაზღვრო იყო მისი ნებისყოფის სიძლიერე. ამ ღირსების მიხედვით თითქოს იგი უნდა გამხდარიყო უდიდესი დამპყრობელი, ხალხთა მბრძანებელი, უზარმაზარი იმპერიის შემქმნელი. მაგრამ ამ საქმისათვის მას მაინც ერთი თვისება აკლდა—გულის სიმშვიდე. იგი დაუდგრომელი, მგზნებარე ერთბაშად შეიყვარებს ნესტან-დარეჯანს, და ეს გრძნობა მოიცავს მთელს მის არსებას. როდესაც ამ საბედისწერო სიყვარულმა ტრაგიული მიმართულება მიიღო და ახალგაზრდა ამირბარს უმძიმესი დანაშაული ჩაადენინა, რის გამოც მისი სატრფო სასტიკად დაისაჯა, მაშინ ტარიელი გახელდა, ხოლო შემდეგ საოცარ ტანჯვასა და მწუხარებას მიეცა; მიზანტროპად გადაიქცა, ადამიანებს განშორდა. მთელი ათი წლით ველად გაიჭრა და ამ მდგომარეობაში იყო მანამდე. ვიდრე ამ რაინდის თავდადებულმა მეგობრებმა, ავთანდილმა უმთავრესად და ფრიდონმა, არ იპოვეს უკვალოდ გადაკარგული მეფის ასული და არ დაუბრუნეს ტარიელს თვალთა სინათლე. ტარიელი — ეს უზომო, გასაოცარი ფიზიკური და სულიერი ძალაა, ადამიანის იდეალური სილამაზის განსახიერება. მასში მოცემულია ადამიანის ჰიპერბოლირებული ვნება-გატაცებანი. რუსთაველი პოემის დასაწყისში განმარტავს, რომ სიყვარული სხვადასხვაგვარია და ამბობს: „მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა.“ ამგვარი სიყვარულის ილუსტრაციას პოემაში ტარიელის სიყვარული წარმოადგენს: ეს სიყვარული ნამდვილი სიშმაგეა. მოვიგონოთ თუნდაც ტარიელის შეხვედრა ვეფხთან, რომელსაც თავის სატრფოს მიამსგავსებს, ხელში აიტაცებს და სურს დაჰკოცნოს — „მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა“:

„რომე ვეფხი მშვენიერი სახედ მისად დამისახავს,
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს“,—ეუბნება ტარიელი ავთანდილს, რომელიც თავისი ხასიათის თვისებებით განსხვავდება მისაგან, ავთანდილი, კეთილგონიერი, უაღრესად ფაქიზი გრძნობებით გამსჭვალული და თავაზიანი რაინდია.

პოემის გმირი-ქალები — ნესტან-დარეჯანი და თინათინიც განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. პირველი მართლაც ვეფხს მოგვაგონებს, იგი მბრძანებელი, ამაყი და მედიდურია, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ახდენს გავლენას ქვეყნის სახელმწიფოებრივ საქმეებზე, სწყვეტს ომისა და

ზავის საკითხებს, თავის ნებაზე ამოქმედებს ამირბარ-ტარიელს—„ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია? სჯობს, საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია, ხატაეთს მყოფნი ყოველნი ჩვენნი სახარაჯონია“, „წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე“, — სწერს ნესტან-დარეჯანი ტარიელს. ნესტან-დარეჯანს უყვარს ტარიელი, არ სურს მისთხოვდეს ხვარაზმშას მეფის შვილს, რომელიც საქმროდ მოუყვანეს. იგი ტარიელს სასიძოს მოკვლას ჩააგონებს. ტარიელი რყევას განიცდის. უფრო გამჭრიახ ნესტან-დარეჯანს გამოჰყავს გმირი ამ მდგომარეობიდან — ურჩევს მკვლელობის მიზეზად თავისი სიყვარული კი არ დააახელოს, არამედ:

„იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა ჩემსა მამასა;
ჰკადრე თუ: „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა,
ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა;
არ დამეხსნები, გაგიხდი ქალაქსა, ვითა ტრამასა!“

ნესტან-დარეჯანს ახასიათებს მგზნებარე ტემპერამენტი, მაღალი გონება და მტკიცე ნებისყოფა. მას ყველაფერი მოეპოვება იმისათვის, რომ ინდოეთის ნამდვილი მბრძანებელი გახდეს.

სხვაგვარი თვისებებით შემკულია თინათინი, რომელსაც პოემის დასაწყისშივე მამამ სამეფო ტახტი დაუთმო. თინათინი ნათელი, მშვიდი, სულიერი წონასწორობის მქონე, გამკითხავი და გულისხმიერი ადამიანია. ნესტან-დარეჯანისა და თინათინის საერთო დამახასიათებელი თვისებებია — შეუდარებელი სილამაზე, სულიერი კეთილშობილება, ურყევი სიყვარული სატრფოსადმი.

ეს შეყვარებულები გატაცებული არიან იმ დიდი სიყვარულის გრძნობებით, რომელსაც რუსთაველი სიძვას და მრუშებას უპირისპირებს:

„მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი,
მიჯნურობა სხვა რამეა, არა სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
ნურვინ გარევთ ერთმანეთში, გესმას ჩემი ნაუბარი!“

სხვაგვარად არის მოხაზული პოემაში ფატმანის — დიდი ვაჭრის ცოლის სახე. მას ხორციელი სიტკბოება სწყურია, მთელი გატაცებით და ვნებით შეიყვარებს შემთხვევით მასთან მისულ ავთანდილს, რომელიც ნესტან-დარეჯანის ძებნაში ვაჭრად არის გადაცმული და სავაჭრო ქარავანს მეთაურობს. რუსთაველმა, რომელიც მუდამ რაინდულ სიყვარულს, ღრმა და მაღალ გრძნობებს, მათგან გამოწვეულ დიად ტანჯვასა და სიხარულს უმღერის, ავთანდილ-ფატმანის მიჯნურობის ეპიზოდში გენიალური ოსტატობით დაგვისურათა ხორციელი, მდარე სიყვარულიც.

პოემის დასაწყისის ერთერთ სტროფში რუსთაველი ამბობს:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი ხელი-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“.

მიუხედავად ბევრი ცდისა, ირანულ ლიტერატურაში და ზეპირსიტყვაობაში დღემდე არ აღმოჩენილა რუსთაველის პოემის მსგავსი რამ. ძნელი დასაშვებიც არის, რომ ირანელ პოეტებს, რომლებიც თემებისა და სიუჟეტის ძებნაში ხშირად გადამღერებას, გადამუშავებასა და გადმოღებას მიმართავდნენ, გვერდი აევლოთ „ვეფხის-ტყაოსნის“ უაღრესად საინტერესო ფაბულისათვის, თუ კი ის ცნობილი იქნებოდა მათთვის.

საზოგადოდ კი ირანული ლიტერატურის გავლენა რუსთაველის შემოქმედებაზე უდავო ფაქტია. ამის დამადასტურებელია არა მარტო პოეტის ლექსიკა, რომელიც აქა-იქ შეიცავს ირანულსა და არაბულ სიტყვებს, არამედ წერის თვით მანერა, ფერადოვანი და მოზაიკური, მდიდარი მეტაფორებითა და აღმოსავლური წარმოშობის სენტენციებით, აგრეთვე პოემის არქიტექტონიკა და კოლორიტი. თვით პოეტი რამდენიმეჯერ ადარებს თავის გმირებს ირანული ლიტერატურის ცნობილ ნაწარმოებთა, განსაკუთრებით — „შაჰნამესა“ და „ვისრამიანის“ გმირებს. რუსთაველი მსოფლმხედველობით განსხვავდება მუსლიმანური აღმოსავლეთის პოეტებისაგან, მაგრამ მსოფლშეგრძნებით მათთან უეჭველად ბევრი საერთო აქვს. აღსანიშნავია, რომ რუსთაველი იხსენიებს ირანული ლიტერატურის მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებთ, ხოლო აღმოსავლეთის სამეცნიერო და რელიგიური აზრის არცერთ წარმომადგენელზე არაფერს არ ამბობს; სამაგიეროდ პოემაში ვხვდებით ელინელ ფილოსოფოსთა სახელებს. მაგრამ არ არის ხსენებული ამ ქვეყნის პოეტთა რომელიმე ნაწარმოები.

რუსთაველს თუ ირანელ პოეტებს შევადარებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ირანელი პოეტები თავის შემოქმედებაში, შესაძლოა მხოლოდ ომარ ხაიამის გამოკლებით, უფრო ელემენტარული და მარტივი არიან, ვიდრე „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორი. რუსთაველი გაცილებით უფრო რთულ სიუჟეტს და რომანის სიტუაციებს ჰქმნის. იგი ღრმა ცოდნას იჩენს ადამიანთა გრძნობების გამოხატვაში, ეხმაურება ცხოვრების მრავალფეროვან მოვლენებს. თუმცა რუსთაველი მწვავედ განიცდის, რომ სოფელი მხოლოდ „საწუთროა“, რომ ადამიანთ ცხოვრება და ინტერესები ამაოებაა, მაგრამ იგი სრულიადაც არ ასხამს ხოტბას ცინიკურად წუთიერ სიყვარულს, ღვინოსა და თავდავიწყების სხვა ამგვარ საშუალებებს, როგორც ამას ირანელი პოეტები სჩადიან. რუსთაველი მხოლოდ მაღალი საერთო-საკაცობრიო სევდით არის შეპყრობილი, ამ სევდაში მას სიკეთის საბოლოო გამარჯვების იმედი ანუგეშებს.

პოემის მთავარი გმირების სიყვარულის აღწერის დროს რუსთაველი როგორც ვიცით, ერიდება ფუქსავატურ ტონს, უხეშ ფიზიკურ ზრახვების გამომჟღავნებას. ამ მხრივ საინტერესოა პარალელის გავლება რუსთა-

ველსა და ფირდოუსს შორის. როდესაც „შაჰ-ნამეს“ გმირ-ქალ თურანის მეფის ასულთან, ზურაბის მომავალ დედასთან შემთხვევით სტუმრად მიდის შესანიშნავი გმირი, გოლიათი როსტომი, მეფის ასული მსწრაფლ აღიგზნება ვნებით ამ ბუმბერაზისადმი, რომელიც შუბით ღრუბლებსა ჰკვეთს ცაში და სადილობის დროს ვერ ძღება მთელი კანჯრით. მეფის ასული ფარულად შეიპარება ღამით როსტომის საწოლ ოთახში, განუმარტავს მას თავის გრძნობების ბიოლოგიურ მიზეზებს და იზიარებს სტუმრის სარეცელს ერთი ღამით.

რუსთაველის პოემაში ამის მსგავსსაც ვერაფერს ნახავთ. როდესაც ტარიელი პირველად დაინახავს მეფის ასულს ნესტან-დარეჯანს, რომელიც ბავშვობაში მასთან ერთად იზრდებოდა, გაოცდება მისი არაჩვეულებრივი სილამაზით და გონებას ჰკარგავს. რამდენიმე დღის შემდეგ ნესტან-დარეჯანი, თვით გატაცებული ტარიელისადმი შორი-ტრფობით, მოახლის ასმათის დახმარებით საიდუმლოდ მიიწვევს ტარიელს. მათდა უნებურად ეს პირველი სამიჯნურო პაემანი სრულ დუმილში ჩატარდა: ტარიელი პირველად დაინახავს მეფის ასულს ნესტან-დარეჯანს, რომელიც მიჯნურთან შეხვედრის დროს ისე იბნევა, რომ სიტყვის უნარსაც ჰკარგავს. განსაცდელში რომ ჩავარდება არაჩვეულებრივ სიმტკიცესა და სულიერ გმირობას იჩენს. შესანიშნავ წერილში ტარიელისადმი ნესტან-დარეჯანი სრულ თავგანწირვამდე მიდის საყვარელი არსების გულისათვის, უმაღლეს სულიერ სილამაზეს აღწევს. იგი სწერს ტარიელს:

„ღმერთსა შემვედრე. ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა;
მომცეს ფრთენი და აღვფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა!
დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა!
მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას იახლე, მისი ეტლი არ თუ წბილი
ნუნა გნახო, მანდვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი.
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდეს ტკბილი.“

ნესტან-დარეჯანის ეს წერილი, რომლის მსგავსი არ დაუწერია არცერთ ლიტერატურულ გმირ-ქალს, საუკეთესო ილუსტრაციაა რუსთაველის ერთი მოკლე ფრაზისა: „სიყვარული აგვამაღლებს“.

„ვეფხის-ტყაოსანში“ დახატული სიყვარულის უმაღლესი გრძნობები, დიადი მეგობრობის კულტი, ადამიანთა სიქველე, ადამიანური ღირსებისა და სახელისათვის თავგანწირული ბრძოლა, პოეტის მახვილი დაკვირვებანი და შეფასება ცხოვრების მოვლენებისა, რაც ხშირად თანამედროვეობის რელიგიურ ცრუმორწმუნოებისა და ფანატიზმის წინააღმდეგაა მიმართული, უფლებას იძლევიან რუსთაველი ჩაითვალოს იმ დიდი ეპოქის წინამორბედად, რომელმაც თავისი ჰუმანიტარული იდეების შუქით კაცობრიობა საშუალო საუკუნოებრივი წყვდიადიდან გამოიყვანა და შემდგომი განვითარების გზაზე დააყენა.

რუსთაველის პოემის გმირები — მაჰმადიანებად არიან გამოყვანილნ, მაგრამ ეს მხოლოდ ნომინალურად, ვინაიდან პოეტი სრულიად ინდიფერენტულად უცქერის რელიგიის ყოველგვარ გარეგან წესებს.

რუსთაველის ნაწარმოების მიხედვით ძნელია წარმოდგენა იმისა, თუ როგორი იყო მისი თანამედროვე, რეალური ცხოვრება. რუსთაველი მაგალითად, არ დაიწყებს, ჰომეროსის მსგავსად, აღწერას, თუ რისგან და როგორ არის გაკეთებული მისი გმირის ფარი ან შუბი. ის არა ჰგავს ამ მხრით არც „ნიბელუნგების“ ავტორს, რომელიც თავისი პოემის მრავალ ადგილას დაწვრილებით ასახავს ჩვეულებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს: გვაცნობს რას სჭამენ მისი გმირები, როგორი წესით სხდებიან სუფრაზე, როდის წვებიან და დგებიან ლოგინიდან, რას წარმოადგენს მათი საწოლი, და აქვს თუ არა ძვირფასი ქსოვილის მარაგი, ამა თუ იმ შემთხვევისათვის კარგი ტანისამოსი რომ შეიკერონ. მისტიური და განყენებული დანტეც კი თავის კომედიაში თანამედროვე ეპოქის უფრო კონკრეტულ სახეებს იძლევა, ვიდრე რუსთაველი. რუსთაველი საზოგადოდ გვერდს უვლის ყოველდღიურობის საკითხებს. მას აინტერესებს მხოლოდ წმინდა სახით მოცემულ ადამიანთა ურთიერთობა და ადამიანის ძირითად გრძნობათა ხასიათი. ჰიპერბოლისა და საღებავთა გამუქების ხეზით რუსთაველი მუდამ ცდილობს ხაზგასმით გვიჩვენოს მთავარი მხარე მის მიერ ასახულ მოვლენებისა და აიყვანოს იგი პრინციპიალურ სიმაღლემდის. მხოლოდ შემთხვევით თუ წამოსცდება მას ესა თუ ის ფრაზა, რომელიც თანამედროვე ცხოვრების რომელიმე მხარეს შეეხება.

მაკრამ მაინც რით უნდა აიხსნას „ვეფხის-ტყაოსნის“ გამძლეობა და მარადი სიახლე? ამ საკითხზე პასუხის მისაცემად ჩამოვთვალოთ ამ უკვდავი პოემის ყველა ღირსება: მომქმედ პირთა გრძნობების სიძლიერე და სიღრმე, წარმტაცი ფაბულა, სიუჟეტის ოსტატური დამუშავება, და, ბოლოს, ლექსის ბრწყინვალე ფორმა.

რუსთაველი „ვეფხის-ტყაოსნის“ დასაწყისში, იმდროინდელ პოეტებისათვის სავალდებულო ღვთისა და მეფის ქებადიდების შემდეგ, საკმაოდ ვრცლად გამოსთქვამს თავის შეხედულებებს სიყვარულზე, რომელიც მთელი პოემის ლეიტმოტივს წარმოადგენს, აგრეთვე პოეზიაზედაც.

პოეზიის შესახებ რუსთაველი ამბობს: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი.“ პოეზიის დამახასიათებელ თვისებად სთვლის დიდი აზრის მოკლედ გამოკვეთას: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“.

თუმცა რუსთაველი პოეზიის განსაკუთრებულ ღირსებად სთვლის აზრთა გამოთქმის ლაკონიურობას, მაგრამ ამავე დროს მას მხედველობაში აქვს პოეტური ნაწარმოების მთელი მოცულობა და ის ამბობს:

„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრეთვე მელექსეთა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა,

რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმა ლევა“..
„მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე სთქვა ერთი, ორი“..

პოეტის მოწოდებად და ტალანტად იგი სთვლის უნარს — გააღვიძოს მაღალი გრძნობები, პოეტური სიტყვით ადამიანთა გული აღანთოს.

თუმცა რუსთაველი მკვეთრად მიჯნავს პოეზიაში დიდსა და მცირეს, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავს: „სანადიმოდ, სამღერალად, სააშიკოდ, საალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად“ ნათქვამი ლექსიც სასიამოვნოა, თუ კი აზრი ნათლად იქნება გამოთქმულიო. რუსთაველი ასწავლის პოეტებს განიმსჭვალონ ძლიერი ვნებით და უანგაროდ, გატაცებით ემსახურონ მას თავის პოეტური შემოქმედებით.

თავის შეხედულებას პოეზიაზე, მის ამოცანებსა და დანიშნულებაზე რუსთაველი თანმიმდევრულად ანხორციელებს თავის პოემის მთელ მანძილზე. მისი ენა ლაკონიურია, პოეტი მართლაც იშვიათი ოსტატობით აღწევს ვრცელი აზრის მოკლედ გამოთქმას.

უამრავი აფორიზმები, საღი აზრები, რომლებიც უხვადაა გაფანტული პოემაში, „ვეფხის-ტყაოსანს“ ანდაზათა და თქმულებათა საგანძურად აქცევენ. არსებითად მთელი პოემა ფოლკლორში გადავიდა თავისებურად სახეშეცვლილი და დღემდე პარალელურად განაგრძობს არსებობას ხალხურ ზეპირსიტყვაობაში.

უდიდეს ყურადღებას იპყრობს რუსთაველის სტილის მეტაფორულობა. რუსთაველი მეტაფორის ისეთივე დიდი ოსტატია, როგორც შედარებისა დანტე და პუშკინი. არისტოტელი თავის პოეტიკაში ამბობს: „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეტაფორებში იყო დახელოვნებული, სხვებისაგან მხოლოდ ამის გადმოღებაა შესაძლებელი, და ეს უნარი არის ტალანტის ნიშანი. კარგი მეტაფორების შექმნა ხომ მსგავსების მიგნებას ნიშნავს.“ რუსთაველის გაშლილი მეტაფორა ხანდახან პოემის მთელ სტრიქონებს ჰფარავს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მეტაფორა მთელ სტროფას ავსებს თავიდან ბოლომდე, და მაშინ არც ისე ადვილია მისი შინაარსის მიხვედრა. მაგალითად, მტირალ ნესტან-დარეჯანს პოეტი ასე აგვიწერს:

„შინა შეეედი, მას წინა ედგა ცრემლისა გუბები,
შიგან მელნისა მორევსა, ეყარის გიშრის შუბები,
მელნისა ტბათათ იღვრების სავსე სათისა რუბები,
შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტი ტყუბები“.

პოემა თექვსმეტმარცვლოვანი დაბალი და მაღალი შაირით არის დაწერილი, რომელიც კანონზომიერების დაუცველად ენაცვლებიან ერთმანეთს. რუსთაველი შაირის იშვიათი ოსტატია. რაში გამოიხატება ეს ოსტატობა? განსაკუთრებით, ლექსის ხმოვან ორკესტრობაში, ალიტერაციებსა, ასონანსებსა და მდიდარ რითმებში.

რუსთაველი დიდ ყურადღებას აქცევს ლექსის მუსიკას, მაგრამ იმავე დროს თითქმის არასოდეს არ ივიწყებს, რომ ჭეშმარიტ ჰარმონიულ სიტ-

ყვათა წყობაში მუსიკა უნდა ემყარებოდეს სიტყვების ფრთხილად შერჩევას მათი აზრობრივი მნიშვნელობის მიხედვით.

რუსთაველის პოემაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აგრეთვე ეტიმოლოგიური ფორმებისა და ლექსიკის სიმდიდრე. მთელი პოემა დაახლოვებით შეიცავს 45.000 სიტყვას, რომლიდანაც 15.000-ზე მეტი სიტყვა არის ძირითადი მორფოლოგიურად.

რუსთაველს თუ შევადარებთ თამარ-მეფის ეპოქის ცნობილ მეხოტბეებს ჩახრუხაძესა და შავთელს, უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველმა მათი მაღალფარდოვანი სტილი შესცვალა ნამდვილი მაღალი სტილით და გაბატონა შაირი, რომელიც შემდგომ ხუთი საუკუნის მანძილზე ძირითადი მეტრი იყო მთელ ქართულ პოეზიაში.

რუსთაველმა გაამარტივა თავისი დროის პოეტური ენა. მას ემარჯვება, როგორც მაღალი სტილი, ისე ბრწყინვალე ხალხური გამოთქმები, რომელიც გვხვდება მისი დროის არა თუ პოეზიაში, არამედ პროზაშიაც.

ისევ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ეს ღირსება სტილისა და ლექსთაწყობის ოსტატობა, რუსთაველის პოემაში გამოყენებულია მხოლოდ დიდ და ღრმა შინაარსის გასაფორმებლად. რუსთაველი იმით განსხვავდება მრავალ, შეიძლება დიდი ეპიკურ პოეტებისაგან, რომ ყოველ სტროფს ავსებს შინაარსით და აძლევს გარკვეულ მიზანსწრაფვას პოემის სიუჟეტურ სისტემაში.

მსოფლმხედველობის მხრივ რუსთაველი, ჩვენის აზრით, არ არის რომელიმე განსაზღვრული ფილოსოფიური სკოლის მოძღვრების გამტარებელი. ის მხოლოდ ღრმად განათლებული პოეტია, რომელიც არა თუ სდგას თავის ეპოქის სიმაღლეზე, დიდად უსწრებდა მას წინ, ამასთანავე ის ანტიურ და მუსლიმანურ-ქრისტიანულ საშუალო საუკუნეთა ადრინდელ პერიოდის სულიერი მემკვიდრეა.

პოეტის ამ ფართო განათლებით და დიდი ნიჭით აიხსნება მისი აზრთა სიუხვე და მომხიბლავი მრავალფეროვნება ადამიანის ძირითად გრძნობათა ასახვაში.

დ. ჯანელიძე

ბრძოლა „ვეფხის-ტყაოსნის“ გარშემო

ამ სამოცდაათი წლის წინად, ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ აღნიშნა მონასტრებსა და ფეოდალების სასახლეებში შემუშავებული ისტორიული ქრონიკების შეზღუდულობა და სიმართლეს აცდენილი ტენდენციურობა. 1880 წ. ილიას ერთ-ერთ საგაზეთო წერილში ნათქვამი აქვს: „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებულიო“ (ტ. V, გვ. 201). — ეს შეხედულება, რომ სრულიად მართებულია, ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ არც სახალხოდ გავრცელებულ „ვეფხის-ტყაოსანს“ და არც მის ბრძენ შემომქმედს, სახელმოხვეჭილს რუსთაველს მემატიანეები და ძველი ისტორიკოსები არ იხსენიებენ.

იქნებ ომიანობისა და მეფეების მატიანეში შაირობისა და ლექსის-მთქმელის მოხსენება ულირსად იყო მიჩნეული არა, აქ სულ სხვა რამ მიზეზი უნდა იყოს, თორემ მემატიანეს, რუსთაველის თანამედროვე, მასთან შედარებით უფრო მცირე მოშაირეც კი ჰყავს მოხსენებული. მეხოტბე იოანე შავთელს „ქართლის ცხოვრება“ დიდი პატივით იხსენიებს: „მეფე თამარ მოიქცა სამცხესა, და მოვიდა ოძრეხს, და მოიცალა ლოცვად და მარხვად. მუნ იყო წინაშე მისსა თევდორე, ქართლისა ქათალიკოზი, კაცი წმინდა და სახიერი და მასთანა მრავალნი ეპისკოპოსნი და მონაზონნი, ღვთისა სათნონი. რომელთა თანა იყო იოანე, კაცი შავთელი, ყოვლად განთქმული და საკვირველი მოღვაწეებათა შინა, და ლექსთა გამომთქმელი, და ევლოგი (კურთხეული). ქრისტეს-თვის სულელი, რომელსა მიეღო მადლი წინასწარ-მცნობელობისა“ („ქართ. ცხ.“, ზ. ჭიჭინაძის გამოც. გვ. 469). — არა თუ შავთელს, თამარ მეფის ისტორიკოსი მემროწლე (მეჯოგე) ლექსის მთქმელებსაც კი იხსენიებს (იქ. გვ. 489) და „ვეფხის-ტყაოსანზე“ კი ლიტყვაც არა აქვს დაცდენილი. ცხადია, რომ რუსთაველისადმი ასეთ მიკერძებას, ამოჩემებას, ისტორიაში მის მოუხსენებლობას თავის საბაბი და მიზეზი უნდა ჰქონოდა. შავთელის აქ მოყვანილ დახასიათებიდან თვალნათლივ სჩანს, რომ იმ დროის მემატიანე, ისტორიკოსი მოშაირეს კლერიკალური თვალსაზრისით აფასებდა; მემატიანეთა თვალში რუსთაველს რაღაც დიდი „შეცოდება“ უნდა ჰქონოდა, რის გამოც ეგი აითვალისწუნეს, შეაჩვენეს და მატიანეში მოხსენების ულირსად სცნეს.

სწორად აღნიშნავს აკ. გაწერელია, რომ რუსთაველის მოუხსენებლობა ისტორიულ ქრონიკებში დიდი პოეტის დევნის, მისი უკვდავი ნაწარმოების გარშემო ატეხილი ბრძოლის ერთერთი ნიშანდობლივი მომენტია.

ეკლესია, საუკუნოების მანძილზე სცდილობს ხალხის მეხსიერებაში რუსთაველის ხსენება წაშალოს, ხოლო მისი პოემა მოსპოს, ხელნაწერი და დაბეჭდილი „ვეფხის-ტყაოსანი" ცეცხლს მისცეს, „დაუხველი არ გაუშვას". თუ რას ემართლებოდნენ ცოფმორეული, ჭკუადამთხვეული ხუცები ხალხის სიბრძნის გამომხატველს — ენამზე შოთა რუსთაველს, ამის პასუხს ვპოულობთ „ვეფხის-ტყაოსნის" უძველეს ხელნაწერებში, რომელთაც წინ უძღვის პოემის 'კლერიკალებისაგან შემაჩვენებელი, „ქეთილ-მორწმუნეთა" გამაფრთხილებელი სტროფი:

„პირველ თავი დასაწყისი
ნათქვამია იგ სპარსულად,
უხმობთ „ვეფხის-ტყაოსნობით",
არას შეიქს ხორცს არ სულად,
საეროა, არ ახსენებს
სამებასა ერთარსულად,
თუ უყურა მონოზანმა,
შეიქნების გაპარსულად".

ხუცების ამ ანათემისაგან კარგათ ირკვევა, თუ რას აუმხედრებია კლერიკალური წრეები რუსთაველის წინააღმდეგ. ეკლესიას ვერ უპატიებია დიდი პოეტისათვის, რომ მან თავისი პოემა სპარსულ-აღმოსავლური თხრობის ყაიდაზე გამართა. ეკლესიამ რუსთაველი „ქრისტესაგან განდგომილ" მოშაირედ მიიჩნია და „ვეფხის-ტყაოსანი" მკრეხელობად გამოაცხადა და შეაჩვენა. შავანაფორიანი ფეოდალები ასეული წლების მანძილზე სცდილობდნენ, ხალხისათვის ამ ძვირფასს და შეულეველ პოეტური განძისათვის სახელი გაეტეხათ — „არას შეიქმს ხორცს არ სულადო", მოშაირე სცოდავს, — პოემაში ღმერთი ერთსამებად არ არის მოხსენებულიო, ამდენად წარმწყმედია და თვით გამუდმებული ლოცვა-მარხვით და მეტანიებით ეშმაკეულისაგან დაცულ მონაზონსაც კი წარსწყმენდს მისი წარკითხვა ან მოსმენაო („შეიქნების გაპარსულადო").

ცხადია, რომ ბნელეთის მოციქულები პოემის შემაჩვენებელი სტროფების შეთხზვით არ დაკმაყოფილდებოდნენ. ვახტანგის კომენტარიებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ საქართველოში, ძველთაგანვე, ეკლესია მწვალებლურად" მიჩნეულ ნაწერებს და წიგნებს სდევნიდა, სპობდა და ანადგურებდა. ვახტანგ VI-ს სიტყვით: თვით რუსთაველის დროს „ორი კათალიკოზი, რამთ-ნი უდაბნო აშენებული იყო ისენი თუცა რუსთაველს მეძაობის სიტყვა მოენდომებია როდის აქნევინებდნენ და ნათქუამს დაუხველს არ გაუშვებდნენ" („ვახტანგისეული ვეფხის-ტყაოსანი", გვ. 288).

რაკი ეკლესიას „ვეფხის-ტყაოსანი" ქრისტიანობის შემრყვნელ ნაწარმოებად ჰქონდა შეჩვენებული, ცხადია, რუსთაველის „ნათქუამსაც დაუ-

ველს არ გაუშვებდნენ". უნდა ვიგულისხმოთ, რომ პოემის ხელნაწერები მეთვრამეტე საუკუნეზე ბევრით ადრეც ნადგურდებოდა და ამითაც უნდა აიხსნას, რომ პოემის მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეზე ადრინდელმა ხელნაწერებმა ჩვენ დრომდე ვეღარ მოაღწიეს.

მიუხედავად ასეთი დევნისა, „ვეფხის-ტყაოსანი" მაინც ნამდვილ ხალხურ ნაწარმოებად იქცა და მისი ცხოველმყოფელი ზეგავლენის კვალი სჩანს ხელოვნების ყოველ დარგში. ლიტერატურისა და მხატვრობის აღორძინებამ რუსთაველის ბრძნული პოეზიით ჩაიდგა სული, პოეტების ოსტატობის საზომად რუსთაველური შაირი იქცა. „ვეფხის-ტყაოსნის" ლექსები ხალხში გადავიდა. თეიმურაზ მეორის „დღისა და ღამის გაბაასებიდან" ვტყობილობთ, რომ მე 17 — 18 საუკუნეში სიმღერად ქცეული რუსთველის ლექსები სახალხოდ იყვნენ გავრცელებულნი. „სიმღერა რუსთაველის ხანებისა („რუსთაველის მუნასიბები") მიღებული ყოფილა ძველი ქართული ქორწილის რიტუალში. ასე, როდესაც სასიძო („მეფე") მაყრიონით სასძლოსთან („დედოფალთან") წასასვლელად ემზადებოდა:

მეფის წასვლის დროს ასტეხონ
ხმამაღლად თვით მაყრულები,
თქვან მუნასიბი ლექსები,
რუსთველისაგან თქმულები.

აგრეთვე, როდესაც ქორწილი დასრულდებოდა და მეფე ასადგომად ეემზადებოდა —

მემაყრულეთ თქვან რუსთვლისა
მუნასიბები ქებისა

შემდეგ, როდესაც დედოფალს ვაჟის სახლში წაიყვანდნენ და მეფე-დედოფალი მაყრიონის თანხლებით დაიძვროდა

მოაგონდეს რუსთველის ლექსი,
შემოსძახონ წამ ისია,
„მოიყვანეს იგი პირმზე"
და შემდეგი ამისია.

კულტი ვეფხისტყაოსნისა მოსჩანს ყოფა-ცხოვრების წვრილმანებში. (ვ. ინგოროყვა — „შოთა რუსთაველი და მისი პოემა" — „ვეფხის-ტყაოსანი", სახელგამის გამოც. 1937 წ. გვ. XLIX — ს).

დღემდე, დ. არაყიშვილს და ჩხიკვაძეს დაგროვილი აქვთ 21 ძველი ხალხური სიმღერა რუსთაველის ლექსით, რომელნიც სხვადასხვა დროს ჩაუწერიათ: დ. არაყიშვილს, ზ. ჩხიკვაძეს, ია კარგარეთელს და სხვ.

შემოსეულ ურდოებთან გამუდმებულ ბრძოლებში, მტარვალ ფეოდალების წინააღმდეგ ამბოხებებსა და აჯანყებებში „ვეფხის-ტყაოსანი" შთააგონებდა ხალხს ჭირსა შიგან გამაგრებას, საწადელის ჭირის დაუდებლად ძებნას და პოვნას, მართლის ქმნას, ვაჟკაცობით სახელის მო-

ხვეჭას, საკუთარ მეობის პატივისცემას („თუ შენი თავი შენ გახლავს ღარიბად არ იხსენები“), უმგსავსოების ბოლომომლებ იმედსა და რწმენას, („უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა მით ოხერია“), ჭირში გამტან ძმობასა და მეგობრობას („ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად“), ღალატისა და ორპირობისადმი გამანადგურებელ სიმკაცრეს („კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრისა დასაჭრელად“), ნაძრახ სიცოცხლიდან სახელოვანი თავგანწირვით მოძმეთა დახსნას. რუსთაველის სიბრძნე ჩაგრულთა წყვდიადით მოცულ ცხოვრებას მანათობელ სხივებს ჰფენდა და ხალხს ამ ქვეყნად ბედნიერების მოპოების რწმენას უმტკიცებდა („ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელი“). — ეკლესია კი ხალხს მონობაში მოთმინებას ნეტარებად უსახავდა: — „მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენიო“, „ნეტარ-იყუნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაო“. თუ რამდენად ახლოს იყო ხალხის გულთან ბერ-მონოზანთა ქადაგება—ეს, ამ ხალხური ლექსიდანაც კარგად სჩანს:

„ხუცები დამჩიჩინებენ,
შენ რათ გინდა ქორნებაო,
რაც იშოვო, ჩვენ მოგვეცი,
შენ მიიღე ცხონებაო“.

ხალხისათვის რუსთაველის ოქროსიტყვები უფრო სასიამო, უფრო მშობლიური და ახლო იყო: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ანთავისუფლე მონებიო“.

მიტომაც იყო, რომ არამც თუ ეკლესიისათვის, არამედ თვით საეროფეოდალურ წრეებისთვისაც კი საშიშრად იყო გამზდარი რუსთაველის აზრების ხალხში გავრცელება. მეფე გიორგი მეცამეტეს უთქვამს: „შოთას თქმულნი ატკბობენ სულსა, ასუქებენ გონებასა, ამაღლებენ გრძნობასა, ავრცელებენ გულსა, ამხიარულებენ კაცსა, დიდებულ ჰყოფენ ქართველთა ენასა, ამუსიკებენ ქალთა და კაცთა, **თუმცა არ არის ბევრთათვის დაწერილი**“. (ბლ. იოსელიანი — „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გვ. 181).

ეკლესიამ გააფთრებული ბრძოლა დაიწყო „ვეფხის-ტყაოსნის“ გავრცელებისა და მისი ზეგავლენის აღსაკვეთავად. კლერიკალური წრეები ვერას გზით ვერ შერიგებოდნენ იმ ამბავს, რომ მთელი მხატვრული ლიტერატურა რუსთაველის პოეზიის ზეგავლენის ქვეშ მოექცა, „ვეფხის-ტყაოსნის“ უმანისტური იდეებით ზიარებული საეროდ იქცა. ბნელეთის მოციქულებმა აღორძინების ხანის ლიტერატურა მძვინვარე რეაქციის სუსხქვეშ დააყენეს და თვით მამუკა ბარათაშვილი, ქართული ლექსის კანონმდებელი ამ ლექსით ალაპარაკეს: „მართებს, კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს, თუ სააშიყო ლექსი უნდა, ღვთის სააშიყო (სთქვას) ეკლესიასა წმინდათა“ („ჭაშნიკი“, გვ. 2).

ეკლესია, რუსთაველის პოემის „მსმენელთა საზიანოდ“, „მთქმელთა საურიგოდ“, „სამეძაო სიტყვად“, აცხადებს და რუსთაველს ჩირქს სცხე-

ბენ: „საბოზრად გარეკილაო“. ხუცები ყოველნაირად სახელს უტეხენ დიდ პოეტსა და მის შესანიშნავ ქმნილებას („ვახტანგისეული ვეფხის-ტყაოსანი“ გვ. 337).

საჭირო გახდა რუსთაველის დაცვა კლერიკალების გააფთრებული დევნისაგან. „ვეფხის-ტყაოსანის“ დამცველის როლში გვევლინება პირველი რუსთველოგი, პოემის პირველი ბეჭდვით გამომცემელი ვახტანგ VI. დიდად გამწვავებული უნდა ყოფილიყო ბრძოლა „ვეფხის-ტყაოსნის“ გარშემო, თუ კი პოემის კომენტატორს ასეთი მკაცრი სიტყვები შემოეხარჯა: „უკოდინაროებითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალითა სამეძაოდ სთარგმნიდნენ (განმარტავდნენ) მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშაკევისა სამუშაკოსა: მსგავსად თვალთა, რომელთა ვერა სცნობენ მცნობელნი: და ჭიქასა ქვად პატიოსნად სახელ სდებენ და მარგალიტთა მძივად პატივ სცემენ“. ვახტანგმა შოთას ქმნილების „სამეძაოდ“ განმარტებული ხუცები ჭიებს შეადარა: „მსგავსად ჭიისა მის რომელი არს გვამთა მფრინველისათა გემოვნებისა და განძღომისა თვისისათვის სჭამს ფრინველსა მას, ჭამითა მით მასცა მოჰკლავს და თვითცა მოჰკუდების; აწ მე ამისათვის დავშვერ, ეს ხომ ყოველთა მეცნიერთაგან საცნაურ არს, რომ ესე ვითარი მეცნიერი კაცი (რუსთაველი) არცა დაშვრებოდა წარსაწყმედელად“. (იქვე გვ. 286).

ვახტანგმა, ხუცები და მათი დამქაში კალმოსნები, რომელნიც „სამეძაოდ“ და „წარსაწყმედელად“ განმარტავდნენ „ვეფხის-ტყაოსანს“, უვიცებად დასახა, ისინი ჭიქას მვირფასი ქვისაგან და უბრალო მძივს მარგალიტისაგან ვერ არჩევენო, როგორც ჭიები ასე შეუჩნდნენ „ვეფხის-ტყაოსანს“ — „გემოვნებისა და განძღომისათვის“, ოღონდ კი გულის ზრახვა აისრულონ და არ დაგიდევენ, რომ შოთას დიდ ქმნილებას მოაკვდინებენო.

კლერიკალების გავლენა მაინც იმდენად ძლიერი იყო, რომ ვახტანგი ცდილობს ეკლესიის, მართალ-მადიდებლობის პოზიციებიდან დაიცვას რუსთაველი და მით ხელშეუხებელ ჰყოს მისი პოეტური ქმნილება. ვახტანგი განმარტავს „ვეფხის-ტყაოსანს“, როგორც „ღვთისა და ეკლესიის სააშიყო ლექსებს“ და ამ მხრით მისი კომენტარიები სრულიად არ უდგება რუსთაველის ტექსტს. — აი, როგორ განმარტავს რუსთაველის ერთ-ერთ სტროფს ვახტანგი:

რუსთაველი:

„ამა საქმესა მიჯნური
ნუ უსმობს მიჯნურობასა,
დღეს ერთი უნდა ხვალე სხვა,
სთმობდეს გაყრისა თმობასა.
ესე მღერასა ბედითსა
გავს ვაჟთა ყმაწვილობასა,
და კარგი მიჯნური იგია-
ვინ იქმს სოფლისა თმობასა“

ვახტანგის განმარტება: „ესეც სამღვდელოისია. ამ საქმეს მიჯნურნი მიჯნურობას არ უძახით: დღეს რომ სასუფეველის მიჯნურნი შეიქნათ ხვალ სოფლისა: და სოფლის სიყვარულით ხვალ მისი გაყრა დასთმოთ: ბედითი ცუდსა ჰქვიან და მღერა თამაშობასა და იმას უბნობს: ეს ცუდის ყმაწვილის თამაშობას გავსო და კაი მიჯნურისასო და იმას ამბობს ვინც სოფელს დასთმობს და მუდამ სასუფეველს ამბობსო“ (გვ. 295 — 6). — ერთი სიტყვით, ვახტანგი ისე გაუტაცია „ვეფხის-ტყაოსანის“ საღვთო-საეკლესიო აშიყობის წიგნად განმარტებას, რომ წარმოუდგენელ უკიდურესობამდე მიდის. ჰკითხულობთ და გგონიათ, რომ რომელიმე მიხრწნილი ღვთისმეტყველის კომენტარიებს შესდგომია და არა რუსთაველის ცხოველმყოფელი სიბრძნის განმარტებას.

ცხადია, ეკლესია ვერ აპატიებდა ვახტანგს, რომ მან „ვეფხის ტყაოსანი“ გამოსცა და მის ზედმეტად გავრცელებას ხელი შეუწყო, ღვთისმეტყველთა უმეცრება ამხილა და ისინი ჭიებს შეადარა, ხოლო ეკლესიისგან შეჩვენებული და დაგმობილი, „წარსაწყმედი“, „სამეძაო“ და „საბოზარი“ შაირი ღვთისა და ეკლესიის სამიჯნურო ნაწარმოებად რომ გამოაცხადა. — ეკლესია არ დაერიდა ვახტანგის მეფურ ღირსებას, ბნელეთის მეცქიულებმა აღორძინების ხანის ამ განათლებულ მოღვაწეს, მეცნიერებისა და მწერლობის სახელოვან მოამაგეს უმეცრება დასწამეს. ქართლის მთავარ-ეპისკოპოსი ტიმოთე (XVIII ს.) გაცოფებით სწერდა: „რუსთაველი ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავლა ქართველ სიწმინდის წილ ბოროტი ბილწება, და განჰყურნა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩუენთა უმეცართა სამღვთოდ სთარგმნეს ლექსი ესი: და ამის გამო დედანი საქართველოისანი ხატად ღუთისა შექმნილისა, სახისა წილ ფერადთა წამალთა იცხებენ და მიცვალებულთა თმათა მოიბმენ საფრხედ სულთა“ („მოხილვა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთის ადგილთა“, გვ. 154).

ქართლის მთავარ-ეპისკოპოსმა მეფე ვახტანგი უმეცარად გამოაცხადა, ეს შეჩვენებას უდრიდა, და მაჩვენებელი იყო „ვეფხის-ტყაოსნის“ გარშემო ატეხილი ბრძოლის უაღრესად გამწვავებისა.

ანტონ ქათალიკოსმა (XVIII ს.) ხუცური ცბიერებით და ორპირობით, ერთ-ერთ თავის თხზულებაში, თუმც შეაქო რუსთაველის სიბრძნე, მაგრამ მისი „ვეფხის-ტყაოსანი“ კი ამაო შრომის ნაყოფად მიიჩნია და მით შეაჩვენა კიდეც:

„შოთა ბრძენ იყო სიბრძნის მოყუარე ფრიად
ფილოსოფოსი მეტყველი სპარსთა ენის,
თუ სამ სწადოდა ღვთისმეტყველიცა მაღალი,
უცხო საკვირველ პიიტიკოს მესტიხე,
მაგრამ ამაოდ დაშვრა საწუხ არს ესე.

(„წყობილისტვაობა“, 802).

ეტყობა „ვეფხის-ტყაოსანის“ წინააღმდეგ ხუცების გააფთრებულ ბრძოლას საერო-ფეოდალურ წრეებზე ზეგავლენა მოუხდენია და შემდეგში წინანდელი შეუპოვრობით ველარ იცავენ რუსთაველსა და მის ნაწარმოებს, რაც ნათლად სჩანს იოანე ბატონიშვილის კომპრომისული განცხადებიდან: „ვეფხის-ტყაოსანი“ სწორედ ზნეთ სწავლულება არს და ვინც როგორ იხმარებს, იმ ნაყოფს გამოიღებს“ („კალმასობა“ გვ. 53).

ხოლო, ბევრით უფრო ადრე პოეტის ფეშანგის გალაშქრება რუსთაველის პოეზიის წინააღმდეგ, არა მარტო ახალი ლიტერატურული სკოლის თვალ საზრისით აიხსნება, არამედ მის სიტყვებში სჩანს ეკლესიისადმი მიკერძოების ელემენტიც, ყოველ შემთხვევაში ფეშანგის გამოსვლა „ვეფხის-ტყაოსნის“ დამცველთა ფრონტის გაღლვევას მოასწავებდა და ხუცების მიერ რუსთველის წინააღმდეგ ატეხილ ბრძოლას ეხმარებოდა. აი, ფეშანგის სიტყვებიც:

„რას ხელყოფის საქებრად
ტარიელ და ავთანდილი?
სად იცნობდეს უცხოს უცხო, —
ან რა ნახეს მათგან ქმნილი?
ყველა ტყუილი შეატმასნეს,
ყოფილიყო გარდავლილი;
აქეს ვინმე უმეცარი,
გაიმწარეს მათთუის ძილი“

(„შაჰნავაზიანი“ გვ. 6).

თუ, რამდენად აღშფოთებული იყო რუსთაველით ეკლესია, რაოდენი სიძულვილით იყვნენ აღვსილნი ხუცები „ვეფხის-ტყაოსნისადმი“ ეს კარგად სჩანს ნიკოლაოზ ღვდელის მიმართვიდან რუსთველისადმი:

„რუსთველო, ახ თუ დრო გაქვს,
მიტომ აგეთ ლექსთა ჩმახავ...
ლაგაზივით წამოგწვდები,
ეს კი ვიცი ვერ გაგლახავ,
და ამას წინად, შენს დროებში
დაგავიწყებ რაც გინახავს“.

მაგრამ, ცხადია, ეკლესია „ვეფხის-ტყაოსნის“ სიტყვიერი შეჩვენებით, წყევლა-კრულვით არ დაკმაყოფილდებოდა და მართლაც მე-18 საუკუნეში ვპოულობთ ცნობებს, რომ რუსთაველის პოემა ხუცებმა ცეცხლს მისცეს. პირველ ცნობას ამის შესახებ, ევგენ მიტროპოლიტის წიგნში ვპოულობთ: поэма сия при царе Вахтанге была в Тифлисе напечатана, однакож вскоре изтреблена так, что ныне весьма редко можно видеть печатные оной экземпляры („Историческое изображение Грузии“, СПб. 1802, стр. 86).

„ვეფხის-ტყაოსნის“ დაბეჭდილი წიგნები ბნელეთის მოციქულებმა შეაგროვეს და ცეცხლს მისცეს, ხოლო მისი კითხვა სასტიკად აკრძალეს: „ქათალიკოსმა ანტონმა მრავალნი დაბეჭდილნი მეფის ვახტანგის დროსა „ვეფხის-ტყაოსანი“ დაჰსწუნა და შთააყრევინა მტკუარში და აღუკრძალა კითხუა წიგნისა ამისა ქართუელთა“ („მოხილუა წმინდათა და სხუათა ადგილთა“, გვ. 154).

პლატონ იოსელიანის ცნობითვე ანტონ ქათალიკოსმა: „დღესა ერთსა 80 დაბეჭდილი წიგნი ვახტანგ მეფისვე დროისა, შთააყრევინა მტკუარსა ვითარცა წიგნი მავნებელი მკითხველთათვის და მომწამვლელი ქრისტეანთა გონებისა და გრძნობისა“ („ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ 1936 წ. გვ. 181).

და მიუხედავად იმისა, რომ ბნელეთის მოციქულები ცეცხლში სწვავდნენ და მდინარეში ნთქავდნენ „ვეფხის-ტყაოსანს“ ხალხმა მაინც დაიცვა და შეინარჩუნა იგი.

საღმრთო წიგნი ბევრი წახდა
უყდოთა და უბუდობით,
საშაიროს ინახავენ
სტავრის ბუდით და ნახლობით“.
(თეიმურაზ პირველი)

„ვეფხის-ტყაოსის“ დევნას და დამცირებას მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ მოუღო ბოლო. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა სახალხოდ ზეიმობს დიდი პოეტის 750 წლის იუბილეს.

რუსთაველის იუბილე ხდება ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მძლავრ გამოხატულებად. ლენინ-სტალინის პარტიამ, მისმა გმირულმა ბრძოლამ და ბრძნულმა ქმედობამ გამოიყვანა, სხვა მოძმე ხალხებთან ერთად, ქართველი ხალხიც, მისი დიდი კულტურული მემკვიდრეობით კომუნიზმის მშენებლობის ისტორიულ სარბიელზე და დღეს წელში გამართული მშრომელთა მილიონები უმღერიან ბრძენსა და ენამზე შოთა რუსთაველს:

„საუკუნეთა ხლართულში
ბინდი გადასჭრა თენებამ,
თავში ელექტროდ იელვა
შოთას სახელის ხსენებამ,
მასაც მოჰფინა ნათელი
სოციალიზმის შენებამ“.

აკ. გაწერელია

რუსთაველის პოეტიკის საკითხები

(ორი თავი გამოკვლევიდან)

1. დრო „ვეფხის-ტყაოსანში“

„ვეფხის-ტყაოსანი“ აშლება ეპიური თხრობისა (მოგონებანი, მოგზაურობანი და სხვ.) და მიმართვის (ემფატიური ინტონაციის) ფორმებში (ლოცვა მნათობებისადმი, წერილები, შესავალი და დასასრული და სხვ.). ადგილები, სადაც ეს უკანასკნელი (ემფატიური მხარე) სჭარბობს, ამხელენ ჩახრუხაძის ოდების გავლენას (ფრაზოლოგიასა, შედარებებსა და ლექსიკონში). მეორე მხრივ პოემაში დაძლეულია ირანული ეპოსის სიუჟეტური ტრაფარეტები. ამის გამო, მიუხედავად ცალკეულ შეხვედრებისა, ვეფხის-ტყაოსანი გამოირჩევა თავისი სიუჟეტის ოსტატური გაშლით აღმოსავლეთის დიდ ეპიურ ნაწარმოებთა შორის.

მიმართვის, ემფატიური ინტონაციის ძლიერ ნაკადს შეეძლო შეესუსტებინა ფაბულის ან სიუჟეტის გაშლის მომენტი, ამბავთა ცხოველი განვითარება. ავტორი თითქოს იძულებული უნდა ყოფილიყო მექანიკურად მიეკერებინა ამბავთა შემცველი ადგილები ლოცვებისა და წერილებისათვის; ამის მაგალითები საკმაოდ ბევრია ირანული ეპოსის ზოგიერთს ძეგლებში. ვეფხის-ტყაოსნისათვის უცნობია ასეთი მექანიკური გადასვლები და სიუჟეტური ღერძი არსად სწყდება, — მიმართვის ტონით დაწერილ თავებშიაც კი, პოემის ნაწილები შინაგანი ძაფებით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან: ნესტან-დარეჯანის ცნობილი წერილი, რომელიც ლირიული მეტყველების უმაღლეს მიღწევას წარმოადგენს და რომელშიაც ტარიელი ა ს ტ რ ო ლ ო გ ი უ რ ს პ ლ ა ნ შ ი ა დახასიათებული, იმავე დროს შეიცავს სტროფს, სადაც ნესტანი სთხოვს მას — წავიდეს ინდოეთს და შეებას ხატაელთ. შემდეგ თავებში აღწერილია ამბავი თვითონ ამ შებმისა სრულიად რ ე ა ლ უ რ პ ლ ა ნ შ ი. ეს, ერთის შეხედვით უხილავი ძაფები, ქმნიან „ვეფხის-ტყაოსნის“ სიუჟეტის იმ სირთულეს, რომლის მსგავსს ჩვენ ამაოდ ვეძებთ კლასიკური ან აღორძინების ხანის ქართველ მწერალთა პოემებში.

„ვეფხის-ტყაოსანში“ ორი პლანი ერთმანეთს კი არ უშლიან ხელს, არამედ ანვითარებენ და ავსებენ. ეს წინასწარი პირობა რომ ყოფილიყო

დაცული საჭირო გახდა სიუჟეტის შეთანხმება ემფატიურ (მიმართვით) ინტონაციასთან, რომელიც ჩვეულებრივ ვერ ითმენს რთულ ფაბულას, რუსთაველმა შესანიშნავად გადასჭრა ეს საკითხი.

* * *

პოემის ფაბულა, სიუჟეტის ყველა ძირეული ნუანსებით, უთუოდ დიდს ადგილს დაიკავებდა, რომ ავტორს ის ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით ან სწორხაზობრივ სვლით განევითარებინა. ეპიზოდიდან ეპიზოდზე უშუალო გადასვლა მაშინ მოითხოვდა უფრო ვრცელი პანორამის შექმნას; მივიღებდით ამბავთა კრებულს, რომლის მსგავსი ბევრი მოიძებნება ქართულს, ირანულს და საერთოდ აღმოსავლურ მწერლობაში:— ვეფხის-ტყაოსანი უნდა ჩაგვეთვალა პოემის ისეთ ტიპად, რომელიც შეიცავს თხრობას საინტერესო ამბებზე, — შინაგანი ლაბირინტის უქონლად და ყოველგვარი სიმბოლიური მნიშვნელობის გარეშე.

რუსთველის თხზულებაში მოცემულია სიუჟეტი, დამუშავებული ლექსის კონსტრუქციის მამოძრავებელი ძალის — რიტმის — თანახმად და ძლიერ განსხვავდება ჩვეულებრივი, პროზაული სიუჟეტისაგან თავისი აგებულების მხრით. ის შეკუმშულია და ჩასმული პოემის ინტონაციის ჩარჩოებში.

ამას — უპირველეს ყოვლისა, ადასტურებს „ვეფხის-ტყაოსნის“ დრო ავიღოთ ტარიელის საძებრად კაცების გაგზავნის აღწერის სცენა:

122. მოასხნეს კაცნი, გაგზავნეს ოთხთავე ცისა კიდეთა;
უბრძანეს: „წადით, პატიუთა თავიმცა რად დაჰრიდეთა!
მონახეთ, ძებნეთ იგი ყმა, სხვად ნურად მოიცლიდეთა,
მისწერეთ წიგნი, სადაცა ვერ მისწვდეთ, ვერ მიხვიდეთა“.
123. კაცნი წავიდეს, იარეს მათ ერთი წელიწადია;
მონახეს, ძებნეს იგი ყმა, იკითხეს კვლა და კვლა დია;
ვერცა თუ ნახეს მნახველი, ღმრთისაგან დანაბადია,
ცუდად მაშვრალნი, მოვიდეს, მათსავე გულსა ზადია;
124. მონათა ჰკადრეს: „მეფეო, ჩვენ ხმელნი მოვიარენით,
მაგრა ვერ ვჰპოვეთ იგი ყმა, მით ვერა გავიხარენით,
მისსა მნახველსა სულდგმულსა კაცსა ვერ შევეყარენით,
ჩვენ ვერა გარგეთ, საქმენი სხვანი რამ მოიგვარენით“.
125. მეფე ბრძანებს... და ა. შ.

აქ შეკვეცილია მოგზაურობის აღწერა და ის ამბები, რომლებიც მოგზაურობასთან დაკავშირებით შეეძლო მოეთხრო ავტორს. მაგრამ რუსთველის პოემა წარმოადგენს ლირიული, დრამატიული და პლასტიური სურათების დენასა და არა ამბავთა ქრონიკას.

ამიტომ ავთანდილის პირველი გამგზავრების აღწერაში ხშირია ასეთი ადგილები:

156. გამოემართა ავთანდილ, მოყმე მხნე ლაღად მავალი,
ოცდღე იარა, ღამესა დღე ზედა წართო მრავალი.
. . . . . .

ან:

201. ყოვლი პირი ქვეყანისა მოვლო, სრულად მოიარა,
ასრე რომე ცასა ქვეშე არ დაურჩა არ იარა;
მაგრა იგი მის ამბისა მსმენელსაცა ვერ მიმხვდარა
ამაშიგან წელიწადი სამი სამ თვედ მიიყარა.

ან კიდევ:

241. წინა უკანა იარეს ორნი დღენი და ღამენი.
. . . . . .
242. დღისით ვლეს და საღამო-ჟამ გამოუჩნდეს დიდნი
კლდენი.

და ა. შ. — სხვა თავებშიაც.

პროზაში ეს ხერხი მწერლის სისუსტის მაჩვენებელი იქნებოდა, რადგან სიუჟეტს იქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. პოემაში კი იგი სავსებით გამართლებულია. რუსთაველის პოემაში დროის ასეთი პერსპექტივა კონსტრუქციის საკითხს სწყვეტს, რაიც კარგად შენიშნა ჯერ კიდევ აკად. მარი ბროსემ. ის სწერს:

„გამოვიანგარიშოთ სულ რაოდენი დრო გამოვა ვეფხის-ტყაოსანის მოქმედებაში. ვპოვებთ 13 წელიწადს, 9 თვეს და რაოდენსამე დღეს თუ მეტს ნაკლებს, თუმცა დრო ესე გრძელია, მაგრამ რუსთველის ხელოვნებითა ასე შემოკლებულია, რომ იმისი ანგარიში წარმკითხველს დაავიწყდება. მაგალითად ორი მოგზაურობა ავთანდილისა, რომელიც გაგრძელდება ოთხს წელიწადზე მეტს, მხოლოდ რაოდენთამე მუხლთა შეიცავს. თუ სხვა მწერალი ან მეზღაპრე ყოფილიყო, უთუოდ ზღაპარსა თვისსა გმირის დაბადებიდგან იწყებდა და გრძლად აღწერდა სიყრმესსა მისსა. ხოლო რუსთველი, ტარიელის პირით, ყველას ასე მოგვითხრობს რომ მოქმედების დროში არ შევა არც მისი შობა, არც უდაბნოში ათ წელ დგომა. ამისმებრცა სხვანი გარემოებანი შემოკლებულ არიან“ (იხ. ვეფხის-ტყაოსანი. 1841 წ. სპბ. გვ. IX).

მ. ბროსეს კარგად აქვს დახასიათებული რუსთველის პოეტიკის ეს უმნიშვნელოვანესი მომენტი. მართლაც — ვეფხის-ტყაოსანში რეალური დროის დინებისას ჩვენ გვაქვს გადახვევანი [წარსული დრო], რომელნიც ავსებენ ამბავს, მაგრამ რეალურ დროში არ შემოდიან. მათი თანმიმდევრული განვითარება პოემას ძალზე გაზრდიდა.

ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტის რეალურ დროში ჩვეულებრივ იჭრება მოგონება (ტარიელის მიერ ყრმობის ამბების თხრობა ავთანდილ-

უმნიშვნელოვანესი მომენტი. მართლაც—ვეფხის-ტყაოსანში რეალური

რი და პარალელური — თითქმის მთელი პოემის მანძილზე ენაცვლებიან ურთერთს (დომინანტურ როლს ამ მონაცვლეობის დროს, რასაკვირველია, ასრულებს რეალური დრო). ურთერთ ცვლის მომენტს ადგილი აქვს ცალკე თავებსა და სტროფებშიაც. კი. რუსთველი,

მაგალითად, არ ივიწყებს მოგონების მთხრობელის მდგომარეობას თვითონ თხრობის პროცესში. ტარიელი ჰყვება.

„მე ხუთისა წლისა ვიყავ დაორსულდა დედოფალი“.
ესე რა სთქვა, ყმამან სულთქნა, ცრემლით ბრძანა „შობაჟ ქალი“.
დაბნედასა მიეწურა, ასმათ ასხა გულსა წყალი
თქვა: „მაშინვე მზესა ჰგვანდა აწ მედების ვისგან ალი“.

ამ სტროფში კარგად არის შეთანხმებული პარალელური დრო (მოგონება) პოემის რეალურ დროსთან.

რუსთველს თითქოს ეჩქარება და ისწრაფის თხრობა გადაიტანოს შეკვეცილ დროში: ადგილის, დროისა და სივრცის მთლიანობა მას აძლევს საშუალებას საგნების ყოველმხრივი და პლასტიური დახასიათებისათვის. სწორედ ამიტომ, პოემაში შესანიშნავია განსაკუთრებით ის ადგილები, სადაც რომელიმე ეპიზოდი აღწერილია რამდენიმე დღის ან უფრო ნაკლები დროის ფარგლებში. ვრცელ დროში კი ყოველივე ეს ძნელი მოსახერხებელი იქნებოდა.

დროის ასეთი პერსპექტივა ხელს უწყობს პოემაში მიმართვითი ტონის ძლიერი ნაკადის შეთანხმებას ეპიურ თხრობასთან, მთელი ინტონაციის დინამიურ განვითარებას. ამას კიდევ უფრო აადვილებს პოემის მეტრიული ჩარჩო: ემფატიური ინტონაციით დაწერილ თავებში სჭარბობს დიქორული და პეონური საზომი (ე. წ. „მაღალი შაირი“) ხოლო ეპიურ ადგილებში — ქორე-დაქტილური მეტრი (ე. წ. „დაბალი შაირი“) თავისი ნელი ტემპით.

ასევე კარგად არის გადაჭრილი პოეტის მიერ ორი პლანის — ასტროლოგიურისა და რეალურის — ურთიერთ მოქმედების საკითხი.

2. ორი პლანი ვეფხის-ტყაოსანში

ვეფხის-ტყაოსნის ეპილოგში თამარი შედარებულია მზესთან:

3. ვის შვენის, ლომსა, ხმარება შუბისა, ფარშიმშერისა
მეფისა მ ზ ი ს თამარისა ...

ეს არის ზოგადი, ასტროლოგიური პლანი. მე-5 სტროფში კი მოცემულია სრული სურათი თამარის გარეგნობისა:

5. მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე კბილისა,
ბროლ-ბალახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა,
გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

ეს არის რეალური პლანი.

პროლოგში რუსთველი თამარს მიმართავს, როგორც ერთერთი მ ჭ ვ რ ე ტ ე ლ ი („მისთა მჭვრეტელთა“...), რომლისთვისაც ნაცნობია მეფის სახე ორივე პლანში: როგორც მეფე-მზის, ღვთაების ინკარნაციისა, ისე ადამიანის, ქალის, — ყველა გარეგნული ატრიბუტით.

პოემის ეპიური ნაწილის პირველივე თავში, სადაც თინათინის დახასიათებაა, მოცემული, ეს ორი პლანი ერთად ჰყოფს თავს. შემდეგ მათი საზღვრები ვრცელდება: ასტროლოგიური პლანი უფრო წერილებსა და ლოცვებში სჭარბობს, რეალური კი — თხრობითს, ეპიურ ადგილებში.

აი როგორაა აღწერილი თინათინი პირველად:

35. სხვა ძე არ ესვა მეფესა მართ ოდენ მარტო ასული,
სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული;
მან მისთა მჭვრეტთა წაუღის გული, გონება და სული;
ბრძენი ხამს მისად საქებრად და ენა ბევრად ასული.

როგორც ვხედავთ, ამ სტროფში გადმოცემულია შორით მჭვრეტელის, სამეფო დარბაზის წევრის („მისთა მჭვრეტთა...") თვალით ასტროლოგიურ პლანში დანახული მეფის სახე („სოფლისა მნათი მნათობი"). აქ ჯერ კიდევ არ არის ნაჩვენები სახის კონკრეტული ატრიბუტები, მათი დახასიათება. ავტორი — მთხრობელი თავის ადგილს უთმობს ავთანდილს, რომელიც ამბობს:

„ამოა ჭვრეტა ტურფისა, სიახლე [= სიახლოვე] საყვარელისა".

ამ სიახლოვის მომენტში — როცა თვითონ თინათინი-მზე მიიწვევს მას თავისთან ავთანდილისა და მკითხველის წინაშე იშლება შემდეგი პლასტიური სურათი:

130. გაცრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი,
ებურნეს მოშლით რიდენი, ფასის თქმად გასაპირონი;
შვენოდეს შავნი წამწამნი, გულისა გასაგმირონი,
მას თეთრსა ყელსა ეხვივნეს გრძლად თმანი არ უხშირონი.

რეალური პლანის (თინათინის გარეგნობის) დაახლოვება მკითხველთან შესაძლებელი გახდა ასტროლოგიური პლანის დაახლოვებით მჭვრეტელთან, ავთანდილთან; ამის შესახებ ნათქვამია პოემაშიაც:

131. „პირისპირ პირსა უჭვრეტდა, სავსე ლხინითა დიდითა".

ასეთივე დაახლოვება ზოგადი პლანისა მჭვრეტელთან გვხვდება პოემის სხვა ადგილებშიაც; ხატაელებზე გამარჯვებული ტარიელი ბრუნდება ინდოეთს და მეფესთან ერთად შედის დარბაზში, სადაც პირისპირ შეხვდება ნესტანს:

521. . . .
. . .
მეფე გარდახდა, დარბაზსა შევედით ჩემთა მზრდელთასა,
შევხედენ, დავკრთი ელვასა ღაწვთა მზეებრ ნათელთასა.

522. მას მზესა ტანსა ემოსნეს ნარინჯის ფერნი ჯუბანი,
ზურგით უთქს ჯარი ხადუმთა, დას-დასად, უბან-უბანი,
სრულად ნათლითა აევსო სახლი, შუკა და უბანი;
მუნ ვარდსა შუა შვენოდეს ძოწ-მარგალიტი ტყუბანი.

. . . . . .
. . . . . .

524. პირისპირ მიჯდა იგი მზე, გული ვისთვისცა კვდებოდა.

. . . . . .

526. რა უამეა პირის-პირ საყვარელისა ჭვრეტასა.

როგორც მკითხველი ხედავს, აქ თითქოს განმეორებულია სურათი თინათინთან ავთანდილის შეხვედრისა. ერთნაირია ლექსიკონიც კი (...ტანსა ემოსნეს...).

ეს სტილიური ხერხი ამოძრავებს აგრეთვე სიუჟეტის სათანადო ადგილებს.

ტარიელის პირველი გამოჩენის აღწერისას რუსთველი განზრახ მალავს მის გარეგნობას:

. . . . . .

. . . . . .

90. მოვიდა მონა საუბრად მის ყმისა გულმდუღარისად,
თავჩამოგდებით- მტირლისა ა რ ჰ ვ რ ე ტ ი თ მოლიზღარისად.

„უცხო მოყმის" საძებრად წასულ ავთანდილს მგზავრები აცნობებენ:

238. რადგან ისი [ტარიელი] არის სადმე უცნობო და ისრე რეტად,

რომე კაცსა არ მიუშვებს საუბრად და მისად ჰ ვ რ ე ტ ა დ.

. . . . . .

გამოქვაბულში კი სულ სხვა სურათი იშლება:

. . . . . .

. . . . . .

291,4 „ავთანდილ სარკმლით უმზერდა ჰ ვ რ ე ტ ი თ ა იდუმალითა:
292. „ამარტის ფერად შესცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან,
დიდხანს იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან;
შესხნა, შეიღო აბჯარი, ცხენიცა მოიყვანა მან;
დადუმდეს, ცრემლნი მოჰკვეთნა შავმან გიშრისა დანამან".

საკითხავია, რატომ აგვიანებს რუსთველი რეალური პლანის ჩვენებას? ნუთუ პოეტი აქ პერსპექტივის ჩვეულებრივ კანონს იცავს მხოლოდ?

ასტროლოგიური პლანი მოითხოვს მეფე-მზე ზოგად ხაზებში იქნას დახასიათებული. თინათინი ამ პლანში ნაჩვენებია, როგორც მზის ბადალი, მზის სწორი; აი ტაეპები, რომელნიც მას ახასიათებენ:

36,1—2 მისი სახელი თინათინ, არს ესჴ საცოდნარია,
რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია.
41,3 შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზეზრ განაცხადია.
45,3 მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან.
53,1 თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა.
68,2 ფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მოწუნარისა.
106. ადგა და კარსა მივიდა, ჰქონდა მზისაცა ცილობა;

ამ სიტყვიერ ატმოსფეროში თითქოს იკარგება ხორცშესხმული ადამიანის განცდა; პოეტი არ მიმართავს ნილაბის სრული რელიეფის გამოკვეთას: მ ჰ ვ რ ე ტ ე ლ ი და დარბაზი აქ მ ო ც ე მ უ ლ ი ა თ ვ ი თ ო ნ მ ე ფ ე - მ ზ ი ს შ უ ქ ი ს ქ ვ ე შ; ამიტომ არის ნათქვამი თინათინზე:

47,1: „ქალი მზეზრ უჰვრეტს ყოველთა ცნობითა ზ ე - მ ხ ე დ ვ ე ლ ი თ ა"

რეალურ პლანში კი იგივე მზე-თინათინი ჩვეულებრივი ადამიანის ატრიბუტებს იძენს და თუ აქაც ხშირად ისმის სიტყვა „მზე“, არა როგორც მეფე ღვთაების შემცველი ცნება, არამედ, როგორც ეპიტეტი.

საერთოდ მკითხველმა უნდა გაარჩიოს სად როგორი მნიშვნელობით ისმარება ეს სიტყვა. „მზე“ ხშირად მიემართება მამაკაცებსაც (მაგ. ავთანდილს და ტარიელს), რაიც სავსებით ბუნებრივია: რეალურ პლანში სიტყვა „მზე“ ამოვარდნილია იმ ლექსიკურ ატმოსფეროდან, რომელშიაც მას უხდებოდა მოძრაობა ასტროლოგიური პლანის დინებისას. რეალურ პლანში ის მოხვედრილია სულ სხვა ლექსიკურ რიგში, ასრულებს სხვა დანიშნულებას. „მზე“ აქ გვხვდება, როგორც აღწერის საშუალება, შედარების ელემენტი და სწორედ ამიტომ მის გვერდით ჩნდებიან სიტყვები: „დარი“, „მსგავსი“, „ჰგვანდა“ და სხვ.

ტარიელი ამბობს:

351,₄: „მოვიმწიფე, დ ა ვ ე მ ზ გ ა ვ ს ე მ ზ ე ს ა თვალად ლომსა ნაკვთად“.

ხოლო ნესტან-დარეჯანი ასეა დახასიათებული ტარიელის მოგონებაში, სადაც პირველად ჩნდება მისი სახელი:

355,₁: „თქვა: „მაშინვე მ ზ ე ს ა ჰ გ ვ ა ნ დ ა, აწ მედების ვისგან ალი“.
358,₂: მართ მაშინვე ჰ გ ვ ა ნ დ ა ი გ ი მ ზ ე ს ა შუქთა ნასამალსა“.
360,₃: „მთვარისა მ ს გ ა ვ ს ი, მზისაგან შვენებით არ შეფრობილი“.

და მრ. სხვ.

მკითხველს უნდა მოვაგონოთ, რომ ნესტანი თვითონ არ არის მეფე (როგორც, მაგალითად, თინათინი). ამიტომ კონკრეტულ პლანში მისი დახასიათება სავსებით ლოგიკურია. მაგრამ საკმარისია რუსთველმა ის ასტროლოგიურ პლანში მოაქციოს (პოემის შემდგომს თავებში), რომ სიტყვა „მზემ“ სულ სხვა მნიშვნელობა შეიძინოს. ემფატიური ინტონაცია ამ მომენტს უფრო აძლიერებს. მაგ. მიმართვა ნესტანისადმი ტარიელის წერილში:

546,₁: „მივუწერე: „მზეო, შუქი შენი, შენგან მონაფენი“.

ან კიდევ ფატმანი ნესტანს:

1333,₁: „ფატმან წერს: „აჰა, მნათობო, სოფლისა მზეო ზენაო!“

და სხვ.

* * *

როგორც ვსთქვით, ასტროლოგიური პლანი განსაკუთრებით ძლიერია იმ ადგილებში, რომლებიც მიმართვითს ტონებშია დაწერილი. რუსთველი ამ ადგილებში აღწევს შინაგანი სიმბოლიკის იშვიათ ინტენსივაციას: მნათობებთან დაკავშირებულია ბედის სხვადასხვა საფეხური (ლოცვა მნათობებისადმი), ნესტანის ცნობილ წერილში ტარიელი „მზის წილად“ არის მიჩნეული და სხვ.

ჩახრუხაძის ოდებშიაც, რომლებიც მიმართვის ფორმებს წარმოადგენენ, თამარი დახასიათებელია ისეთს ზოგადს, ასტროლოგიურს პლანში:

> თამარ! შენ გიცნობ, ასულად გიცნობ მზე დაუვალი შუქ მომფინარი! (ქება 21).
>
> არსნი მზედ გხმობენ... (ქ. 23).
>
> მან ცათამ არის, მან ცა თამარის და მზე აბნელა მაცისკროვნებად (25).
>
> შენსა სად არსა? შენსა სადარსა ვერა ვსჭვრეტ ცხადად და ნახსოვარად! თქვენ ას ენათა, მზეო ზენათა! (28).
>
> ზევსმან მზედ გიცნა, უმზესად ზესა მით რომელ უცხო ხარ სახილველი (70).
>
> შენ მწუნობი ხარ მნათობთა... (85).
>
> [შდრ. რუსთველი: „თინათინ მზესა სწუნობდა"].

ჭვრეტის მომენტს ჩახრუხაძეც აქცევს ყურადღებას; ის მიმართავს თამარს:

> „მჭვრეტნი ვინ იყო სხვა დაუწველად" (46).

ან

> „ვერვინ გიხილა, ნახვად გიხილა ანუ გიჭვრეტდეს გარეტებულად" (53).

აქ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ შემდეგს დეტალზე: „ჭვრეტა" და „ხილვა" (ან „ნახვა") სხვადასხვა მდგომარეობაა. რუსთველსაც აქვს ესენი გამიჯნული:

„...უ მ ზ ე რ დ ა ჭ ვ რ ე ტ ი თ ა იდუმალითა" ამბობს ის ავთანდილზე (ხომ არ შეიძლება თქმა: „უცქერდა ცქერითა"?). სიტყვა „ჭვრეტასთან" დაკავშირებულია აგრეთვე ემოციური მომენტი.

მოყვანილ ტაეპებში დაცულია დისტანცია მზე-მეფესა და მჭვრეტელს შორის. რეალურ პლანში, როგორც ვსთქვით, რუსთველი აახლოვებს გმირთა ამ ზოგად პლანს და მიმართავს გარეგნობის დაწვრილებით აღწერას. ამ მხრითაც რუსთველს ბევრი საერთო აქვს ჩახრუხაძესთან, რომელმაც პირველად შემოიღო „მელნის ტბის" პოეტიკა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ სიტყვა „მზე"-ს ჩახრუხაძე აღარ ხმარობს ეპიტეტის მნიშვნელობით, რადგან მიმართვის ტონი მის ოდებში არსად იცვლება ეპიური თხრობით და ლექსიკურ ატმოსფეროს ხასიათი ბოლომდე ერთფეროვანი რჩება.

* * *

სამაგიეროდ რეალურ პლანში ვეფხის-ტყაოსანი სხვა მხრით ენათესავება ჩახრუხაძის ოდებს.

ვეფხის-ტყაოსანში სატრფოს სიყვარულით „დაბნედილი" და „ველად გაჭრილ" მიჯნურს ეწოდება „ხ ე ლ ი". ასეთია, მაგალითად, ტარიელი, რომელსაც ავთანდილი ნახავს დახოცილ ლომისა და ვეფხის გვამებთან ერთად შამბნარში. პოემის ამ ადგილის პოეტიკა მოცემულია ჩახრუხაძის ოდების შემდეგს ოთხ ტაეპში:

> ჩემსა მოყმესა, ლომთა მოძმესა, ვის არად უჩნდის სახლი და კარი,
> დამმეტეს მქმნელად: გაიჭრეს ველად, სადგურად ქონდეს ლომთა შამბნარი (59).

ასეთი შეხვედრები კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს ერთსა და იმავე ლიტერატურულ სკოლას, ეპოქას. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსთველი აღრმავებს ამ სკოლის კულტურას, აჰყავს იგი უმაღლეს საფეხურზე.

რუსთველი ხშირად მიმართავს მხატვრულ გადაჭარბებას: მისი გოლიათი გმირები ცრემლს აფრქვევენ, ვეფხთან მორკინალი ტარიელი ხშირად იჩენს გულჩვილობას. რუსთველი აქ სრულიად შეგნებულ მეთოდს მიმართავს და არ შეიძლება ის პოეტის მხატვრული მანერის სისუსტით აიხსნას. რუსთველი ამართლებს პოემის პროლოგში გამოთქმულ მიჯნურობის კოდექსს:

„ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,
რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქნა, უში“ (26).

ამ სრულიად შეგნებულ მხატვრულ პრინციპთან ერთად (აქვე უნდა მოვიგონოთ პოემის ფანტასტიკური ადგილები. გრძნეული, დევები და სხვ.). ვეფხის-ტყაოსანი შეიცავს უაღრესად რეალისტურ ადგილებს, ყოფის დამახასიათებელი შტრიხებით (მაგ. ფატმანის თხრობაში).

რუსთველისათვის ობიექტურ სამყაროს („რეალურ პლანს“) დამოუკიდებელი აღწერის მნიშვნელობა მარტო როდი ჰქონდა. პოეტი იმავე დროს იძლევა მის ახსნას სიმბოლიურ ხაზებში“. („ასტროლოგიურ პლანში“) თავის გმირებს რუსთველი ხშირად უკავშირებს კოსმიურ სისტემას; აქ ის სწორუპოვარია; ამიტომ ასე ხშირია პარალელები ვარსკვლავებთან, მზესთან და მთლიანად ცასთან.

ტარიელის ნახვის შემდეგ არაბეთს მიქცეული ავთანდილი შედის სასახლის დარბაზში და ხედავს თინათინს:

732. „მას ავთანდილ თაყვანი სცა, ლომთა ლომმან მზეთა მზესა,
მუნ ბროლი და ვარდგიშერი გაეტურფა სინაზესა!
პირი მისი უნათლეა სინათლესა ზესთა-ზესა,
სახლ სამყოფი არა მართებს, ცამცა გაიდარბაზესა“.

რუსთაველისათვის ადამიანის ცხოვრება ნაწილია კოსმიური ანსაბლისა; მისი პოემის ქვეყანა გაშუქებულია მზით, თვითონ ადამიანებიც მზის სახეებად არიან გამოცხადებული მიწაზე (ტარიელზე — „ვთქვათ თუ მზეაო ქვეყანად“ ან ნესტანზე — „ანუ მზე იყო ქვეყანად...“), რომელნიც ბოლოს უბრუნდებიან მთავარ, კოსმიურ მზეს.

ნესტანი ამბობს ტარიელზე:

„მუნა [მზეში] განახო, მანდვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდეს ტკბილი“.

ასე, — მზე არის სიცოცხლის საწყისიც და მისი დასასრულის შემცველიც.

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ

„ᲕᲔᲤᲮᲘᲡ-ᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲨᲘ“

ბევრი ხელით ნაწერი „ვეფხის-ტყაოსნისა“ გადაუგდია ქართველ საშღვდელოებას მდინარეში და საგრძნობი რიცხვი პოემისა ჩაუნთქავს კლერიკალების კარნახით ანთებულ კოცონს.

აღორძინების ხანის ზოგიერთი პოეტიც ცდილა „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორთან შეტოქებას და რუსთველისთვის პირველობის ჩამორთმევას; მაგრამ მდინარეს ვერ ჩაუქვრია პოეტური გენიით ანთებული სტრიქონები და ცეცხლს ვერ დაუწვავს ქართველი ხალხის გულში მღელვარე პოემა, ხოლო ვერც ერთი აღორძინების და შემდეგი ხანის პოეტი ვერ გათანასწორებია რუსთველის ავარდნილ გენიას.

გურამიშვილის სიტყვით რომ ვსთქვათ, ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი შემდგომში არავის მოუსმენია ქართულ სიტყვა-ენაზმულ მწერლობაში. ვერც ჩახრუხაძის ვირტუოზულ ლექსალურ ფორმას გაუწევია რუსთაველის ღრმა შინაარსიანი და ფოლადივით მოწკრიალე სტრიქონებისათვის მეტოქეობა. არც შავთელის დარბაისლური სულით გაჟღენთილი ოდები ჩაწვდენია ხალხის გულის-თქმას ასეთი სიძლიერით. „ვეფხის-ტყაოსანი“, მიუხედავად მისი დიდი ინტელექტური ჰორიზონტისა, მიუხედავად მის ლექსიური დიდი ოსტატობის სიმაღლისა, ხალხის მეხსიერებას შეუნახავს და მრავალი საუკუნეების ქარიშხალი გადაუტანია პოემის ხერხემალს. პოემაში ხალხს უგრძვნია ოსტატის ჯადოსნური ხელი და ადამიანის სულიერი სიფაქიზის გამოხატვა. ხალხს უგრძვნია პოემის ხალხურობა პოეტურ გამოთქმის ოსტატობასთან, დიდი შინაარსობრივი სიბრძნის შეთავსება. ქართველი პოეტები არჩილი, ვახტანგი, გურამიშვილი, ილია, აკაკი და ვაჟა მოჯადოებულან რუსთველის მხატვრული სიძლიერით. ვეფხის-ტყაოსანს აუხსნია შემდგომი თაობის პოეტებისათვის, რომ პოეზია არის სიბრძნის ერთი დარგი. ქართულ მწერლობას ხალხთან ერთად, გამოუცხადებია რუსთველი სიბრძნის პოეტათ და ქართული ლექსის თქმის ფუძემდებელად.

„მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზე შენობსო“ ათქმევინა არჩილმა რუსთველს და ამით განმარტა რუსთველის როლი ქართულ პოეტურ მეტყველებაში.

„ვეფხის-ტყაოსანში“ მკითხველს დაუნახავს ადამიანის საამქვეყნო ცხოვრების მხატვრული დახასიათება და ჰიმნი მეგობრობისა, სიყვარულისა და ვაჟკაცობისა. მას გაუხსნია ახალი სამყარო ჰუმანიზმისა ქართულ პოეტურ აზროვნებაში. მაშასადამე ეს წიგნი ქართველთათვის ყოველთვის დიდი საგანძური ყოფილა, მისი ზნეობრივი ამაღლების კეთილხმოვანად მქადაგებელი და მხატვრული გემოვნების მწვრთვნელი. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნემდე „ვეფხის-ტყაოსანი“ ქალის მზითევში ელვარებდა და განსაკუთრებულ მომხიბლაობას აძლევდა პატარძლის შემოსვლას ოჯახში. სიძეც დიდი სიამაყით მოელოდა „ვეფხის-ტყაოსნიან“ ქალს თავის ჭერქვეშ. უნდა ვიფიქროთ, ოჯახში ეს წიგნი სულიერი კულტურის საწინდარი უნდა ყოფილიყო და ოჯახის წევრთა ესტეტიური კულტურის მაჩვენებელი.

წიგნი ყოფილა მოძრავი აკადემია და „ვეფხის-ტყაოსნიან“ ოჯახში „რუსთველის კუთხეს“ განსაკუთრებული ადგილი სჭერია. თუ გავიხსენებთ ჯერ კიდევ ჩვენს მოხუცებს და მათ შეჯიბრს რუსთველის კითხვაში ან კამათს რუსთველის აფორიზმების გამო, ჩვენთვის ერთხელ კიდევ ნათელი გახდება, რომ რუსთაველი წარმოადგენდა ქართველი ხალხის ზნეობისა და მხატვრული კულტურის დაუშრეტელ წყაროს. მთელი რიგი აფორიზმებისა. ისე გავრცელებულა ხალხში, რომ ავტორის ვინაობა დაშორებია აფორიზმს და ხალხს, როგორც ხალხური სიბრძნე მიუღია იგი. განსაკუთრებული სიყვარული მაინც რუსთაველის სამ გამოთქმას რგებია საქართველოში. ეს სამი საანდერძო თქმა პოეტისა, ყველას სცოდნია, რომ რუსთაველს ეკუთვნის და ხალხსაც დაუმახსოვრებია მცნებანი ოსტატისა:

„სიყვარული აგვამაღლებს“
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი...“
და „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად.
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“-ო.

მართლაც „ვეფხის-ტყაოსანიც“ ხსენებული სტრიქონების სუბიექტური დადასტურებაა და მათი ქადაგება საყოველთაოდ. ამ გრძნობებით შეიარაღებულ პოემას გადაუტანია მონღოლების შემოსვლა, შაჰაბაზისა და ალამაჰმადხანის მიერ აოხრება ქვეყნისა, ფეოდალების არევ-დარევა და ჩარჩენილა ხალხის გულში, რათა დღევანდელ საუკუნისათვის გადმოეცა წარსულ საუკუნეების ადამიანის სულის მღელვარება, როგორც პირველი წყარო უახლოესი რენესანსისა.

რუსთაველმა იცოდა მკაფიო ხაზებით ადამიანის გრძნობების მდინარების გადმოცემა და ნათელი რეალისტური განჭვრეტა ხალხის ცხოვრებისა. პოეტს გააჩნდა ოსტატის ხელი, რომელიც ანტიური ოსტატების მკლავის შესაძლებლობას გვაგონებს, ხოლო ხელთ ეპყრა დიდი პალიტრა, მსგავსი ვენეციულ მხატვრებისა და პოემაში გაბნეული ფ ე რ ე ბ ი ს ჟ რ ი ა მ უ ლ ი დაუსრულებელია და მარადიული. როგორც ეტყობა პოეტმა შეითვისა არაბულ და სპარსულ პოეზიიდან წერის მანერა და სიფაქიზე სახისა და ფერადების აღმოსავლური მინიატურების მსგავსად და-

ცვა პოემის სურათებში. რუსთაველს შეუთვისებია აგრეთვე ბიზანტიელ ოსტატების ხელოვნება. პოეტური ნახატისათვის მოზაიურობა შეენარჩუნებინა და ძვირფას თვლებად განსახიერებული მეტაფორები ეთალა დიად იუველირის მსგავსად. ზედმიწევნით უნდა ჰქონოდა შესწავლილი ანტიური ფილოსოფია და უნდა ვიფიქროთ „Он долго беседовал с Гомером один".

ყველაფერი ეს, როგორც ვთქვით პოეტს გამოუყენებია ადამიანის უმაღლესი გრძნობების გამოსახატავად და სიყვარული, გმირობა და რაინდობა პოემაში ჩამოუძერწავს შთაგონებული მღელვარებით, ხალხსაც სრულიად სამართლიანად მიუღია „ვეფხის-ტყაოსანი", როგორც ტრფიალების ჰიმნი და რუსთველის პოეტურ პიროვნებაში და ეპიკოსი და ლირიკოსი ერთ მთლიანობაში მოუქცევია.

სიყვარული აგვამაღლებსო, — უთქვამს პოეტს ავთანდილის ანდერძში და მართლაც პოემის მთლიან სიუჟეტს სიყვარული ამოძრავებს, როგორც ამოვარდნილი ქარიშხალი ზღვის შიმოქცევას. ქართული ნეოპლატონიკოსი იოანე პეტრიწონელის ფილოსოფიური მოძღვრება და აღმოსავლური სიბრძნე პოეტმა მხატვრულ სახეებით დაიმორჩილა, შექმნა საკუთარი პოეტური ხილვა სამყაროსი ქართულ სინამდვილესთან შეფარდებული და დაუტოვა საკუნეებს შეუდარებელი საგალობელი სიყვარულისა.

I

სიყვარულის გრძნობის მთავარ გამომხატველ გმირებად ავტორმა ტარიელი და ნესტანი წარმოგვიდგინა. ტარიელი ავტორმა შემოსა ვეფხის ტყავით და ნაწარმოებს და გმირს ორივეს „ვეფხის-ტყაოსანი" უწოდა. ეს უსათუოდ დამახასიათებელია პოემისათვის, მთავარი გმირის თვისება მთელი პოემის სახეობაც არის. გმირი და ნაწარმოები ერთნაირ ვნებიანობით არიან გაჟღენთილი.

მართალია, „შაჰ-ნამეში" როსტომს სპილოს ტანზე ვეფხის ტყავი აქვს შემოსხმული და ჯავშანის მაგიერობას უწევს ბრძოლაში გამოსულ მეომარს. ილიადაში „ღვთაებრივ პარისის" პირველ გამოჩენასაც ამშვენებს გავაზის წამოსასხამი, მაგრამ ხსენებულ პოემებში წამოსასხამს იმდენი აზრობრივი დატვირთვა არ გააჩნია, რამდენიც რუსთაველის ვეფხის ტყავს.

როდესაც ტარიელმა გაგულისებული ნესტანი ნახა „ქვე წვა ვითა ალდისა ნაპირსა, ვეფხი პირგამეხებული".

ხოლო ნესტანის დაკარგვის შემდეგ ეს უკანასკნელი სურათი ჩარჩა გმირს მიჯნურის მოსაგონებლად და ტარიელმაც ნესტანი წარმოიდგინა ვეფხის სახეობაში. ხოლო ტარიელი დანაშაულს გრძნობდა სატრფოს წინაშე და ტანზე შემოიხვია მიჯნურის მშვენება, რათა ყოველდღე ეტანჯნა სატრფოზე ფიქრით.

„რომე ვეფხი მშვენიერი სახედ მისად დამისახავს;
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს"...

განდევნილმა ნესტანმა ოდისეს გვარად, გამოიარა ბევრ განსაცდელში და უკულმართ სივრცეებზე წრიალის შემდეგ დატყვევებული იქნა ქაჯეთის ციხეში, მაგრამ ტარიელის ნაჩუქარი რიდე მუდამ თან ახლდა სასურველს და ნესტანისთვის ეს იყო ნაწილი ტარიელის სიყვარულისა და ვაჟკაცობისა:

„გეთქვა ნიშნისა გაგზავნა, ან ესე გაამჟღავნია,
მისეულთავე რიდეთა ნაკვეთი გამიგზავნია;
ესენი ჩემთვის მის გამო ტურფანი სანახავნია,
თუცა თუ ფერად ბედისა, ჩემისა მსგავსად შავნია“.

სწერდა ნესტანი ქაჯეთის ციხიდან ფატმანს. ხოლო ტარიელისადმი გაგზავნილ წერილში ნესტანი კიდევ უფრო დიდი ინტიმით გამსჭვალულია ტარიელის ნაჩუქარ რიდის მიმართ:

„აჰა ინიშნე, ნიშანი შენეულისა რიდისა,
გარდმიკვეთია ალამი, ჩემი, ერთისა კიდისა;
ესელა დაგრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა“.

და სატრფიალო შეხვედრების მოსაგონებლად დაუბრუნდა ტარიელს რიდის ნაკვეთი.

სიყვარულის დრამატიული დენა პოემაში გამოხატულია სრულიად რეალისტური სურათებით და რუსთაველს არ სჭირია დაალევინოს თავის გმირებს გრძნეულის მომზადებული წამალი, რომ სიყვარულმა აღიტაცოს ორივე სქესი. სიყვარულის გრძნობის აღწერისას ავტორს სრულიად განდევნილი აქვს ზღაპრული ელემენტი და გმირების პირადი მშვენება და მათგან გამოწვეული შთაბეჭდილება საკმარისია სიყვარულის დრამატიული კვანძის გასახლართავად.

როდესაც ასმათმა ფარდაგი ასწია და ტარიელმა იხილა ნესტანის მშვენება „ეცა ლახვარი მის ცნობას და გულსა“, ამავე დროს ნესტანი მოიხიბლა ტარიელის მშვენებით და დაიბადა უმძაფრესი დრამა ტრფიალებისა; როგორც ტრისტან და იზოლდაში გრძნეულის წამალი აღიტაცებს სიყვარულის გრძნობებით ქალსა და ვაჟს, ისე გარეგნული მშვენება „ვეფხის-ტყაოსანის“ გმირებისა აანთებს სიყვარულის უეცარ ცეცხლს და კოდავს მიჯნურების გულსა და ცნობას. კიდევ უფრო რეალისტური უბრალოებით და მიმზიდველი ფსიქოლოგიური სიმართლით დაგვიხატა ავტორმა მათი შემდეგი შეხვედრა. ტრფიალების გასამჟღავნებლად ნესტანმა დაიბარა ტარიელი, დასვა ახლოს და უცქირა ერთ ხანს, მაგრამ მოზღვაულ გზრძნობამ დასძლია და თავის რაინდს ვერაფერი უთხრა. გამეფებული სიჩუმის შემდეგ ასმათმა შეატყობინა ტარიელს „აწ წადიო, ვერას გითხრობსო“. ხოლო შეშფოთებულ ტარიელს ასმათმავე აუხსნა „სირცხვილი აქვთ საუბრისა, მერე თავსა კრძალავს დაღიო“. რამოდენიმე ხნის შემდეგ ნესტანმა მოიკრიბა ძალა და ტარიელი ისევ მოიხმო. ქალმა უკვე შესძლო გამოეხატა თავისი სიყვარული და ბაგეებისთვის მიეცა უფლება, რათა ამეტყველებულიყვნენ მიჯნურის წინაშე:

„მიბრძანა: ძულან გეწყინა გაგზავნა უუბარისა,
მზემან გაყრითა დაგაჭნე, ვითა ყვავილი ბარისა,
დაგსჯიდა დენა ცრემლისა ნარგიზთათ ნაგუბარისა,
მაგრამ ხამს ჩემგან სირცხვილი და რიდი ამილბარისა.
თუცა მართებს დედაკაცსა მამაკაცის დიდი კრძალვა,
მაგრამ მეტი უარეა, არა თქმა და ჭირთა მალვა“.

მოყვანილ სტრიქონებში რუსთაველმა გამოხატა არა მარტო ქალის ლირიული მონოლოგი სიყვარულისა, არამედ გაგვიხსნა ქალის ღირსება და უფლებაც მიჯნურობაში.

ინიციატივა სიყვარულისა არა მარტო მამაკაცისაგან მომდინარეობს, არამედ ხშირად ქალი ხსნის კვანძს სიყვარულის დრამაში. გამბედაობა ქალისა მიჯნურობაში არა ნაკლებია, ვიდრე მამაკაცისა: „მან დამიწყო ქვე-ქვე წვევა; მწადდა, მაგრა ვერ შევმართე შემოჭდომა, შემოხვევაო“, ამბობს ტარიელი.

თინათინმაც პირველად გაუმხილა ავთანდილს თავისი გულის თქმა, — გამოიწვია რაინდი სამიჯნუროდ და მისამდე დამალული გრძნობა გაამჟღავნებინა „მაგრა შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვია“-ო და-მოყმეს გაუადვილა მისდამი სიყვარულის გამოხატვის წადილი.

ქართველი ხალხიც სწორედ განმარტავდა რუსთაველის აფორიზმს „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს. თუნდა ხვადია“, ხალხი ადასტურებდა, რომ ხსენებულ სტრიქონში რუსთაველმა გამოხატა ქალისა და ვაჟის თანასწორობის იდეა, ხსენებული აფორიზმის სიუჟეტური გახსნა რუსთაველმა მართლაც მოგვცა, რომ აღმოსავლეთის ტახტზე მეფე თინათინი აყვანა და გაიმეორა პოემაში გიორგი მესამის ასულის თამარის ტახტზე ასვლის ამბავი.

ბევრჯერ ყოფილა შედარებული დასავლეთ ევროპის ტრუბადურებს პოეზიაში გამოხატული ქალის კულტი და „ვეფხის-ტყაოსნის“ ქალის სრულქმნილების იდეალი, მაგრამ საშუალო საუკუნეთა ტრუბადურთა საატრფიალო ქალები ვერ არიან იმგვარად ხორცშესხმული, როგორც რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნის“ ჩამოძერწილი ასულები. ნესტანი და თინათინი მოქმედი და მოთათბირე ადამიანები არიან, ისინი პოემის სიუჟეტის დონეზე არა მარტო თავიანთი მშვენიერებით ახდენენ გავლენას, არამედ თავიანთი იდეებით და თავიანთი მოქმედებით ახერხებენ პოემის სიუჟეტის გაშლას. ისინი ხშირად მოქმედებენ, როგორც რაინდები, და სახელმწიფო გამგებლობაში მოწინავე ადგილები უჭირავთ.

ამგვარად რუსთაველის ქალები არა მარტო მდგომარეობით და მშვენებით უსწორდებიან მოტრფიალე რაინდებს, არამედ მათი სულიერი კულტურა პოემაში გამოხატულ მამაკაცების სულიერ კულტურას უსწორდება.

ხასიათის სილამაზეს გარეგნული სილამაზეც უნდა ამოჰ ქდეს აუცილებლად და პოემის გმირები ყოველმხრივ მშვენიერები, ჰარმონიულ არსებებს უნდა წარმოადგენდნენ. ავტორი, თუ გმირთა შინაგან ცხოვრე-

ზას გვიხსნის, როგორც დიადი დოსტაქარი ადამიანის გრძნობისა, არა ნაკლები ძალაა დახარჯული პოემაში გამოყვანილ ქალების გარეგნულ სიმშვენიერის გასაშუქებლად. გარეგნული სიმშვენიერის გადმოცემისას, რუსთაველი არაბულ და ირანულ პოეტიკის ტრადიციებთან ერთად ბიზანტიელ ოსტატების გარკვეული გზის მიმდევარიც არის. პოეტურ სურათს სამეჯნუროდ განწესებულ ქალებისას, პოეტი ხშირად მოზაიკურად ხატავს და ძვირფას თვლების ელვარებას დიდ სდგილს უთმობს პოეტურ ნახატში, ამავე დროს ვიზიონერულად ათამაშებს ჩრდილსა და სინათლეს და მოულოდნელ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველში. ყოველივე ნათქვამი დადასტურებულია ავთანდილის და თინათინის შეხვედრის სცენაში, სადაც თინათინის გარეგნული სილამაზეა მოხაზული.

„გაძრცვილსა ტანსა ემოსნენ ყარყუმნი უსაპირონი,
ებურნეს მოშლით რიდენი, ფასის თქმად გასაჭირონი,
შვენოდეს შავნი წამწამნი, გულისა გასაგმირონი,
მას თეთრსა ყელსა ეხვივნეს გრძლათ თმანი არ უხშირონი“.

და შემდეგ: „მთვარესა შესთა შუქთაგან უკუნი გადაფენოდა“, ხოლო ნესტანის მშვენება პოეტს მთვარის შუქივით გადმოღვრილი აქვს პოემაში და მისი სილამაზე ადგას მთელ პოემის ცხოვრებას, როგორც ნათელი.

„ქალი გადმოსვეს, სისხონი ვნახენ მისისა თმისანი,
მას, რომე ელვა ჰკრთებოდა, ფერნიცა ჰგვანდეს რისანი!
მან განანათლა სამყარო, გაცუდდეს შუქნი მზისანი“.

ჰყვება ფრიდონი ნესტანის მშვენებით მოხიბლული. მონა ქაჯი თავის მოთხრობაში უფრო აძლიერებს ბნელ ღამეში მოვლენილ ნესტანის სილამაზის ძალას:

„ვუჭვრიტეთ პირსა მნათობსა, ელვათა მოელვარებსა,
მისი ციმციმი მზისაებრ ეფინებოდა არებსა,
ძვირ-ძვირად გვეუბნებოდა სიტყვასა რასმე წყნარებსა,
კბილთაგან შუქი შეადგა ზედან გიშრისა სარებსა“.

ხოლო სიმორცხვე და მოკრძალებაც, წამწამთა ჩრდილივით ადგია ნესტანს და თინათინის სახეებს და ისინი პოემაში ცხოვრობენ ძვირფასი თვლების ელვარებით.

რუსთაველი საყვარლის გრძნობის გამოხატვაში მრავალფეროვანია, როგორც ბუნება და ბუნებისათვის ახალი და ახალი სახეებს შემომქმედი. გმირების სულიერ სამყაროს პოეტი მრავალი პოეტური ხერხით აქანდაკებს მკითხველის წინაშე, ხშირათ დრამატული სცენით იწყებს პოეტი საყვარლის გრძნობის გამოხატვას და შემდეგ სცვლის ლირიკული მონოლოგით.

ნესტან-დარეჯანმა სიყვარულის გრძნობის დასაგვირგვინებლად ბევრი წვალება და ტანჯვა გამოიარა. რუსთაველიც ოსტატურად მოგვითხ-

რობს ნესტანის თავგადასავალს, მაგრამ ნესტანის სიყვარულის ძალის მაჩვენებელი მაინც მისი წერილებია. ლირიული მონოლოგის სახეობითაა დაწერილი ნესტანის წერილი ქაჯეთის ციხიდან ტარიელისადმი გამოგზავნილი. შეიძლება გადაჭრით ითქვას, ასეთი სიძლიერის მონოლოგი სიყვარულისა, საშუალო საუკუნეებში, არ თქმულა არც აღმოსავლეთის, და არც დასავლეთის პოეზიაში.

„დაწერა წიგნი, მსმენელთა გულისა გასაგმირალი, ვარდი გაპაპის, გამოჩნდის მუნ-ბროლი გამომჭირვალიო“ გვეუბნევა პოეტი და თავის წინასწარ დახასიათებას ნესტანის წიგნისას, მართლაც ადასტურებს წერილის მღელვარე სტრიქონებით.

მე სიკვდილი აღარ მიმძიმსო, ამბობს ქაჯეთში დამწყვდეული ნესტანი და უმატებს:

„აქა თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლავს დიდი კლდენი“.

რუსთაველი ახალი საუკუნეების რომანის წინამორბედია და მოტრფიალე ქალის ახალი სახის გამომქანდაკებელი, ნესტანის პიროვნებაში დიდი სულიერი ქარიშხალი დააქროლა ავტორმა და ნესტანის მონოლოგით ახსნა მაშინდელ პოეზიისათვის უცნობი შინაგანი სამყარო მოტრფიალე ქალწულისა.

ტარიელი უფრო მომყოლია თავის ტკივილებისა, თავის დრამატიულ ცხოვრებისა, მაგრამ თავის ტრფიალების გადმოცემაში გმირი უბედურ შემთხვევების მოყოლით არ კმაყოფილდება, სიყვარული ტარიელის გონებაში იწვევს საოცარ ხილვებს და მოულოდნელ ასოციაციებს, ხოლო ეს ხილვები აძლიერებენ და ხსნიან მკითხველის წინაშე ვეფხის ტყავიან გმირის სულიერ ტანჯვას.

მეტაფორა ვეფხის ტყავისა ბადებს ერთ უშესანიშნავეს სცენას პოემაში: ერთხელ ტარიელმა იხილა ლომი და ვეფხი ეთამაშებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ ლომი მედგრად გაეკიდა. „ვეფხი და იგი ვერვინ დაამშვიდნეს“. ტარიელს ეწყინა სატრფოსადმი ასეთი ცუდი ქცევა რაინდისა და მოკლა გაბრაზებული ლომი, ხოლო ვეფხმა გმირს მაშინვე მოაგონა თავისი სატრფოს მშვენება. შეიპყრო იგი ხელით და მოუნდა სატრფოს კოცნა. „მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითაო“, მაგრამ ვეფხი გაუძალიანდა და

„რაზომსაცა ვამშვიდებდი, ვეფხი ვერა დავამშვიდე,
გავგულისდი, მოვიქნიე. ვკარ მიწასა, დავაწყვიდე;
მომეგონა, ოდეს ჩემსა, საყვარელსა წავეკიდე.
სული სრულად არ ამომხდეს, რა გიკვირს, თუ ცრემლსა
ვღვრიდეო“.

ბუნების შვილმა და მოყმის ტრადიციების მატარებელმა ტარიელმა ვერ მოითმინა, რომ ლომი ასე უხეშად ეპყრობოდა თავის ტურფას, ხოლო ლომიდგან განთავისუფლებულმა ვეფხმა ვერ გაიგო რაინდის გულის ნადები და მისი ხელებით დახრჩობილ იქნა. მაშინ გაახსენდა გმირს, რომ

მის მოქმედების შედეგად დაიღუპა ნესტანი და სასოწარკვეთილებაში ჩავარდა.

ტარიელის ბუნებაში ყოფნა ნაწილობრივ ენათესავება პოემა მეჯნუნიანის გმირის მეჯნუნის ველად გაჭრას; მაგრამ მეჯნუნი-ბუნებაში დაგლახებულია და მისი სულიერი სამყარო უფეროვნოა. ტარიელს ბუნებაში ყოფნისას, შენარჩუნებული აქვს რაინდის იერი და გმირული მშვენება. მოსასხამით თანა სდევს სასოწარკვეთილ რაინდს. ლეილ მეჯნუნიანის ქართული ვერსია თეიმურაზისა, ისეთი ღრმა მხატვრულ სურათს ვერ გვაძლევს სიყვარულის გრძნობისას, როგორც ნესტანისა და ტარიელის გულში ანთებული.

ტარიელმა ბუნებაში ნესტანის სახე მონახა, მაგრამ ბუნებამ ვერ დაამშვიდა იგი, რადგან თვით ბუნების სიმშვენიერე ნესტანი, ქაჯეთის ციხეში იყო დატყვევებული და როგორც „მთვარე ჩანთქმული გველსა“ იტანჯებოდა ბუნების ბნელ ძალებით შეპყრობილი, ასე აკავშირებს რუსთაველი ბუნების ძალებს და ადამიანის სულიერ ცხოვრებას. ბუნების სახეების საშუალებით ხსნის გმირების შინაგან ხასიათს, ადამიანის და ბუნების შორის ხედავს დაურღვეველ კავშირს და მთლიანობას.

კოლორიტი პოემისა გვეუბნება, რომ პოემის დრამა უსათუოდ უნდა გათავდეს კეთილის გამარჯვებით და ქვეყნად ვაჟკაცობის და სიყვარულის განმტკიცებით. რუსთაველის გმირების ტირილიც არ არის მაჩვენებელი მათი სულიერი დაცემულობისა და სისუსტისა.

„ილიადაში“, „სლოვო ო პოლკუ იგორევე“-ში და „ვეფხის-ტყაოსანში“ გმირები ტირიან, რათა გვიჩვენონ დიდი სულიერი ენერგია უბედური შემთხვევით გამოწვეული, რომელიც გმირებს თავიანთი მოქმედებით ჯერ კიდევ ვერ დაუხარჯავთ სიუჟეტის დენაში.

პოემის შესავალში რუსთაველმა საერთოდ მიჯნურის მოვალეობა და მისი ყოფაქცევა დაგვიხატა:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა, —
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა“

ამბობს ავტორი და ყოველივე თქმულს ადასტურებს ავთანდილის, ტარიელის, თინათინისა და ნესტანის ბიოგრაფია, მაგრამ სიბრძნის მქონე და მიჯნურობის სახე ყველაზე მკაფიოდ ავტორმა გამოხატა ავთანდილის ხასიათში. ავთანდილი რუსთაველის განმარტებით ბრძენია და სიყვარულიც მოყმისათვის სიბრძნის ერთი დარგია. ავთანდილსვე ათქმევინა პოეტმა „სიყვარული აგვამაღლებსო“ და ავთანდილმა მოგვცა ფილოსოფიური დახასიათება რუსთაველის მიჯნურობისა.

ავთანდილისა და თინათინის სიყვარული სრულიად სხვაგვარ ფერებშია ავტორის მიერ წარმოდგენილი და გაშლილი. გრძნობათა მოჭარბება ქალსა და ვაჟს შორის გონივრული სიდინჯით და მოფიქრების სადავითაა

შენელებული, ტრფიალების ალიც უეცრივ არ ანთებულა ავთანდილის და თინათინის „ცნობასა და გულსა“ შინა. ისინი ერთმანეთს თითქოს შეჩვეულან და ფარულად უტარებიათ ტრფიალების ცეცხლი გულში, გულსა მისსა მიჯნურობა მისი (თინათინის) ქონდა დამალულადო, გვეუბნება ავტორი ავთანდილის სიყვარულზე და დიდი ხნის შემდეგ თინათინიც ეუბნება: „მაგრამ შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვია“-ო...

მართალია უცხო ყმის ძებნად წასულ ავთანდილს „მოეგონოს საყვარელი, გაუახლდეს ცეცხლი ალთა და მელნის თვალთაგან სისხლის ცრემლი სდის“, მაგრამ ავთანდილი ბრძენია და ფილოსოფიურად ამხსნელი სამყაროსი; თავის სიყვარული ავთანდილს წარმოუდგენია, როგორც კოსმიურ ჰარმონიაში შემავალი მოვლენა, ამიტომ გვამაღლებს სიყვარული და სიყვარულის ობიექტი თინათინი ხსენებულ ჰარმონიის მთავარ სახეობის მზის დარია და ცხოვრებაში გზის მანათობელი. „მზეო, გიტყვი თინათინის ღაწვთა დარად: შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს, თქვენ ანათებთ მთა და ბარად“... თინათინის შესაფერი მეტაფორა კოსმიურ სურათიდანაა აღებული ავთანდილის მიერ, თინათინი მოყმისათვის მზეს წარმოადგენს და გზას უნათებს უცხოეთში გადავარდნილ მოყმეს. მზე ხშირად მეგობრის წინაშე მოვალეობის შესრულებაში ეხმარება შეყვარებულ ავთანდილს. მოყმეც მეგობრისათვის თავდადებას პირველ ადგილს უთმობს ცხოვრებაში, მაგრამ სატრფოს სახეობა მზესავით ყოველთვის თან სდევს ავთანდილს და შესანიშნავ ლირიულ მონოლოგს ათქმევინებს ქვეყნად მონავარდე რაინდს. მულღაზანზარის ველზედ მარტოდ მიმავალი ავთანდილი პირისპირ რჩება მნათობებთან, ხოლო მნათობები მოაგონებენ რაინდს თინათინის მშვენებას. ავთანდილიც მაშინვე გაუზიარებს თავის გულის საიდუმლოს და როგორც ბარათაშვილი ამბობდა, „მხოლოთ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლოო“, მასთან თანამავალ მნათობებს: მზე, მთვარე, ასპიროზ, მარიხ, ზუალ, ოტარიდ და მუშთარის მიმართ ავთანდილი და მნათობებისადმი მიმართვაში თანდათნობით ამჟღავნებს თავის სიყვარულის ძლიერებას თინათინისადმი.

უნებურად გვაგონდება „ღვთაებრივ კომედიაში“ დანტეს მოგზაურობა სამოთხეში, დანტეს ზემო ხსენებული მნათობები უჩვენებდნენ გზას და ყოველი მნათობის გავლისას ბეატრიჩეს სახე უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა. ორივე პოეტს კოსმიურ სურათიდან აქვთ აღებული სატრფოს მშვენება და ორივე გმირის მოგზაურობას მნათობები უკვლევენ გზას სატრფოს მშვენებისაკენ; ავთანდილის სიმღერა მაინც ლირიული ძახილია და მიმართვა სატრფოს დასამშვენებლად არჩეულ მეტაფორისადმი; მნათობები აახლოვებენ გმირს თავის სატრფოსთან, მზე, მთვარე, ოტარიდი და სხვა ირხევიან კოსმიურ ბადეში, ამღერებენ გმირის გრძნობას და აკიაფებენ სატრფოს მშვენებას, რაცა ავთანდილის გრძნობა შეუერთოს კოსმიურ ჰარმონიის დენას. ამგვარად სიყვარული აფაქიზებს გმირის ცხოვრებას, უახლოვებს ბუნების მაღალ ძალებს და

გაჭირვება, სიყვარულის გრძნობისათვის გადატანილი, ამაგრებს გმირის სულიერ სამყაროს.

ავთანდილის სიმღერა ხსნის ბუნების კარებს. თუ ბუნების მაღალმა სახეებმა, მნათობებმა მოაგონეს მოუმეს თავისი ტურფა და მიუახლოვეს თინათინის მშვენებას, თვით ბუნებამაც მიიღო გმირის გულის ნადები და მთელი ბუნება გამოდის ავთანდილის სიმღერის მოსასმენად.

„რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მზეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან,
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან."

ავთანდილის მიმართვა მნათობებისადმი ორფეოსის სიმღერასავით გადალვრილია ბუნების წიალში და მთელ ბუნებას ასულიერებს საგრ-ფიალო ძახილი.

ასეთია გმირის წარმოდგენა საყვარელ არსებაზე და გმირი შთაგონებული ბუნების სიმშვენიერით ასე უახლოვდება თინათინის მშვენებას... მაგრამ ჩვეულებრივ ყოფაში ავთანდილს შეუძლია უღალატოს საყვარელ თინათინს... ამ სახეობას ბუნებისას და ფატმანის სარეცელი გაიზიაროს... ფატმანთან ავთანდილის დაკავშირებით უფრო აძლიერებს ავტორი ავთანდილის სიყვარულის ძალას თინათინისადმი.... ფატმანის სახე ავტორის მიერ მოხაზულია, შეიძლება ითქვას, უფრო გროტესკიულ ხაზებში.

როგორც ზემოდ აღწერილი სცენები და მონოლოგები გვიმტკიცებს, ისეთი განცდაა პოემის კითხვის დროს, თითქოს ავტორი გმირების მიმოქცევას თან ახლავს და ისე დაუკავშირებია ლექსის ლირიული ჟღერა ამბის თხრობასთან, რომ გმირები და ავტორი ერთად მიექანებიან ნესტანის დასახსნელად. შეიძლება ამის შედეგი იყოს, რომ ხალხურ ფანტაზიაში რუსთაველის პიროვნება და მისი გმირები ხშირად გაიგივებული არიან, ხალხის წარმოდგენით რუსთაველი იყო მეჯნური, უშეანიშნავესი მოისარი და ტარიელის მსგავსი მეომარი.

„ვეფხის-ტყაოსანი" ვრცელდებოდა ხალხში და ყოველი ახალი გამჭვრეტი ტექსტისა, ახალ თვისებას მატებდა პოემის ავტორს. ავთანდილის და თინათინის რომანიდან ხალხს უნდოდა დაენახა რუსთაველის ბიოგრაფიის მთავარი წყაროები: რომანის მიღმა ეხილა რაინდი, მოჯირითე და ლექსის ჯადოქარი. ასეთი სიახლოვე ხალხისა რუსთაველის პოემასთან უნდა მიეწეროს ავტორის უდიდეს ხალხურობის გრძნობას; ეს ხალხურობა ქმნიდა დიდ ინტიმობას პოემის გმირთა ცხოვრებასა და მკითხველთა შორის. როგორც პოეტი არჩილი ამბობდა, რუსთაველმა შესძლო მაღალი და დაბალი ხმის შეერთება და პოემა ხალხური განცდებით გაჟღენთა, „ყოველ არსი შეგიყრია დაბალიცა და მაღალიცა", ათქმევინა არჩილმა თეიმურაზ პირველს რუსთაველის მიმართ.

რუსთაველი მართალია საოცარი მხატვრული სიძლიერით ჩამომსხმელია სტრიქონისა, მოულოდნელი მეტაფორისტია და პოეტური სურათის იუველირივით დამმუშავებელი, მაგრამ ის ცრუ კლასიკისებივით მკითხ-

ველის გაკვირვებას არასოდეს არ ცდლობს. მას უყვარს ადამიანის სულის კუნჭულებში შეიხედოს ჭეშმარიტი რეალისტი მხატვრის თვალით და ხაძოეოოს ადამიანის გრძნობები სკულპტურულ ფორმებში. ამასთანავე ავტორს გახსნილი აქვს პოემის კარები და მკითხველი შეჰყავს პოემის ცხოვრებაში, როგორც მონაწილე და სიუჟეტის თანამშრომელი. ავტორი ამბავის თხრობის ეპიკურობიდან ხშირად ლირიულ მღელვარებაში გადადის და ხშირად გამოანთხევს ხოლმე ლირიულ გრძნობას თავისი გმირების ბედის მსვლელობაზე. ის ეპიკოსიც არის და წმინდა ლირიკოსიც. მაგრამ პოემის მოცემულ სამყაროს გაშუქებაში პოეტი არ კმაყოფილება ლირიულ ამოკვნესით და მოყოლითი დრამატიზმით. პოეტისათვის აუცილებელია ფილოსოფიური საყრდენი ჰქონდეს პოემის მსვლელობას, რადგან რუსთაველის ნურვილია დეტალების მხატვრულ გამომჟღავნებასთან ერთად, მონახოს კანონი დეტალების ერთმანეთში გადასვლის და კოსმიური მთლიანობის სურათი დაინახოს. ამიტომ პოეტს შეჰყვარებია არა მარტო დრამატიულ სცენებში და სახეებში გამოხატოს თავისი ცხოვრების ფილოსოფია, არამედ პირდაპირ ლექსალური თქმით გამოამჟღავნოს თავისი შეხედულება სიყვარულზე, მეგობრობაზე და საერთოდ სამყაროს მღელვარე მიმოქცევის შესახებ. დიდ ოსტატს აქაც მოუნახავს ფორმა თავისი პოეტური ნააზრებისათვის და სიუჟეტის დენაში, ზოგი ანდერძის, ზოგი წერილის სახით, ეს ფილოსოფიური გადახვევები, და აფორიზმები აუმოქმედებია, როგორც დრამატიული სცენები პოემისა. ისინი სიუჟეტს უქმნიან მიწისქვეშა მდინარეებს.

ხსენებულიდან ნათლად სჩანს, რომ პოეტი რამოდენიმე მიმართებით გვიხატავს სიყვარულის გრძნობას ადამიანთა შორის... პირველად მოცემულია მოტრფიალეთა შორის ყოფა-ცხოვრებაში ერთმანეთისადმი დამოკიდებულება, შეხვედრები, პაემნები, წერილები, ერთმანეთისათვის თაკდადება და ყოველდღიური სცენები სიყვარულისა, ხოლო მეორე მიმართულებაში გადმოცემულია ავტორის წარმოდგენა სიყვარულის ბუნებაზე, მისი როლი სამყაროს მიმოქცევაში და სიყვარულის გრძნობის დაკავშირება სამყაროს მთლიან მდინარებასთან. გმირის ნააზრები სიყვარულის გრძნობაზე და საყვარელ არსებაზე აკავშირებს რაინდს ბუნებასთან და მთლიან სამყაროს მიმართებასთან. სიყვარული ამოძრავებს მთლიან ცხოვრებას, ადამიანსა და ბუნებას აახლოვებს სამუდამოდ.

სიყვარული ორ სქესთა შორის ამშვენებს ცხოვრებას და მზიურობის სახით გვევლინება ადამიანთა შორის. სიყვარული აგრეთვე საფუძველია მეგობრობისა, ხოლო მეგობრობა მოყმეთა შორის საწინდარია კეთილის გამარჯვების და ბოროტის დამარცხებისა.

ერთის შეხედვით რომანის სიუჟეტი ამეგობრებს მხოლოდ მიჯნურებს და ბედის ერთნაირობა აახლოვებს სხვადასხვა ხალხთა შვილებს. თინათინს სიყვარულმა გადააგდო ავთანდილი ტარიელის საძებნელად, მაგრამ როდესაც იხილა მიჯნურობით დასნეულებული მშვენიერი ტარიელი, მოყმემ შეიყვარა იგი და გახდა მისი განუყრელი მეგობარი. ასმათმა და ტარიელმაც სიყვარულით მიიღეს ავთანდილი, რადგან ავთანდილი იყო მიჯ-

ნური მზისდარისა და ტარიელის ნახვით უმსუბუქდებოდა ცხოვრება. ტარიელმა და ავთანდილმა მიჯნურობით ხელათქმნილებმა, სულთა ნათესაობა იგრძნეს და საფუძველი დაუდეს სამუდამო მეგობრობას. ერთ ბედ ქვეშ ყოფნამ პირველი გასაღები მისცა მოყმეთა მეგობრობას, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ბედის მხოლოდ ერთნაირობა აახლოებდა პოემის მიხედვით მოყმეებს. პოემის მიხედვით დასახელებული საფუძველი მეგობრობისა, მხოლოდ ერთი სახეა რაინდთა შორის სიახლოვისა. რუსთაველი ქადაგებს მოყმეთა შორის მეგობრობის აუცილებლობას. და საერთოდ სულთა სიახლოვე ადამიანის მოვალეობად მიაჩნია: „ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია“. გვეუბნება ავტორი და რაინდის ვალდებულებაა „მოძმესა თვისსა სიძნელე გზისა გაუადვილოს“ და დახმარება გაუწიოს ყოველ ღირსეულ ადამიანს.

ფრიდონის და ტარიელის ბედში თითქმის არაფერია საერთო. მაგრამ, იხილა რა ტარიელმა დაჭრილი მოყმე, რომელიც „აძაყად ყიოდა“, შეიყვარა იგი, განუკურნა ჭრილობა და შემდეგ ფრიდონის მტრებს თავგადასავლებით შეებრძოლა. ფრიდონი არ დაუჯილდოებია ავტორს მიჯნურობის გრძნობით, ყოველ შემთხვევაში პოემაში ეს მხარე ჩვენთვის არ არის ცნობილი, მაგრამ ფრიდონის სულიერ ცხოვრებაში დიდი მღელვარება შეაქვს ტარიელის სატრფოს დაკარგვას და ტარიელის ტანჯვას დაკარგული მიჯნურის გამო. ავთანდილს მეგობრობის შესახებ მთელი ანდერძი დაუწერია და მეგობრობა გაუხდია ცხოვრებში წამყვან გრძნობად. არა მარტო ვულის კარნახით იბადება მეგობრობა ადამიანთა ყოფაში, არამედ თვით სიბრძნე გვასწავლის ადამიანთა სიახლოვეს და ადამიანთა შორის მეგობრობის განმტკიცების საჭიროებას. ავთანდილი განსაკუთრებით აღნიშნავს „ბრძენი კაცი ვერ გასწირავს მოყვარესა“-ო ან „არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“ და თავის შეხედულებას მეგობრობაზე ასრულებს გულწრფელობის და ზნეობრივი სიფაქიზის ქადაგებით. „მე სიტყვასა ერთსა გკადრებ პლატონისგან სწავლა-თქმულსა, სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა მერე სოლსა-ო“. ავთანდილისათვის სიბრძნის საუკეთესო საბუთად ისმის მიმართვა როსტევანისადმი:

„მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?
არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა?
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზეკთ მწყობრთა მწყობისა“.

სიბრძნე ხალხს სჭირია მეგობრობის გასამტკიცებლად და სულიერი სიფაქიზის გამოსამჟღავნებლად. მეგობრობა აუცილებელია მოყმისათვის, როგორც სიბრძნის შეთვისება და როგორც მიჯნურისათვის თავგადადება. მეგობრობა არა უბრალო სიახლოვეა მეორე პიროვნებასთან, არამედ საფუძველი მაღალი და ფაქიზი ცხოვრების ჩამოსაყალიბებლად. ზშირად ეს გრძნობა ბრძენ კაცში ჩრდილავს მიჯნურის სიყვარულსაც და პირველ მოვალეობად მეგობრობისათვის თავდადებას აკისრებს.

როგორც პოემის პირველ ნაწილებიდან ვიცით, ავთანდილმა გაიხარა თინათინის ტახტზე ასვლით, რადგან სპასპეტს საშუალება ეძლეოდა ხშირად ენახა თავისი ტურფა, ხოლო სამ წელიწადს ნახეტიალებ ავთანდილს ტარიელის ნახვის შემდეგ ძლიერ უნდა დასჩქარებოდა სამშობლოში დაბრუნება და თინათინთან სამუდამოდ შეუღლება, მაგრამ, როდესაც ტარიელმა დაასრულა მოყოლა თავის თავგადასავალისა და უთხრა „აწ წადი, ნახე შენი მზე, ნახვისა მოჟამებულმან“, მან უპასუხა: „თუ გაგეყრები თვალთაგან, ცრემლიცა დამედინებისო“.

და კიდეც გააკვირვა მოყმემ, — ტარიელი ასეთი უეცარი მეგობრული გრძნობის გამოხატვით და ათქმევინა „უცხო უცხოს ევრე ვითა შეგიყვარდიო“.

მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, ავთანდილისათვის მეგობრობა გონებისა და გულის წადილია ერთგვარად. სახელმწიფოებრივი მოვალეობაც დაივიწყა ავთანდილმა მეგობრის სიყვარულით და თავის აღმზრდელ როსტევანს გაეპარა და დაუბრუნდა ტარიელს, რადგან „ოდეს წამოველ, შევფიცე ფიცითა საშინელითაო“... ხოლო როსტევანსა და ვეზირს წარმოუდგინათ, რომ ავთანდილის მიერ ჯარის და სახელმწიფოს დატოვება არ შეიძლებოდა. მაგრამ ავთანდილისათვის

„სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:
პირველ ნდობა სიახლისა, სიშორისა ვერ მოთმენა,
მიცემა და არა შური, ჩუქებისა არ მოწყენა,
გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა“.

მეგობრობის ამ სამი თვისების გამოჩენის ჯეროვანად დამტკიცებისათვის ავთანდილი გამოეთხოვა თავის აღმზრდელ შერმადინს და გაეგზავრა ნესტანის დასახსნელად. ამ სამი თვისების გამომჟღავნებისათვის შეუწირავს ავთანდილს მთელი ცხოვრება. ამგვარი თვისებებით შეიარაღებული მიემგზავრება იგი ტარიელის დასახმარებლად. გულის ტკივილით სტოვებს იგი მის აღმზრდელს როსტევანს, და გაზრდილს შერმადინს. ავთანდილის ცხოვრებას და მოქმედებას საფუძვლად უდევს უდიდესი აღზრდა. რომელიც მიუღია რაინდს ახალგაზრდობაში, რომლიდან გამომდინარეობს მისი მოქმედება ცხოვრების ასპარეზზე. ამიტომ ავთანდილის, ტარიელის და საერთოდ „ვეფხის-ტყაოსნის“ სხვა გმირების დახასიათებისას უნდა მიექცეს ყურადღება გმირების აღზრდას პოემაში და გმირების შეხედულებას საერთოდ ადამიანის აღზრდაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პოემაში მოყმის აღზრდასა და რაინდული ტრადიციების ბავშვობიდან ჩამოყალიბებას.

პოემის მიხედვით მოყმის აღზრდაზეა დამოკიდებული მისი შემდეგი ზნეობრივი სიმაღლე, ვაჟკაცობის კულტი და ხშირად გარეგნული მშვენებაც.

„ბრძენთა მიმცეს სასწავლებლად ხელმწიფეთა ქცევა ქმნათად“ ოგვეუბნება ტარიელი, ხოლო ანდერძიდან ვიცით: ავთანდილს უსწავლია

ფილოსოფია და თვით ფარსადანი ყოფილა აღმზრდელი ნესტანის მოყმისა. თვით ნესტანის აღზრდაც განსაკუთრებულია და ბრძნული. ტარიელი მოგვითხრობს: „დავარს სიბრძნის სასწავლებლად თვით მეფემან მისცა შვილი“.

საერთოდ მოყმის აღზრდამ უნდა ჩაუყაროს საფუძველი მომავალი ადამიანის ვაჟკაცობას. თანახმად პლატონის მოძღვრებისა, რუსთაველის გმირები ახალგაზრდობაში ბუნებასთანაც დაახლოვებულან. იარაღით უვარჯიშნიათ და განსაკუთრებული მზრუნველობა გამოუჩენიათ მათ უფროსებს მოყმეების აღსაზრდელად. ამიტომ არ ამწუხრებს როსტევანს ნადირობაში დამარცხება და მის აღზრდილ ავთანდილის გამარჯვება.

„მეფესა ესე ამბავი უჩნს, ვითა მღერა ნარდისა,
უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა“.

აღზრდა საზოგადოებრივ ფენებში თითქოს საფეხურებს სპობს და ათანაბრებს თითქმის სხვადასხვა წრის ადამიანებს, მეგობრულ იერს აძლევს მეფესა და მოყმის დამოკიდებულებას.

მეფეს თავისი აღზრდილი ავთანდილი უყვარს შვილივით. ის არის მეფის უახლოესი ადამიანი და რუსთაველი ხშირად სპობს მათ შორის არსებულ საზღვარს.

„მეფე ყელსა მოეკიდა, გარდაკოცნა ვითა შვილი,
სხვა მათებრი არ ყოფილა არც გამზრდელი, არც გაზრდილი“.

ხოლო, როდესაც შეიტყო როსტევანმა ავთანდილის ხელახლა წასვლის სურვილი „დადრკა, სკამნი შემოსტყორცნა, ჰკრა კედელსა, შეალეწნა“.. სიყვარული აღზრდილისა აღმზრდელისადმი პოემაში სპობს წრეთა შორის საზღვრებს და სხვადასხვა ფენის ადამიანთა კავშირს მეგობრულ იერს ანიჭებს.

საკმარისია გავიხსენოთ „მონა შერმადინის“ და ავთანდილის დამოკიდებულება.

„ესეა მონა შერმადინ, ზემოდცა სახელდებული,
თანა შეზრდილი, ერთგული და მისთვის თავდადებული“.

ავთანდილი ამბობს შერმადინის დასახასიათებლად და შემდეგ დასძენს:

„თქვენცა იცით, გამიზრდია, ვითა ძმა და ვითა შვილი,
ამას ასრე მორჩილებდე, არის ვითამც ავთანდილი“...

შერმადინიც რაინდული თვისებებითაა შემკული და სურს ავთანდილთან ერთად წავიდეს ვეფხის ტყავიან მოყმესთან.

რუსთაველის აზრით განსაკუთრებული აღზრდა და გონებრივი სიმალლე უდევს საფუძვლად საზოგადო მოღვაწეობის საქმიანობას. სიბ-

ძნის სწავლიდან გამომდინარეობს მეგობრული გრძნობის გავრცელება ადამიანთა შორის, ხოლო სიბრძნეა აგრეთვე საფუძველი სახელმწიფო გამგებლობისა; გონივრული სიმაღლე და მეგობრობა მომდინარეობს ადამიანის აღზრდიდან და მთელი პოემის ცხოვრება ორკესტრირებულია ადამიანის ამ ორი თვისებით. პოემის ამგვარი შინაარსის შედეგია, რომ ხალხს მიუკუთნებია რუსთაველისათვის ოთხი სტრიქონი:

„ფილოსოფოსნი შემოკრბენ, ამაზედ ქონდათ ცილობა:
პატრონი კაცსა ასაქმებს და ჭკუას გამოცდილობა,
ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი თავად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“.

ავთანდილი მთავარი სახეა პოემაში, რომელიც მეგობრობის გრძნობის გამხსნელია და დამადასტურებელი. მეგობრული გრძნობის ჟღერა პოემაში გაბნეულია ავთანდილის აფორიზმებით და საქმიანობით.

თავის მოყვრის ბედის შესამსუბუქებლად მოყმემ პირველ შეხვედრისთანავე გადასწყვიტა თავდადება. ავთანდილმა მართლაც მრავლად განსაცდელში გამოიარა, გადაირა ზღვები და ქალაქები. ვაჟკაცობით და გონივრული გამჭრიახობით ნესტანის კვალს მიაგნო და ტარიელს სიცოცხლის გამომწვევი ძალა დაუბრუნა. მეგობრის სიყვარულმა ბევრ ცდუნებაში გაატარა გმირი და ერთხელ „უგულო სიყვარულით“ ფატმანის საწოლში შეიყვანა თინათინის ერთგული მოყმე.

როგორც ტრფიალების გამოხატვაში მრავალფეროვანია და აღგზნებული რუსთაველი, ისე მრავალფეროვანია და უცნაური ინტიმობითაა გამსჭვალული პოეტი რაინდთა მეგობრობის დასურათებაში. საოცარია რუსთაველის პალიტრა, რომლიდანაც იბადება მოულოდნელი შეხამება ფერებისა და მეგობრობის გრძნობა სრულიად ახალ და ახალ სახეებში იჭედება.

როდესაც ავთანდილმა ნესტანის წერილი და რიდის ნაკვეთი მიიღო, საჩქაროთ გამოეშურა ტარიელისაკენ, მოდიოდა რაინდი და ფიქრობდა თავის საყვარელ მეგობრის ბედზე; ამ დროს

„ქვაბნი გამოჩნდეს, იამა. იცნა, თქვა: „იგი კლდენია,
სადაა ჩემი მოყვარე და ვისთვის ცრემლი მდენია;
ლირს-ვარმცა ვნახო პირის-პირ, უამბო, რაცა მსმენია;
არ მოსრულიყოს, რაღა ვქნა, ცუდ ჩემი განაგლენია!“

და

„მართ სახელდებით უყვივის ხმითა მით მხიარულითა“...
ამ დროს შამბისა პირასა ტარიელ დგას ხმლითა მომახულითა...

. . . . . .

ყივილი ავთანდილისა, ესმოდა, ეოცებოდა

შეხედნა, იცნა, გაიქცა, მისკენ მირბოდა, ხლტებოდა
და რა ნახეს მეგობარ-რაინდებმა ერთმანეთი....
მათ ერთმანერთსა აკოცეს, ჰგვანან ყელ-გარდაჭდობილსა;
ხმა შაქრის ფერად გაუხდა ვარდსა, ხშირ-ხშირად პობილსა-ო“

გვეუბნება ავტორი და ხმის „შაქრის ფერად“ გახდომა უცნაურად ანა-თებს რაინდების შეხვედრას. უდიდესი სიფაქიზე და უშუალო სმენა მხატ-ვრისა რაინდების ხმას ფერს ანიჭებს და აუცხოვებს მათ შეყრის სცენას. მოულოდნელ მხატვრულ სიმართლეს აღწევს ოსტატი რაინდის ხმის ამგვარ დახასიათებით და გასაოცარ მხატვრულ ნიუანსებში მოულოდნე-ლად შეჰყავს მკითხველი, როგორც ყოველ დღიურ ყოფაში.

ტარიელი გაშმაგებულია მიჯნურის დაკარგვით და თითქოს არ უნდა შეეძლოს მეგობრისადმი განსაკუთრებული გრძნობის გამომჟღავნება, მაგრამ თუ გავიხსენებთ რაინდის თავდადებულ ბრძოლას ფრიდონის მტრების წინააღმდეგ, ან რა სიყვარულით ეგონებს თავის მოთხრობაში ფრიდონის მოყმეობას, ნათელი გახდება ტარიელის მეგობრული გრძნობა მოყვასისადმი. ტარიელივე ეუბნება თინათინს, რომ „შენი ქმარი ძმაა ჩემიო“ და ყოველთვის მზადაა დაუმტკიცოს მეგობრებს თავისი ერთგულება: ავთანდილი და ფრიდონი სრულიად დაშორებულნი არიან ერთმა-ნეთს თავიანთი ცხოვრებით, მაგრამ ტარიელის სიყვარულით ხვდებიან ერ-თმანეთს უერთგულესნი და ერთნაირად განიცდიან ვეფხის ტყავიან მოყ-მის სულიერ ქარიშხალს. სამი გმირის მეგობრული დაკავშირებით რუსთაველი ადვილად ამარცხებს ბოროტს და კეთილის გამარჯვებას აღი-არებს. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ სამი გმირი „ვეფხის-ტყაოსნისა“ სხვადასხვა ხალხის შვილები არიან. ყოველი მათგანი ამა-ყობს თავისი ქვეყნის მშვენიერებით და საბრძოლო შესაძლებლობით. რუს-თაველს დიდი სიყვარულით აქვს დახატული სხვადასხვა ქვეყნის შვილები და ძვირფას თვლებივით თავიანთი ქვეყნების მშვენებიდან ამოყვანილი.

„ავთანდილ მკერდსა დაასხა. მას ლომსა სისხლი ლომისა,
ტარიელ შეკრთა, შეინძრა რაზმი ინდოთა ტომისა“.

მოყვანილი სტრიქონებით ავტორი ტარიელის წამწამებს ადარებს ინდო-თა რაზმს და ამით ახასიათებს არა მარტო ტარიელის მშვენებას, არამედ ტარიელს წარმოგვიდგენს იგი, როგორც პლასტიურ გამოხატულებას ინ-დოეთის სამხედრო ძლიერებისას და ინდოეთის ხალხისას.

მეგობრული გრძნობა მათ პატრიოტულ გრძნობას კიდევ უფრო აღ-ვივებს და სხვადასხვა ქვეყნის შვილებს მაინც ებადებათ ერთი საერთო მიზანი: ნესტანის განთავისუფლებისა ქაჯეთის ციხიდან და კეთილი, მე-გობრული გრძნობით ბოროტის აღმოფხვრა ქვეყნად. მეგობრების გრძნო-ბის ასე, ყოველმხრივ გამოხატვა საშუალო საუკუნის სიტყვაკაზმულ მწერლობაში ძნელად მოიპოვება და ამ მხრივ „ვეფხის-ტყაოსნის“ პა-რალელი საშუალო საუკუნეების პოეზიაში არ უნდა მოიძებნებოდეს: მართალია, ტრისტანმა იპოვა მეგობარი კამერდინის სახით უცხო ქვე-

ყანაში, მაგრამ ტრისტანს არ გააჩნდა რუსთაველის გმირისებური სიყვარული თავის სამშობლოსადმი და ასეთი ორგანიულობა საკუთარ ქვეყანასთან.

ვერც ფრანგი რაინდების როლანდისა და ოლივერის მეგობრობაა ისეთი სრულყოფილი, როგორც ვეფხის-ტყაოსნის სამი გმირისა. რუსთაველის გმირები ერთი ხალხის შვილები არ არიან და მაინც ინარჩუნებენ დიად პატრიოტულ გრძნობას და ამავე დროს მეგობრდებიან სამუდამოდ. რუსთველი თავის გმირების მეგობრობას გვიჩვენებს ომში, მიჯნურობაში, ზეიმში და მათი მეგობრული საქმიანობა ბევრად უფრო ფრცელი და მრავალფეროვანია, ვიდრე ფრანგულ ეპოსში გამოხატულ გმირების ძმობა...

ხოლო ვისრამიანი სრულიად არაფერს გვეუბნება მეგობრის კულტის შესახებ და მის შინაგან წყობაში სიყვარულის კულტთან ერთად არ კიაფობს „ვეფხის-ტყაოსნისებური" სიმაღლე ადამიანის ზნეობისა: რუსთაველის გმირები ორგანიული ნაწილებია თავიანთი ქვეყნებისა და ამავე დროს საერთო საამქვეყნო ზნეობისთვის მებრძოლნი. მეგობრობით შეიარაღებული გმირები იღებენ აუღებელ ციხეებს და საუკუნეებს უანლერძებენ მოყვასისადმი თავდადებას. რუსთაველი წინ უსწრებს იტალიელ ჰუმანისტების ბოკაჩიოს და პეტრარკას ანტიურობაზე ოცნებას და საზოგადოებრივ ყოფაში მეგობრობის განმტკიცების სურვილს.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად.
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად".

გვეუბნება პოეტი და ის უბრალო ლირიული ამოძახილი კი არ არის შესანიშნავი რაინდისა, არამედ ცხოვრებაზე დაკვირვების, სიბრძნის შეთვისებ ს და მოფიქრების ნაყოფი.

„ვეფხის-ტყაოსანმა" გააოვიძა ძლიერება მეგობრული გრძნობისა, რომელიც ანტიურობაში გამოხატეს დიდმა ეპიკოსებმა. ფეხმარდი აქილესის სიყვარული პატროკლისადმი „ილიადაში" ან ევრიალის თანგანწირვა ნისიასთვის მეგობრობის დასამტკიცებლად (ენეიდაში) რუსთაველისათვის გასაგებია სავსებით. ტარიელის და ავთანდილის ძმობით პოეტი ამტკიცებს მეგობრობის კულტს საშუალო საუკუნეებში და პოეტურ ნახატში მეგობრობას გვისურათებს ანტიურ ოსტატების სიძლიერით.

ხსენებული მტკიცებით რუსთაველის პოემის სიუჟეტის შინაარსი უპირისპირდება სასულიერო მწერლობის მთავარ იდეას. სასულიერო მწერლობაში ღმერთის ჩარევით უფრო ხშირად ღმერთისთვის კეთდებოდა საღმთო საქმე. ბოროტის დაძლევაში ღმერთი უნდა შეშველებოდა ადამიანის შემოქმედებით ენერგიას. რუსთაველმა ბოროტის დაძლევად ინიციატივა გადასცა ადამიანს და ღმერთის ჩაურევლად სცადა „საღვთო" საქმის გაკეთება, ე. ი. უმაღლეს ზნეობრივ სიმაღლემდე აიყვანა ადამიანი. დიდი ოსტატის ხელით გამოძერწილმა სამმა გმირმა, შეკავშირებულმა მეგობრობის გრძნობით, აიღეს ქაჯეთის ციხე და გაანთავისუფლეს „გველის შეპყრობილი მნათობი".

მე-12 საუკუნის სახელმწიფოებრივ ძლიერებას, კულტურულ ჰორიზონტის გაშლას და მოყმეთა კულტის გავრცელებას საქართველოში უნდა მიეცა საზრდო რუსთაველის გენიალურ ქმნილებისათვის. ამხანად ქართველ ყოფაში რაინდობა ძლიერ გავრცელებული ყოფილა. რუსთაველის ხანისთვის მოყმეობა პროგრესიულ და კულტურულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. მოყმეთა ყოფას, მათ მიერ შემუშავებულ ფიზიკურ და სულიერ კულტურას მოუხდენია დიდი გავლენა რუსთაველის შემოქმედებით გენიისათვის; მაგრამ რუსთაველმა შესძლო ხსენებულ კულტურის საფუძველზე შეექმნა მსოფლიო მნიშვნელობის ლექსად თქმული რომანი და წინ გაესწროს საშუალო საუკუნეების პოეტური იდეებისათვის. ბექა ოპიზარის მსგავს ხელოვნებით გამოკვეთილ სახეებში პოეტმა ახალი სამყარო გამოხატა და ქართველთა სულიერი კულტურა საუკუნეებით გაამდიდრა. მაინც პოემაში გაშლილი მეგობრობის, სიყვარულის და ვაჟკაცობის საფუძვლები მე-12 საუკუნის გაძლიერებულ სახელმწიფოებრივ ყოფაში უნდა ვეძიოთ. რაინდობას თამარის დროს დიდი გასავალი ჰქონია. რუსთველი — რომელიც ცდილობდა აღედგინა თავის დროის მოწინავე გრძნობები, არ შეეძლო დიდს ოსტატობით არ გადაწვდენოდა ვაჟკაცობის გრძნობას და სიყვარულს და მეგობრობის გრძნობასთან ვაჟკაცობა არ დაეკავშირებინა. თუ რუსთაველმა მეგობრობის და სიყვარულის გრძნობა დიდი თსდქოლოგიური სიმართლითა და ხვეულებით დაგვიხატა, არა ნაკლები სიმძლავრე გამოიჩინა გმირობის გამოხატვაში და მთლიანად ვაჟკაცობის პლასტიურ განსხეულებაში. ისევ ავთანდილის ანდერძის საშუალებით მოგვცა აღტორმა საგალობელი ვაჟკაცობისა და საერთოდ გმირის სამოქმედო პროგრამა. ავთანდილმა აქაც გამოიჩინა სიბრძნე და დაგვიხასიათა მოვალეობა და თვისებანი რაინდისა. მან, როგორც რაინდმა და რაინდობის მოძღვარმა, ბარიელეფივით გამოკვეთილ აფორიზმებში გვამცნო „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“ და დაგმო რა სილაჩრე ადამიანისა, განაცხადა მომავალ საუკუნოების გასაგონად:

„რა უარეა მამაცსა, ომშიგან პირის მხმეჭელსა,
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეშველსა!
ვაი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!“

ამრიგად, რუსთაველის გმირებს წინასწარ გამომუშავებული აქვთ თვისებები რაინდისა. ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლისას ისინი კიდევ ადასტურებენ თავიანთ სურვილებს და ვაჟკაცური საქმიანობით მართლაც ხდებიან რაინდები. სახელის მოხვეჭა რაინდისათვის აუცილებელია კეთილი საქმიანობის შედეგად. რუსთაველის შეხედულებით რაინდის ცხოვრება უნდა შეეწიროს მოყვასთა მეგობრობას და საერთოდ კეთილის გაბატონებას ქვეყნად, მოყმე უნდა იყოს უშიშარი და ყოველ შემთხვევაში მზად უნდა იყოს დაამტკიცოს თავის ვაჟკაცობა. ავთანდილიც ამიტომ ბედავს და ნადირობაში ეჯიბრება თავის აღმზრდელ მეფეს. ტა-

რიელი ებრძვის ხატაელებს, რათა დაუმტკიცოს სატრფოს თავის გმირობა და რაინდის მოვალეობა შეასრულოს. ავტორისათვის ვაჟკაცობა ერთი მთავარი საფუძველია ცხოვრების მდინარეობისა. პოემის გმირებიც ცხოვრებას იწყებენ ვაჟკაცური მოქმედებით და საერთოდ გმირების სცენები წინ უძღვის გმირის ფართო ცხოვრების დაწყებას პოემაში. ავთანდილის პიროვნების მხატვრულ გამომჟღავნებას წინ უძღვის რაინდის გამარჯვება ნადირობაში. ტარიელმაც პირველ გამოჩენისთანავე „მკლავნი გაიმამაცურნა“ და თორმეტ მონას სძლია, შავი ტაიჭით გაჰქუსლა, და გახდა უჩინარი. ფრიდონიც, პირველ გამოსვლისას, ომში დაჭრილი მოჰქროდა ზღვის პირას და „ამაყად ყოფდა“. რუსთაველი თავის გმირების ცხოვრებას იწყებს მათი ვაჟკაცური ეპიზოდებით და ვაჟკაცობის თვისებებს თავის გმირებს უნარჩუნებს მთელ პოემის სივრცეზე.

ნათქვამიდან ნათელი ხდება: პოემის გმირები გამოჩენისთანავე ვაჟკაცობის სახელს იმტკიცებენ და ანხორციელებენ ავთანდილის მოწოდებას, რომ სახელისა მოხვეჭა სჯობს ყოველსა მოსახვეჭელსა.

„გაქვავდა ევრიალ გაოცებული, რომ სახელისა მოხვეჭა ასე სწყურიან და მის მეგობარს ნასიას“ — გვეუბნება ვერგილიუსი „ენეიდაში“.

ახალგაზრდა ნასიასმა გადასწყვიტა მარტო გაეროვნა მტრის ბანაკი და ენეიდისთვის შეეტყობინებინა ტროადელების განსაცდელი. გმირმა იცოდა, რომ სიკვდილი მოელოდა, მაგრამ მას წინასწარ ხიბლავდა სიკვდილის შემდეგ დარჩენილი სახელი. ავთანდილიც, რუსთაველის პოემაში, სახელოვანი სიკვდილის მქადაგებელია და სახელის მოსახვეჭად მებრძოლი. რუსთაველის რაინდები ანტიურობაში ჰპოვებენ თავიანთ წინამორბედებს და ხასიათით მონათესავე ვაჟკაცებს.

სახელმოხვეჭილი ტარიელი მიჰქრის პოემის სივრცეზე და გმირულ საქმიანობის კვალს სტოვებს გზადაგზა, როგორც ჩრდილებს თავის ვაჟკაცობისას. ავთანდილიც ნახულობს დაკარგულ ტარიელს, მის ნავაჟკაცარის მიყოლით.

მართალია, ილიადას გმირებივით „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირებსაც უყვართ მოგონება თავიანთ წარსულისა, მაგრამ როგორც ზემოთ დავინახეთ, ისინიც უპირველესად პოემაში მიმდინარე ვაჟკაცობით იმსახურებენ გმირის სახელწოდებას, ტარიელს სიამაყით აგონდება თავის ახალგაზრდობაში ჩატარებული გმირობა და მოუთხრობს ავთანდილს ხატაელებთან შეტაკების დიდი აღგზნებით:

„ახლოს მიველ, შემომხედეს, შმაგიაო, ესე თქვესა,
მუნ მივმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა;
კაცს შუბი ვკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა;
შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, — ვაქებ ხრმალო, ვინცა გლესა!“

და სხვა.

მაგრამ არა მარტო საკუთარ რაინდობის მოგონება უყვარს ტარიელს, იგი აღტაცებით უამბობს ავთანდილს ფრიდონის საგმირო საქმეებს:

„მუნ მომეწონა ფრიდონის სიქველე-სიფიცხენია,
იბრძვის ლომი და პირად მზე, იგი ალვისა ხენია“.

ტარიელის მოთხრობაში ფრიდონის ვაჟკაცობა და გარეგნული სილამაზე დაკავშირებულია ერთიმეორესთან.

რუსთაველის ყოველი რაინდი ვაჟკაცობასთან ერთად გარეგნული სიმშვენიერითაც არის დაჯილდოვებული. პოეტს არ უყვარს მახინჯი ადამიანის სიუჟეტის წინა პლანზე დაყენება და მისთვის ფერადების დახარჯვა. პოემის გმირების მშვენება იგივეა, რაც ფეროვნება და კოლორიტი პოემისა. გარეგნულ სილამაზეს გმირებისას ავტორი დახვეწილი და მოხდენილი ხაზებით გადმოგვცემს. ხშირად პოეტი აღწერითი მანერასაც მიმართავს გმირების გარეგნობის გადმოცემაში:

„ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირსპასალარისა,
საროსა მჯობი, ნაზარდი მსგავსი მზისა და მთვარისა,
ჯერ უწვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა“...

ან კიდევ ტარიელის გარეგნობა გადმოცემულია ავტორის მიერ უდიდესი პლასტიურობით, და საოცარი განათებით:

„იგი ლალი და უკადრი მივა ტანისა მრხეველად,
ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფინების მზე ველად“.

ხოლო ფრიდონზე მისი მოყმეები ამბობენ:

„ნურადინ ფრიდონ მეფეა ამა ქვეყნისა ჩვენისა,
მოყმე მხნე, უხვი, ძლიერი, ფიცხლავ მომხტომი ცხენისა,
ვნება არავის არ ძალუძს, მის მზის ოდენა მშვენისა,
იგია ჩვენი პატრონი მსგავსი ცით შუქთა მფენისა“.

მართალია, ასეთი სილამაზით არიან დახატული რუსთაველის გმირები, მაგრამ თავიანთ მშვენებას ისინი უფრო მოქმედებით გამოხატავენ და რაინდების სილამაზე გმირობის დროს უფრო კიაფობს. გარეგნულ მშვენებით და ვაჟკაცური თვისებებით შემკულია მხატვრის მიერ აღებული სამი გმირი. სამივე პოემაში მოეფინებიან, „როგორც მზე ველად“. ყოველი მათგანი საკუთარ ქვეყნის სიმშვენიერის დამახასიათებელია და სამივე ჰქმნიან სხვადასხვა ქვეყნის მეგობრულ გრძნობის გამომხატველ სილამაზეს. ამ სამი გმირის შეერთება საწინდარია მათი აუცილებელი გამარჯვებისა. ქაჯეთის ციხეში გამარჯვებული რაინდების გამოჩენა პოემაში უშესანიშნავესი პლასტიური სურათებითაა დახატული. ავტორი თვით აღტაცებულია თავის გმირების სიმშვენიერით და აგვიწერს:

„იგი ჭაბუკნი შუქითა ენახენ მზისაცა მეტითა,
მათ სამთა შვიდნი მნათობნი ჰფარვენ ნათლისა სვეტითა;
ტარიელ შავსა ზედა ზის ტანითა მით წერწეტითა,
დალივნეს მტერნი ომითა, ვითა მჭვრეტელნი ჭვრეტითა.

ჩემი აწ ესე ნათქვამი მათი სახე და დარია:
რაზედან წვიმდეს ღრუბელნი და მათი ატყდეს ღვარია,
მოვა და ხევთა მოგრაგნის, ისმის ზათქი და ზარია,
მაგრამ რა ზღვათა შეერთვის, მაშინ ეგრეცა წყნარია".

პოემაში, საერთოდ, ბატალური სცენები დიდი ეკონომიითაა მოცემული, მაგრამ მაინც ყველაზე უფრო უდიდესი პლასტიურობით და ხმოვანებით აღდგენილია ომისა და სამი გმირის ვაჟკაცობის სურათები; რუსთაველი დიდი მხატვარია ბატალური სცენებისა. როგორც ლექსის ოსტატი, ის უძლიერესი ემფონისტია და ემფონიური დამუშავება სტრიქონისა შესანიშნავად გამოყენებული აქვს ბატალურ სცენების გადმოცემისას. ბატალური სცენების აღწერისას რუსთაველის სტრიქონები, როგორც მწვერვალიდან გადმოვარდნილი მდინარეები მოისწრაფვიან და შხუილით მიგვაქანებენ ბრძოლის ცეცხლში. ასე დამუშავებულია და ორკესტრირებულია ქაჯეთის ციხის ასაღებად ჩატარებული ბრძოლა:

„ანაზდათ ცხენი გაჰქუსლეს, მათრახმა შეჰქმნა ცკრიალი,
რა ნანეს, კარნი გაახვნეს, ქალაქით გახდა ზრიალი,
სამთავე სამგნით მიმართეს, თავსა მით უყვეს რიალი,
იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი".

და ამ შეტევაში მოსჩანს როგორ:

„კაცსა უკრავად დაბნედის ხმა ტარიელის ხაფისა,
აბჯარსა ფრეწდის, გაცუდდეს სიმაგრე ჯავშან-ქაფისა".

ხოლო:

„ავთანდილ და ლომი ფრიდონ შიგნით ერთგან შეიყარნეს,
მტერნი სრულად აეწყვიტნეს, სისხლი მათნი მოეღვარნეს".

რუსთაველის ქალებიც თავიანთ მოყმეებისათვის სავალდებულოდ სთვლიან საგმირო საქმის ჩადენას და მოითხოვენ მათგან ვაჟკაცურ და გმირობის დამტკიცებას. ნესტანი სწერს ტარიელს:

„ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია".

და შემდეგ დასძენს: „წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე"-ო. თინათინი დარწმუნებულია ავთანდილის გმირობაში და ამაყობს კიდეც თავის მიჯნურის გმირობით. „პირველ ყმა ხარ ხორციელი, არავინ გვყავს შენად სწორად". და ამიტომ თინათინის აზრით ავთანდილმა თავი უნდა გამოიჩინოს და მონახოს ვეფხის ტყავიანი მოყმე.

„ვეფხის-ტყაოსნის" ქალები ერთგვარ გამოცდას უნიშნავენ თავიანთ მოყმეებს და ყოველი რაინდიც დიდი სიხარულით ასრულებს სატრფოს დავალებას. გმირის უპირველესი მოვალეობაა რუსთაველის ქალთა შე-

ხედულებით თავის ქვეყნის სიყვარული და სამშობლოსთვის თავდადება. ნესტანი ქაჯეთში დამწყვდეული იტანჯება ტარიელის სიყვარულით, მაგრამ არ ივიწყებს თავის სამშობლო ქვეყანას და სატრფიალო ტკივილებთან ერთად ატყობინებს ტარიელს თავის ქვეყნის აოხრებას. შემდეგ სთხოვს რაინდს დაბრუნდეს ინდოეთში და. აღუდგინოს სამშობლო ქვეყანას ძველი დიდება. რაინდებსაც უდიდესად შეგნებული აქვთ ვაჟკაცის მოვალეობა თავის ქვეყნის წინაშე. სამივე გმირი უდიდესად შეყვარებულნი არიან თავიანთ ქვეყნებზე და ამავე დროს ებადებათ მთლიანი ინტერესი მთელ სამყაროში კეთილის გამარჯვებისა. თავიანთი ვაჟკაცობით რუსთაველის გმირები ამაღლებენ თავიანთი ქვეყნების ავტორიტეტს და საერთაშორისო მეგობრულ გრძნობას ამტკიცებენ თავიანთი ძმობითა და ერთგულებით.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, თითქოს რუსთაველის გმირები უბრალო ბუნების შვილები არიან, ჯანსაღი და ღონიერი და მათი გმირობა გამომდინარეობს მხოლოდ მათი ფიზიკური შესაძლებლობიდან. სრულიადაც არა, ისინი უშესანიშნავესი ცხენოსნებია და აღჭურვილი არიან თავისი დროის საუკეთესო იარაღით. შესანიშნავად იცნობენ მე-12 საუკუნის სამხედრო ხელოვნებას და თვით შეაქვთ სამხედრო კულტურაში თავისი წვლილი. შეთვისებული აქვთ არაბეთის და ბიზანტიის სამხედრო ხელოვნების კულტურა და ბრძოლებში იჩენენ უდიდეს გონივრულ გამჭრიახობას, მოხერხებას და მთლიანად სამხედრო საქმის დიდ ცოდნას, რუსთაველის გმირების სამხედრო მომზადება და საჭურველი უსწორდება ევროპის საშუალო საუკუნეების რაინდების მორჭმულებასა და სამხედრო გამოცდილებას. საკმარისია გავიხსენოთ ქაჯეთის ციხის ასაღებად გამართული თათბირი სამი გმირისა და ჩვენთვის ნათელი გახდება „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირების სამხედრო გამოცდილება და სტრატეგია. ქაჯეთის ციხის ასაღებად გამართულ ბრძოლაში ტარიელი მაინც გამოირჩევა. როდესაც ტარიელი ქაჯეთის ციხეს უახლოვდება, მის წინ იშლება სამოქმედო ასპარეზი და საშუალება ეძლევა მოყმეს უჩვენოს თავის სატრფოს „საქმენი საგმირონია“. მისი გონება ნათლდება და სამხედრო საქმის მოფიქრებაში გადააჭარბებს თავის ბრძენ მეგობრებს. მისი წინადადება ციხეზე სამმხრივ მოულოდნელ თავდასხმისა, საჩქაროთ მიღებულ იქნა და შეერთებული ძალით სამმა გმირმა საჩქაროდ აიღო ციხე. და ნახეს „მზის შესაყრელად როგორ გამოეშვა მთვარე გველსა“. ნესტანი გაანთავისუფლეს გმირებმა და ახალი მნათობი დაუბრუნეს ქვეყანას. ასე გამოსტაცეს რუსთველის გმირებმა ბუნების ბნელ ძალებს ბუნებისავე სილამაზე ნესტანი და გაამშვენიერეს ცხოვრება. რუსთაველის წარმოდგენით ცხოვრებაში ნათელი და ბნელი ძალები იბრძვიან... ადამიანი მოწოდებულია ბნელი ძალები დაიმორჩილოს და გაამშვენიეროს ბუნება თავისდა სასარგებლოდ. მართალია, პოეტურ შედარებებს რუსთაველი ყოველთვის ბუნებიდან იღებს, მაგრამ პირველობას ყოველთვის ადამიანის მშვენებას უთმობს და თინათინს მზეს აწუნებინებს. პოეტისათვის

ადამიანი უმაღლესი სახეა ბუნებისა, ბუნების მბრძანებელი და გამამშვენიერებელი. პოეტი ადამიანის შემოქმედებითი ენერგიის მოთაყვანეა... ნესტანის განთავისუფლებაც ადამიანის ძლიერების დამტკიცებაა. ნესტანის განთავისუფლებით მთვარე უბრუნდება ხილულ ქვეყანას და მშვენიერება ეშატება ბუნებას. ასე სრულდება პოემის დრამატიული დენა და იწყება გამარჯვებულთა ზეიმი და ბედნიერება. პოემა გაშლილი ოდაა რაინდების ცხოვრებაზე. მათი სიქველის, ვაჟკაცობის, ტრფიალების და გარეგნული სიმშვენიერის გამოხატვა და სახალხოდ ქადაგება.

პოეტმა მკაფიოდ გამოხატა თავის დროის მოწინავე გრძნობები და როგორც გამოძერწილი სხეულები დაგვიტოვა გრძნობათა განსხეულება პოეტურ სახეებში. ვირტუოზულად დააკავშირა სტრიქონის ხმოვანება ადამიანის გრძნობის მღელვარებასთან. ამიტომაც მოარღვევდა „ვეფხის-ტყაოსნის“ სტრიქონები საუკუნეებს და ერთი დაკვრით იმორჩილებდა შემდგომ თაობის პოეტებს. ებრძოდა კლერიკალურ აზროვნებას და უდიადეს გამბედაობას და რაინდობას იჩენდა გარეშე მტრებთან ბრძოლაში, უნერგავდა რა ქართველ ხალხს ვაჟკაცობის გრძნობას. პოემაც და პოემის ავტორიც ყოველთვის ცოცხლობდა და ცოცხლობს ქართველი ხალხის გულში, როგორც სიმბოლო სიყვარულისა, მეგობრობისა და გმირობისა.

მართალია საუკუნეების ქარიშხალს გაუძლო პოემამ, მაგრამ მისი პოეტური ხმოვანება დღემდე მხოლოდ ქართველი ხალხის გულში სცხოვრობდა და „ვეფხის-ტყაოსნის“ სტრიქონების წკრიალი კავკასიონის მწვერვალების ჭიმმა თითქმის არ ისმოდა. ქართველმა ხალხმა კაცობრიობას შეუნახა რუსთველის ქმნილება; დღეს დიდი **სტალინის** გენიით შთაგონებულ ერთა ოჯახში საქართველოც კიაფობს გონებით, ვაჟკაცობით და თავის ბუნების სიმშვენიერით; ქართველმა ხალხმა ისტორიული წარსულის და დღევანდელი ხანის სულიერი სიმშვენიერის ერთ-ერთ საბუთად გამარჯვებულ საბჭოთა ქვეყანას „ვეფხის-ტყაოსანიც“ წარმოუდგინა. რუსთაველი თავის პოემით მართლაც ეხმარება ვაჟკაცობის, მეგობრობის და სიყვარულის გრძნობით შეთანხმებულ დიად სამშობლოს საბჭოთა ერებისას. მსოფლიოსათვის ოდესღაც ნისლში მყოფი მწვერვალი რუსთაველის ქმნილებისა, ეხლა, საბჭოთა მზით განათებული, მოსჩანს საყოველთაოდ, და, თითქო აკვირვებს კაცობრიობის წარსულ გენიებს ნისლიდან ახლად გამოსულ მწვერვალის ასეთი სიმაღლე და ასეთი გამომეტყველება.

პ/მგ. რედაქტორი — **ალექსანდრე ჯეიშვილი**
პ/მგ. მდივანი — **კონსტანტინე ლორთქიფანიძე**

მთავლიტის № 1910. შეკვ. № 1365. ტირაჟი 3000.
სახელგამის პოლიგრაფიული კომბინატი, ჟორესის 5.

1938 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოდის ყოველთვიურად.

ხელის მოწერის პირობები:

წლიურად . . . . . 18 მან.

ნახევარი . . . . . 9 „

ცალკე ნომერი . . . 1 მ. 50 კ.

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩატის რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.